

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

1
2013

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი



ჯონ კეიჯი. უცნობი ავტორის ფოტო..

თარიღი

მანანა კორძაია. **ალექსი მაჭავარიანი 100** 2

ფესტივალი

ნანა ღვინიანიძე. **კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფესტივალი** 5

ეპოქალური სახეები

ელდარ გენაძე. **ის ჯერ კიდევ ჩვენთან არის** 13

სიახლე

მზია ჯაფარიძე. **საჩუქარი გავშვებს** 15

იუბილე

ნესტან მესხი. მისალმება იუბილარებს 20

საკონცერტო ცხოვრება

ნარგიზა გარდაფხაძე. **იაშვილების დინასტიის გამგრძელებელი** 23

ხსოვნა

გულბათ ტორაძე. **დაუვიწყარი ქალბატონი ტატიანა დუნენკო** 25

წლების გადასახედიდან

თამარ წულუკიძე. **არაერთი სიახლის წამომწყები** 27

ფესტივალი

ალა სხირტლაძე. **სასულე მუსიკის ზეიმი** 30

მსოფლიო კლასიკოსები

ნინო ჟვანია **ჯონ კეიჯის გზა სამყაროსა და საკუთარი სულის შეცნობისაკენ** 38

პორტრეტი

რუსუდან ქუთათელაძე. **ეპიტაფია ინტერვიუდან კოლაჟებით** 44

მერაბ გეგია. **მსოფლიოსთან ინტეგრირებული მარგინალი** 49

განათლება

ეკეკუნა გოქაძე. **შეხვედრა კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილთან** 50

ფოლკლორი

გიორგი კრავეიშვილი. **ჰერული მუსიკალური ფოლკლორი** 52

საკონცერტო ცხოვრება

ლალი კაკულია. **რამაზ ქარუხნიშვილის შემოქმედება საავტორო კონცერტის კონტექსტში** 54

მანანა ახმეტელი. **ეძღვნება ელისო ვირსალაძეს** 62

ახალი გამოცემები

რევაზ ტაკიძე. **სახელოვან იუბილარს** 64

ჯაგი

ნარგიზა გარდაფხაძე. **მე- 15 ჯაგ - ფესტივალი** 66

რადიოარქივიდან

ლალი გაბუნია. **მოგონებები ევგენი მიქელაძეზე** 72

ეპოქალური სახეები

ნესტან მესხი. **„მშვენიერი ეპოქის დასასრული“** 78

www 80

summary 82

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

1 (15) •2013

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

რედაქტორი: მიხეილ ოძელი თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე

დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხოძე

ინგლისური თარგმანი: შ.პ.ს. „ლოგოსი“

მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+995 32) 95 41 64, (+995 32) 96 75 05
ფაქსი.: (+995 32) 96 86 78

100 წელი... ერთი საუკუნე... ეს ჟამთაღწერის ის მონაკვეთია, რომელსაც ძალუძს მკვეთრი ზღვარი გაავლოს წარმავალ ღირებულებებსა და მუდმივობას შორის; ეს არის დრო, რომელიც პირუთვნელად მიუჩენს ადგილს ხელოვნების ქმნილებას და მის ავტორს ისტორიის ანალებში.

"რით განიზომება დრო! დრო განიზომება დროის ნიშნით, დრო განიზომება დროის შემოქმედებით, ტემპერატურით (ტემპერამენტით), აზრით, მასშტაბურობით, სილამაზისა და მშვენიერების იმ გაგებით, რომელსაც წარმოადგენს დრო. მაღალი ხელოვნება, დატვირთული სილამაზით, აზრის მგზნებარებითა და დროის ნიშნით, არის ადამიანის სულის ფორმირების, რწმენის, სიცოცხლისადმი დიდი ნდობისა და სიყვარულის გარანტია. შედეგს დრო შეაჯამებს, ყველა დანარჩენი უძლურია მასთან..."

ალექსი მაჭავარიანი

ალექსი მაჭავარიანი

2013 წლის 23 სექტემბერს ალექსი მაჭავარიანი — შემოქმედი, რომლის სახელმა ქართული ხელოვნების კორიფეთა შორის უკვე დაიმკვიდრა ადგილი, დროის ამ საუკუნოვან ზღურბლს გადააბიჯებს.

ალექსი მაჭავარიანი არის შემოქმედი, გასაოცრად წინააღმდეგობრივი ბიოგრაფიით. იგი ხომ ის ხელოვანია, რომლის პირველივე თხზულებამ მოიპოვა უდიდესი აღიარება; რომელმაც საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში მიიღო სსრკ სახალხო არტისტის წოდება, საქართველოს სახალხო არტისტობას კი ვერ ეღირსა სიცოცხლის ბოლომდე; რომლის ,,ოტელომ" საპრემიერო წარმოდგენებზე თბილისში ცხენოსანი მილიცია გამოიყვანა თავლიდან თეატრის მისადგომების სპექტაკლზე მოხვედრის უბილეთო მსურველთაგან დასაცავად; რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გააჟღერა ქართული პროფესიული მუსიკა საბჭოთა ,,რკინის ფარდის" მიღმა ევროპასა და ამერიკაში; ამასთან, სიჭარმაგის ჟამს დიდი წუხილი განიცადა, რადგან ვერ მოესწრო თავისი უსაყვარლესი ოპერის ,,ჰამლეტის" ხილვას თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე (სხვაგან დადგმა არც უფიქრია, რადგან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ოპერა პირველად საქართველოში, ქართულ ენაზე ეხილა). ბალეტ „ვეფხისტყაოსნის" ლენინგრადული წარმატებული პრემიერის შემდეგ კი სევდით წარმოსთქვა: — განახევრებულია ჩემი სიხარული, რადგან ჩემი ხალხი ვერ ხედავს და ვერ ისმენს ამასო... სიცოცხლის ბოლო პერიოდში შექმნილი შეუსრულებელი საოპერო, საბალეტო და სიმფონიური ნაწარმოებების სია საკმაოდ ვრცელია. ამ ხარვეზს დღეს მისი ვაჟი, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი ავსებს, რის შედეგადაც მრავალი კომპოზიცია უკვე ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იგი საბჭოთა სისტემის მსხვერპლიც იყო, როგორც რეპრესირებული ოჯახის წარმომადგენელი (8 წლის ასკში დედასთან ერთად ციხეშიც კი იყო გამწესებული) და ამ სისტემის მიერვე აღიარებული ხელოვანიც — სტალინური, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი; რო-

მელსაც თავისი თვალით უნახავს სტალინი, შეხვედრია ხრუშჩოვს და მექსიკის პრეზიდენტსაც კი. და რაც ყველაზე მთავარია, იყო **უპარტიო**! არასოდეს ირიცხებოდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მისი შემოქმედებისადმი დღესაც არ განელებულა საერთაშორისო ინტერესი. ახლაც ხშირად ასრულებს არაერთი ცნობილი თუ დამწყები უცხოელი მუსიკოსი მის სავიოლინო კონცერტს, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა და რომელსაც საკონცერტო გზა უდიდესმა დავიდ ოისტრახმა დაულოცა. კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ქვეყანაში დაიდგა ბალეტი ,,ოტელო", რომელიც მილანის ,,ლა სკალასთან" არსებული ,,ბრაიდენზეს" გალერეის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ბოლოს ეს ბალეტი 2006 წელს განმეორებით, ახალი ვერსიით წარმოადგინა სლოვაკეთის საბალეტო დასმა; ამერიკის შეერთებულ შტატებში პიკასოს პრემია დაიმსახურა სანკტ-პეტერბურგის (ლენინგრადის) ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულმა მისმა ბალეტმა ,,ვეფხისტყაოსანმა", რომელიც მთელმა დასავლეთის სამყარომ იხილა თეატრის გასტროლების დროს... მაჭავარიანის საავტორო უფლებებს დღეს მსოფლიოში აღიარებული ,,სიკორსკის" ელიტარული ფირმა იცავს. კიდევ მრავალი ფაქტის მოხმობა შეიძლება, რომელიც მეტყველებს ამ დიდი ხელოვანის სახელის უკვდავებაზე.

ამგვარი აღიარების უტყუარი დასტური იყო ჩემთვის შეხვედრა იაპონელ მუსიკოლოგთან კაშიკო კაშიმასთან, რომელიც 2012 წლის გაზაფხულზე სპეციალურად მაჭავარიანის მეექვსე სიმფონიის მოსასმენად პირველად ეწვია თბილისს. კაშიმა საოცრად ემოციური პიროვნება გახლდათ, დაუოკებელი ენერგიით, მოძრავი, წამით რომ ვერ ძლებდა ერთ ადგილას. იმის შიშით, რომ მისთვის ,,ბილეთის დაჯავშნა" არ დავიწყებოდათ, ვახტანგ მაჭავარიანის გასაცნობად უკვე კონცერტის ბილეთით ,,შეიარაღებული" მივიდა.

კაშიმას კონცერტის შემდეგ შევხვდი. გასაოცარი ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით საუბრობდა ქართულ სიმფონიურ მუსიკაზე, რომელსაც, როგორც გაირკვა, ძალიან ღრმად იცნობდა. სიმღერით, ამა თუ იმ წამყვანი საკრავის იმიტირებით აკეთებდა ანდრია

ალექსი მაჭავარიანი

ბალანჩივაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ნასიძის, ფელიქს ღლონტის, გია ყანჩელის სიმფონიების თემების ილუსტრაციას, მაგიდაზე ახმოვანებდა განსხვავებულ, მისთვის საინტერესო რიტმულ სტრუქტურებს. შეკითხვასაც არ ვუსვამდი, რომ არ შემეწყვიტა ეს ძალზედ შთამბეჭდავი მონოლოგი ქართული სიმფონიზმის ირგვლივ. ბოლოს მაჭავარიანზე შეჩერდა... და მცირე პაუზის შემდეგ (ეს ერთადერთი პაუზა გახლდათ) განაგრძო: *,,მაჭავარიანის საავტორო კონცერტის პროგრამის შესახებ ინტერნეტით, თქვენი ოპერის თე-*

ალექსი და ვახტანგ მაჭავარიანები გალეტ „ვეფხისტყაოსნის“ პრემიერის შემდეგ

ატრის ვებ-გვერდიდან შევიტყვე. არც დავფიქრებულვარ, ისე წამოვედი ამ კონცერტის მოსასმენად. მაჭავარიანის მუსიკა განსაკუთრებით მიყვარს. როცა გავიგე, რომ პროგრამაში მეექვსე სიმფონია იყო, მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება. სიმფონია მხოლოდ ჩანაწერით ვიცოდი და live-ში მინდოდა მომესმინა. ასევე საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა. თან საინტერესო პიანისტს, კატია სკანავის უნდა დაეკრა. სკანავი პოზიტიური შემსრულებელია, რაც ასე აუცილებელია მაჭავარიანის კონცერტის სულიერი სამყაროს გასახსნელად.

პირველად კი მაჭავარიანის მუსიკით „წინა საუკუნეში” დავინტერესდი. 1990 წელს ლიანა ისაკაძის ფირფიტა ჩამივარდა ხელში და საოცრად მოვიხიბლე. მას შემდეგ ინტერნეტით თუ სხვა საშუალებებით სისტემატურად ვეცნობოდი ამ დიდი კომპოზიტორის ნაწარმოებებს. მოკლედ, თანდათან მისი „ფანი” გავხდი. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ შევიტყვე თუ არა ვებ-გვერდიდან კონცერტის თაობაზე, თბილისს მოვაშურე. მე განსაკუთრებით მიყვარს მეექვსე სიმფონია „პრომეთე“, მაგრამ ცოცხლად მოსმენილმა, ვახტანგის დირიჟორობით, სხვა სივრცეები დამანახა. ეს ჰუმანიზმით აღსავსე ფრესკებია, ერთგვარი მშვიდობის მანიფესტია საქართველოსათვის, თუმც, მოწოდებული ყოველგვარი „პოლიტიზაციის”, პლაკატურობის გარეშე. რაც ყველაზე ძალიან მომწონს მის მუსიკაში, ეს არის თანამედროვეობისა და ეროვნულობის ლოგიკური მთლიანობა. მეექვსე სიმფონია კონცეპტუალურად და ტექნოლოგიურად შონბერგისეულია, მაგრამ ამავე დროს წარმოუდგენლად ეროვნულია. მძაფრი ექსპრესიულობა შინაგანი სულიერებიდან, ქართული სულიერებიდან იბადება. ასეთი სინთეზი იშვიათობაა. დღეს, უმეტეს შემთხვევაში, ეროვნული საწყისი იმდენად ნიველირებულია, ვერ გაიგებ, თანამედროვე ტექნოლოგიების მიღმა რა ეროვნების მუსიკა დგას. ასეა ხშირად ჩვენთანაც, იაპონიაში, რაც დასანანია. მაჭავარიანთან კი ეს ორი კომპონენტი ორგანულად თანაარსებობს და მათ უერთდება მესამე — ლამაზი თემატიზმი. თემების ეს სილამაზე ჯერ კიდევ სავიოლინო კონცერტიდან მაოცებდა, მაგრამ არც მერე გამქრალა. მაგალითად, მეოთხე სიმფონიის II ნაწილი მალერისეული ჰუმანურობით არის აღბეჭდილი, მაგრამ, იმავ დროს, ისეთივე ლამაზია და დიდებული, როგორიც ქართული მთები. შეიძლება ამ თემების ფოლკლორულ წარმომავლობაზე საუბარიც.

მე ქართული ფოლკლორის გაცნობასაც ვცდილობ. იქნებ მათი წარმომავლობა ფოლკლორულიც არის, მაგრამ სტრუქტურულად იმდენად ინდივიდუალიზებულია, რომ სრულიად დამოუკიდებელ სახეს იძენს. რიტმები! ეს უკვე მაჭავარიანის სტიქიაა — რთული, პოლირიტმული, მრავალფეროვანი, კონტრასტულ აზროვნებაზე ორიენტირებული... მოკლედ, ძალიან საინტერესო, დიდებული კომპოზიტორია! ვფიქრობ, მაჭავარიანი საქართველოსთვის ივივეა, რაც შოსტაკოვიჩი რუსეთისათვის და ბეთჰოვენი გერმანიისათვის”...

მანანა კორძაია

კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფესტივალი

უკვე შორეულ და ჩვენთვის ავად მოსაგონარ 90-იან წლებში, კერძოდ, 1997 წელს, თითქმის ათი წლის იძულებითი უმოქმედობის შემდეგ, მაღალი სტანდარტებით აღდგენილმა და განახლებულმა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის დიდმა საკონცერტო დარბაზმა საზეიმო გახსნიდან ძალიან მალე, დეკემბერში კონცერტების სერიას უმასპინძლა. დარბაზის მესვეურებმა სითბოს, სილამაზესა და ჭეშმარიტ ხელოვნებას დანატრებულ ერთგულ მსმენელს ქართველი და უცხოელი მუსიკოსების მეშვეობით დაუვიწყარი დღეები აჩუქეს. ამ თარიღით დაწყებული უკვე 15 წელია, ყოველი დეკემბრის მეორე ნახევრიდან კონსერვატორიის დიდი დარბაზი საახალწლო-საშობაო საჩუქარს უძღვნის საზოგადოებას. ასე დამკვიდრდა თბილისელი მუსიკის მოყვარულთა ცხოვრებაში საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები". ამ დროის მანძილზე ფესტივალმა ისეთი მუსიკოსების, კომპოზიტორებისა და შემოქმედებითი კოლექტივების ცოცხლად მოსმენის ბედნიერება მიანიჭა ქართველ მსმენელს, რომლითაც ნებისმიერი ამგვარი სხვა ფორუმი თავს მოიწონებდა. ასევე ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა უცხოელ და ქართველ ნიჭიერ შემსრულებლებსაც. ძალიან ხშირად ეს ფესტივალი მათთვის საქვეყნო აღიარების დასაწყისად ქცეულა.

ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, რამდენი ძალისხმევაა ჩადებული ასეთი კონცერტების ორგანიზებაში, ვინაიდან, ცნობილი შემსრულებლების საკონცერტო გრაფიკები რამდენიმე წლით არის გაწერილი და მხოლოდ ორგანიზატორების პირადი კონტაქტების მეშვეობით, ისინი ხანდახან უჰონორაროდაც კი თანხმდებიან ჩვენს ფესტივალში მონაწილეობას.

ტრადიციულად ქცეულ ამგვარ ღონისძიებებს ხშირად ორი უკიდურესი ხვედრი ელის — ხშირ შემთხვევაში ისინი უფერულდება, ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდება. ან პირიქით, დროსთან ერთად მოსული გამოცდილება ორგანიზატორებს სიახლეებისაკენ, ექსპერიმენტებისაკენ და მრავალფეროვნებისაკენ სწრაფვის სტიმულს აძლევს. სწორედ ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნება „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები",

კონსტანტინ შამრაი

რომლის დამფუძნებელი და უცვლელი ორგანიზატორია ცნობილი პიანისტი, კონსერვატორიის დიდი დარბაზის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილისა და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი მანანა დოიჯაშვილი. ქ-ნი მანანა და მისი გუნდი — კონსერვატორიის დიდი დარბაზის შემოქმედებითი კოლექტივი, უხმაუროდ და ამავე დროს ძალდაუზოგავად ცდილობს ფესტივალის დევიზი — „სიამოვნება და სიხარული მიანიჭოს მსმენელს“ — ყოველ ჯერზე გამართლებული იყოს და მოიზიდოს განსხვავებული გემოვნების და ასაკის აუდიტორია. ამიტომ „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ არ მიეკუთვნება თემატური ფესტივალების რიგს. მასში თავისთვის საინტერესოს ყოველთვის იპოვის ფოლკლორული, ჯაზური, კამერულ-ინსტრუმენტული, საფორტეპიანო, ვოკალური თუ სიმფონიური მუსიკის მოყვარული. კონცერტების ასეთი ჟანრული მრავალფეროვნება გამიზნულია იმ ახალგაზრდა თაობისთვისაც, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის კლასიკური მუსიკის ხშირი მსმენელი.

მანანა დოჯაშვილი: *„ჩვენი მიზანი სწორედ ისაა, რომ ამ კონცერტებით ახალგაზრდა თაობა მოვაბრუნოთ დიდი ხელოვნებისაკენ. რაც უფრო მეტი ახალგაზრდა ივლის ასეთ ღონისძიებებზე ეს ქვეყანას წაადგება. მართალია, კლასიკური მუსიკის კონცერტები ის სფეროა, სადაც შემოსავალი თითქმის არ შემოდის, მაგრამ ეს ის სფეროცაა, რომლის გარეშეც სულიერებას ძალიან გაუჭირდება. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო აიღებს კლასიკური მუსიკის ფესტივალების მოწყობის ფინანსურ ვალდებულებას. ჩვენ კი, სამწუხაროდ, უკვე მეორე წელია, რაც კულტურის სამინისტრომაც კი შეგვიწყვიტა ფინანსური მხარდაჭერა და რასაც ვაკეთებთ — მხოლოდ საკუთარი ძალებით ვახერხებთ“.*

ვინაიდან წლევანდელი ფესტივალი საიუბილეო იყო, ორგანიზატორების სურვილით მასში მონაწილეობა ძირითადად მხოლოდ ქართველმა მუსიკოსებმა მიიღეს. იმ შემსრულებლებმა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ და ხშირად ვერ ახერხებენ მშობლიურ ქვეყანაში ჩამოსვლას. თავისი ხელოვნება აჩვენეს იმ მუსიკოსებმაც, ვინც სამშობლოში ემსახურება ქართული კულტურის განვითარებას.

წლევანდელი ფესტივალის ერთადერთი უცხო და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი სახელი იყო კონსტანტინ შამრაი — ახალგაზრდა პიანისტი, რომლის კონცერტმაც ნამდვილად დაამშვენა ფესტივალი.

27 წლის მუსიკოსი მოსკოვის გნესინების მუსიკალური აკადემიის კურსდამთავრებულია და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია. წარმატებით გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თანამშრომლობს გამოჩენილ ორკესტრებთან, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში. შამრაის ბოლო საკონკურსო წარმატება დაკავშირებულია სიდნეის პიანისტთა IX საერთაშორისო კონკურსთან, სადაც მან პირველი პრემია და 6 სპეციალური პრიზი მოიპოვა. ჟიურის წევრი ქ-ნი მანანა დოიჯაშვილი ისე მოიხიბლა მუსიკოსის ხელოვნებით, რომ გადაწყვიტა იგი ფესტივალის მსმენელისთვისაც გაეცნო. კ. შამრაიმ თბილისურ სოლო კონცერტზე ბახის, სკრი-

აბინის, რაველის, პროკოფიევის და განსაკუთრებით ლისტის ნაწარმოებთა ვირტუოზული, საუკეთესო ინტერპრეტაციით მონუსხა საზოგადოება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ნამდვილი აღმოჩენა გახდა ყველასათვის. უეჭველია, რომ ეს არაჩვეულებრივად ნიჭიერი პიანისტი მომავალში მეტ პოპულარობას მოიპოვებს და თუკი შამრაი კვლავ ესტუმრება ჩვენს დედაქალაქს, მის კონცერტს ნამდვილად ბევრად მეტი მსმენელი ეყოლება.

ქართული ფოლკლორი – ჩვენი ერის კულტურული ღირებულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულებაა და მასთან შეხება თითოეულ ჩვენგანს ყოველ ჯერზე დამსახურებული სიამაყის გრძნობას გვრის. ამიტომ ძალიან სასიამოვნოა, რომ ხალხური სიმღერისა და ცეკვის კონცერტებს ყოველთვის დიდი აუდიტორია ჰყავს, მაგრამ მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდისა და ანსამბლ „სახიობას“ კონცერტზე მოსულმა მსმენელთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საზოგადობამ უკვე გამოცდილებით იცოდა, რომ ქართული სიმღერის სიყვარულით გულანთებული ამ ახალგაზრდების შესრულებით აუცილებლად მოისმენდა მისთვის უცნობ ქართულ მარგალიტებს, იმ ნიმუშებს, წინა თაობებმა რომ ჩაიწერეს და დღემდე ელოდებიან გამშიფრავს და პირველ საჯარო შემსრულებელს. როცა ხუთი წლის წინ, მალხაზ ერქვანიძემ ანსამბლი „სახიობა“ ჩამოაყალიბა, სწორედ ამ მისიის შესრულება ჰქონდა მიზნად. თანაც ეს არაჩვეულებრივი მუსიკალური სმენის და ალღოს მქონე ეთნომუსიკოლოგი და ლოტბარი ჯერ კიდევ სტუდენტობიდან მოყოლებული დადიოდა კუთხე-კუთხე თავის პედაგოგებთან ერთად და აგროვებდა უნიკალურ სიმღერებს.

როგორც ბ-მა მალხაზმა გვითხრა, ანსამბლის მიზანია თავისი წვლილი შეიტანოს ხალხური სიმღერასაგალობლების ძველი ქართული ბგერწყობის აღდგენაში და სიმღერა შეასრულოს ქართული სასიმღერო წყობის დაცვით. ფესტივალის კონცერტზე შესრულდა საწესო, ისტორიული, საფერხულო სიმღერები; ეროვნული საგანძურის ის ნიმუშები, რომელთა უმეტესობა 1907-10 წლებშია ჩაწერილი. კონცერტზე სიურპრიზებიც ელოდა მსმენელს — ლეგენდარული არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერს მომღერლებმა ორი ხმა დაადეს და თითქოს ცოცხლად მოგვასმენინეს ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე. ასევე სვანეთიდან ჩამოსული უხუცესთა ანსამბლი გაიცნო მსმენელმა.. თურმე „სახიობა“ ძველი ქართული სიტყვაა და მწყობრ, ტკბილხმოვან სიმღერას ნიშნავს. ძალიან სასიამოვნო და საამაყოცაა, რომ მალხაზ ერქვანიძის გუნდისა და ანსამბლის კონცერტზე სწორედ ასეთი სიმღერა ჟღერდა.

გიორგი ბაბუაძე

ალბათ სიმღერისადმი გენეტიკური დამოკიდებულების მაჩვენებელია ისიც, რომ ჩვენში ვოკალურ მუსიკას ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესი სდევს თან. ამიტომ „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ ყოველთვის უთმობს ამ ჟანრს ადგილს. წელს ფესტივალზე ეს რუბრიკა ლეგენდარულმა ქართველმა ტენორმა ზურაბ სოტკილავამ წარმოადგინა. მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი ურთულესი ჟანრით — რომანსით და ასევე საოპერო არიებით წარსდგა მსმენელის

ლიანა ისაკაძე

გურაბ სოტკილავა

წინაშე და თავისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს ნამდვილი დღესასწაული მოუწყო. დიდმა მაესტრომ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მის მომხიბლავ ხმას, უზადო პროფესიონალიზმსა და უსაზღვრო არტისტიზმს დრო ვერაფერს აკლებს. როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა *„ბურაბ სოტკილავას ოსტატობა იმდენად სრულყოფილია, რომ მან თავისი ოსტატობით ასაკი გააუფერულა“*. მომღერალმა შეუძლოდ ყოფნის მიუხედავად, აღფრთოვანებულ მსმენელს ორ განყოფილებიანი კონცერტის მერე, ბისზე კიდევ ერთი, მესამე განყოფილება შესთავაზა. რაც უფრო მეტს მღეროდა მაესტრო, მით უფრო იზრდებოდა მისი შესრულების ხარისხი. ამ კონცერტით ბატონმა ზურაბმა ისიც დაგვანახა, რომ იგი ასევე დიდი პედაგოგიცაა — კონცერტზე მას ღირსეული პარტნიორობა გაუწია მისმა ორმა მოსწავლემ — მოსკოვის კონსერვატორიის კურსდამთავრებულებმა მარინა ნაჭყებიამ და ქსენია ლეონიდოვამ.

პირველად არ არის, როცა „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ ერთი საღამო ჯაზურ მუსიკას ეთმობა. ჯაზისადმი ინტერესი საქართველოში რომ ძალიან დიდია, ამაზე ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით ჩატარებული ამ მიმართულების უმაღლესი ხარისხის ფესტივალებიც მოწმობენ. კონსერვატორიის დიდი დარბაზის ორგანიზატორები პრიორიტეტს ანიჭებენ აღიარებულ, თუმცა ჩვენში ნაკლებად ცნობილ სახელებს. ასეთები იყვნენ ჯეკი ტერასონი, იარონ ჰერმანი და მათი ტრიოები. ასეთები არიან წელს მოწვეული მუსიკოსებიც — ბასისტი ბენ უილიამსი და დრამერი მარკუს გილმორი. თუმცა განსაკუთრებული ინტერესი ჯაზის საღამოს მიმართ მხოლოდ ამ გვარებით არ იყო გაპირობებული; ტრიოს მესამე წევრი, ვირტუოზი მუსიკოსი ბექა გოჩიაშვილი გახლდათ. მის შემოქმედებით წინსვლას განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს არა მარტო ჯაზის მოყვარულთა ნაწილი, არამედ ისინიც, ვინც ამ ხელოვნების მიმართ გულგრილია. ბექა პირველი მუსიკოსია ჯაზის სამყაროში, ვინც ათი წლის ასაკიდან ძალიან ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობს თავის სათქმელს. *„ბექა გოჩიაშვილი ბრწყინვალე ახალგაზრდა ვუნდერკინდი პიანისტია, თქვენ ბევრს გაიგებთ მის შესახებ უახლოეს მომავალში“* — როცა ეს სიტყვები დიდმა ჩიკ კორეამ ორი წლის წინ თქვა ქართველ ბიჭუნაზე, სამშობლოში მასზე უკვე ბევრსაც საუბრობდნენ, ხოლო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარებული პირველი სოლო კონცერტის მერე დიდ იმედებსაც ამყარებდნენ. დღეს კი, 16 წლის ბექაზე ვერაფრით იტყვი, რომ ის დამწყე-

ბი მუსიკოსია. პირიქით, მისი შესრულება, მუსიკირების საკუთარი ხელწერა, ფრაზირება, ბგერის ხარისხი და ტექნიკურად შესრულებული პასაჟები ყველას ავიწყებს ქართველი ჯაზის მუსიკოსის ასაკს. მის მიერ შესრულებული სტანდარტული თემები ახალი ფრაზირებით, ახალი ჟღერადობით მსმენელის მღელვარე ოვაციებს იწვევდა. მის დაკვრაში იგრძნობოდა, რომ იგი ლიდერი იყო ანსამბლში.

კიდევ ერთი ანსამბლი, რომელიც ახალგაზრდული ასაკისაა, მაგრამ უკვე მაღალი რეპუტაციით სარგებლობს, არის თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“. კოლექტივი 2008 წელს დაარსდა და ძალიან მალე საერთაშორისო ასპარეზზეც მიაღწია წარმატებებს. მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე კოლექტივს ხშირად იწვევენ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში. მასთან სიამოვნებით თანამშრომლობენ აღიარებული დირიჟორები და სოლისტები. თავისი ნაწარმოების შესრულებას ანდობენ გამოჩენილი კომპოზიტორები. „საქართველოს სიმფონიეტა“ საახალწლო კონცერტებზე უკვე მეორედ არის მოწვეული. ამჯერად მან პარტნიორობა გაუწია იაპონიაში მოღვაწე დირიჟორ გიორგი ბაბუაძეს და XX საუკუნის საუკეთესო მუსიკოსთა სიაში შესულ ცნობილ მევიოლინე ლიანა ისაკაძეს. კონცერტზე ჟღერდა პეტრე ჩაიკოვსკის ადრეული პერიოდის მუსიკა. „მოგონებები ფლორენციაზე“ სიმებიანი სექსტეტისთვისაა შექმნილი, მაგრამ ორკესტრის ჟღერადობით ეს პოეტურობით სავსე ნაწარმოები, ვფიქრობ, ოდნავ გაფერმკრთალდა.

„მელანქოლიური სერენადა“, „ვალსი-სკერცო“, „ფიქრი“, „სკერცო“, „მელოდია“ საფორტეპიანო ოპუსებია. დიდი რუსი კომპოზიტორის ნაწარმოების ერთერთი საუკეთესო ინტერპრეტაცია ამჯერად ლიანა ისაკაძემ შესთავაზა მსმენელს. ეს ერთი შეხედვით სადა, მარტივი პიესები თავისი სიფაქიზით, პოეტური განწყობით და ამავდროულად ღრმა ჩანაფიქრით, თავის დროზე გახდა იმის საბაბი, რომ გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს, ორკესტრობის უბადლო მცოდნეს სულხან ცინცაძეს სპეციალურად ლიანა ისაკაძისათვის დაემუშავებინა ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის. ამიტომაცაა ეს ნაწარმოები ქ-ნი ლიანასათვის გამორჩეულად ძვირფასი და ალბათ ამიტომაც ასრულებს მას ყოველთვის განსაკუთრებული აღმაფრენით. ბისზე კი, როგორც მაესტროს სჩვევია, საახალწლო განწყობის სადარი მუსიკით დაემშვიდობა მადლიერ მსმენელს.

თენგიზ ამირეჯიბი

ფესტივალის ერთერთი ყველაზე ამაღელვებელი საღამო გამოდგა გალა-კონცერტი, რომელიც გამოჩენილი ქართველი პიანისტის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიის ლაურეატის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის თენგიზ ამირეჯიბის დაბადებიდან

ქსენია ლეონიდოვა

მარინა ნაჭყებია

85 წლის იუბილეს მიეძღვნა. „ბრავო მაესტროს“ რუბრიკით წარმოდგენილი ეს კონცერტი თავისი ემოციურობით, საუკეთესო, დიდი დარბაზისათვის უჩვეულო შემსრულებლებით, საპრემიერო მუსიკით, დრამატურგიითა და რაც მთავარია, კონცერტის ადრესატისადმი გამორჩეული დამოკიდებულებით, სამუდამოდ დარჩება საზოგადოების მეხსიერებაში.

ბ–ნი თენგიზი ერთნაირად დიდი სიყვარულით უყვარს მუსიკოსსა და არამუსიკოსს. ის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ამ დიდგვაროვან, დიდბუნებოვან ადამიანს, პიროვნებასა და მოქალაქეს, არისტოკრატს — გარეგნული თვალსაზრისითაც, შეუძლებელია ამ ურთიერთობამ უკვალოდ ჩაიაროს მეორე პირის საკეთილდღეოდ. თ. ამირეჯიბის ნაყოფიერმა არტისტულმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის, მნიშვნელოვნად განაპირობა ქართული საშემსრულებლო ხელოვნების განვითარება და საყოველთაო აღიარება. სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ბევრი ის ქართული საფორტეპიანო ნაწარმოებიც, რომელიც პირადად თენგიზ ამირეჯიბისათვის შეიქმნა. თენგიზ ამირეჯიბი მრავალი ქართველი პიანისტის აღმზრდელია, რომელთა უმრავლესობა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. ქ–ნი ნუგეშა მესხის იუმორნარევ ლექსს თუ დავესესხებით, რომელიც ავტორმა საიუბილეო კონცერტზე თავად წაიკითხა, ბ–ნ გიზის გახსნილი აქვს „ შ.პ.ს. ლაურეატი“ რომელთა შორის არიან: მ. დოიჯაშვილი, ა. კორსანტია, ე. ბოლქვაძე, მ. ნადირაძე, თ. ლიჩელი, თ. გურევიჩი, ნ. ასტახიშვილი, ვ. ჟორდანია, ხ. ბუნიათიშვილი და სხვები. ამჟამად მას კონსერვატორიასა და სამუსიკო სემინარიაში ჰყავს მოსწავლეები, რომელთაც სავარაუდოდ ახლო მომავალში ამ შ.პ.ს.–ს რიგებში ვიხილავთ.

ბ-ნი თენგიზისადმი მიძღვნილ საღამოზე დასწრების იმდენი მსურველი იყო, რომ დარბაზმა ვერ დაიტია მოსულთა რაოდენობა. საღამოს დაწყებამდე ფეხზე მდგომი საზოგადოება ხანგრძლივი ოვაციით, მოწიწებით შეეგება იუბილარ დიდ მაესტროს.

ფესტივალების ამგვარი მიძღვნა-კონცერტების სცენარის ავტორი ტრადიციულად მანანა დოიჯაშვილია. თავისი პედაგოგის საიუბილეო საღამოც მისი თაოსნობით შეიქმნა, რომლის დიდი ნაწილი საფორტეპიანო მუსიკას დაეთმო. შემსრულებლები, ბუნებრივია, ბატონი თენგიზის აღზრდილები იყვნენ. ირმა გიგანი, მარინა ნადირაძე, ვახტანგ ჟორდანია, მანანა დოიჯაშვილი, თამარ ლიჩელი, ალექსანდრე კორსანტია, ხატია ბუნიათიშვილი – სხვადასხვა რანგის, დამსახურების, ინდივიდუალობისა და შესაძლებლობების პიანისტები არიან, მაგრამ ამ საღამოზე მათ შესრულებაში იგრძნობოდა ერთი დამახასიათებელი შტრიხი – თითოეულ მათგანს მოხსნილი ჰქონდა ყოველგვარი რეგალია და დამსახურება. ისინი იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც კიდევ ერთხელ აბარებდნენ გამოცდას თავისი მაესტროს წინაშე. მანანა დოიჯაშვილმა ასევე გაითვალისწინა თავისი პედაგოგის დიდი სიყვარული კამერული, ვოკალური და საბალეტო ჟანრების მიმართ და ხელოვნების ამ სფეროების წარმომადგენლებიც მოიწვია სცენაზე. ღრმა პატივისცემა დიდი შემოქმედის მიმართ თავისი ხელოვნებით გამოხატეს მომღერალმა მარიკა გულორდავამ, კონცერტმაისტერმა თემურ ელიავამ, ჩელისტმა ჰაიკ ბაბაიანმა, სულხან ცინცაძის სახ. სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა. კონსერვატორიის დიდი დარბაზის ისტორიაში პირველად შესრულდა საბალეტო ნომერი. ნინო ანანიაშვილმა ჩვეული ჰაეროვნებითა და მომაჯადოებელი ცეკვით სენ-სანსის „გედი“ უსახსოვრა იუბილარს.

კონცერტის კულმინაცია კი იყო სპეციალურად ამ დღისათვის დაწერილი სოსო ბარდანაშვილის "Perpetuum Gizi" პიესა ორი ფორტეპიანოს, სიმებიანი კვარტეტისა და დასარტყამი ინსტრუმენტისთვის.

სოსო ბარდანაშვილი: *„ჩემთვის გიზი განსაკუთრებულად ძვირფასი ადამიანია. რომ დაგვჭირდეს საუკეთესო ქართველის კოსმოსში გაშვება, ერთ-ერთი აუცილებლად გიზი იქნება და ეს მარტო ჩემი აზრი არ*

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“

იქნებოდა. მასში თავმოყრილია ადამიანის საუკეთესო თვისებები. როცა მანანა დოიჯაშვილმა მთხოვა სპეციალურად ამ საღამოსათვის დამეწერა ხუთწუთიანი ნაწარმოები, თან ძალიან გამიხარდა და თან ვინერვიულე, რადგან მინდოდა საღამოს შესაფერისი რამ გამომსვლოდა“.

ჩვენი დროის ერთ-ერთ შესანიშნავ კომპოზიტორს მართლაც არ დაუკლია ცდა... ნაწარმოები, რომლის შესრულებაში ალექსანდრე კორსანტიასთან, თამარ ლიჩელთან, მარინა ნადირაძესთან, მანანა დოიჯაშვილთან და სიმებიან კვარტეტთან ერთად თავად კომპოზიტორმა – როგორც დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელმა მიიღო მონაწილეობა, ძალიან ლამაზი და ეფექტური გამოვიდა.

„არასოდეს დავიღლები იმის აღნიშვნით, რომ თუკი რამეს ვაკეთებ მუსიკაში, ამას ჩემი მაესტროს – ბ-ნი გიზი ამირეჯიბის გარეშე ნამდვილად ვერ შევძლებდი. ვფიქრობ, რომ ჩვენ, გიზის მოწაფეები, ცოტათი უფრო უკეთესები ვართ იმაზე, ვიდრე ვიქნებოდით მის გარე-

ალექსანდრე კორსანტია

შე.“ ეს სიტყვები, რომელიც ბ-ნი თენგიზის მოსწავლეთა უმრავლესობის აზრსაც გამოხატავს, ალექსანდრე კორსანტიას ეკუთვნის, იმ მუსიკოსს, რომელმაც ამ ფესტივალის სოლო კონცერტზე კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, თუ როგორი ღირსეული მოსწავლეა იგი თავისი პედაგოგისა.

ალექსანდრე კორსანტია იმ ბედნიერ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც მსმენელი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულითა და მოლოდინით ეგებება. პიანისტის მიმართ ასეთი კეთილგანწყობა მის განსაკუთრებულ ნიჭთან, არტისტიზმთან და პროფესიონალიზმთან ერთად, უთუოდ საშას პიროვნული თვისებებითაც არის გაპირობებული. იგი ისეთივე არაჩვეულებრივი, დიდი და ამავდროულად სადა ადამიანია, როგორიც მისი შემოქმედება. კორსანტია არასოდეს არ არის ორიენტირებული ფართო მსმენელის გემოვნებაზე, ცდილობს იაროს გაუკვალავი გზით, ყოველთვის ახალი კონცეფციის, ახალი ჟღერადობის ძიებაშია და ამიტომაც არის მისი კონცერტები ყოველთვის საინტერესო. ხოლო ფესტივალის ეს საღამო, რომელიც ბეთჰოვენის ადრეული პერიოდის შემოქმედებას მიეძღვნა (საფორტეპიანო სონატები №4,12, ვარიაციები ფუგით თხზ.35), დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი პიანისტის მიერ თბილისში ჩატარებულ საუკეთესო კონცერტებს შორის ყველაზე გრანდიოზული გამოდგა და ნამდვილად საეტაპო მნიშვნელობა შეიძინა. კონცერტის მერე გაკეთებული მისი კომენტარიც, ვფიქრობ, ამის დასტურია.

საშა კორსანტია: *„როგორც ჩანს, ბეთჰოვენი არ მობეზრებია ხალხს. დიდი ხანია ვეძებ ამ გენიოსამდე მისასვლელ გზას და ვხვდები, რომ ახლაღა ვიწყებ მის სამყაროში შესვლას. თუმცა აქამდე ბევრჯერ დამიკრავს ბეთჰოვენი. ვფიქრობ, მან გამიღო კარი და ამ ლაბირინთში უფრო ღრმად მინდა შევიდე. ალბათ არ დავიკარგები!”*. თუკი საშა კორსანტიას არ აკმაყოფილებს ნაპოვნი და კიდევ მეტის პოვნის სურვილი აქვს, მისი უსაზღვრო ნიჭის, ალღოს, გონებისა და უნარის გათვალისწინებით, უნდა ვირწმუნოთ, რომ მომავალი შეხვედრა პიანისტთან კიდევ ერთი საოცრების მომსწრეს გახდის მის მსმენელს.

„საახალწლო მუსიკალური შეხვედრების” რიგით XV ფესტივალმა ისეთივე წარმატებით ჩაიარა, როგორც მისმა წინამორბედებმა.

კონცერტების შემდეგ, როდესაც ქ-ნ მანანა დოიჯაშვილს ვთხოვეთ ფესტივალის შეფასება, მან შემდეგი განაცხადა: *„მიხარია, რომ ფესტივალმა კარგად ჩაიარა, მაგრამ წარმატებით ტკბობის არც დრო და არც ფუფუნება არ გვაქვს. წინ არის შოპენის სახელობის ნორჩ პიანისტთა კონკურსი, თბილისის პიანისტთა საიუბილეო, რიგით მეხუთე საერთაშორისო კონკურსი და მორიგი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“. ამ ღონისძიებებისათვის მზადება უკვე კარგა ხნის დაწყებული გვაქვს. ამ კონკურსებს ელოდება ახალგაზრდობა, რომელთა უმრავლესობისათვის ეს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის დიდი შანსი გახდება. მომავალში კი რომელიმე მათგანი ალბათ ჩვენი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ სტუმარიც იქნება“.*

ფესტივალის დევიზს — „სიამოვნება და სიხარული მიანიჭოს მსმენელს“, ნამდვილად აქვს კიდევ მესამე მიზანი — უკეთესი გახადოს მომავალი თაობა.

ნანა ღვინიანიძე

ნოდარ ანდღულაძე

ის ჯერ კიდევ ჩვენთან არის

ის ჯერ კიდევ ჩვენთან არის. მისი წასვლის შემდეგ სულ ვიხსენებთ, მასზე ვსაუბრობთ და ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ ჩვენთან არის. ყველამ ვიცით თუ რა დიდი პიროვნება დავკარგეთ, მაგრამ ამის ბოლომდე გაცნობიერებას მაინც დრო სჭირდება. დავკარგეთ დიდი მომღერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საერთოდ – დიდი პიროვნება!

ალბათ, ნოდარ ანდღულაძე თავის პირველ სპეციალობას — ენათმეცნიერებას რომ გაჰყოლოდა, არანაკლებ სიდიდეს მიაღწევდა. დიდი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა არავის გასტირებია ისე, როგორც ნოდარს. თუმცა, მისი ასი წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, როდესაც ნოდარმა და მე აბესალომისა და მურმანის დუეტი შევასრულეთ, ასი წლის იუბილარმა თავის ყოფილ მოწაფეს უთხრა: — ძალიან ბევრს დაკარგავდა ვოკალური ხელოვნება, შენ რომ ამ გზას არ გაჰყოლოდიო.

ნოდარ ანდღულაძე–პედაგოგი ეს კიდევ ცალკე დიდი და ვრცელი თემაა. ამის სათავე დიდი დავით ანდღულაძის მოღვაწეობიდან მოდიოდა. დავით ანდღულაძე გახლდათ პრაქტიკოსი–პედაგოგი, გარდა ამისა, მას ვოკალის მეთოდიკა მეცნიერულადაც ჰქონდა დამუშავებული. ივი ამ საკითხებზე მუშაობდა ჩვენს შესანიშნავ ფონიატრ მარინე ნოზაძესთან ერთად. ეს

მასალა, საბედნიეროდ, შემონახულია ხელნაწერების სახით. ნოდარს მიღებული ჰქონდა ეს ბრწყინვალე სკოლა, ამას დაემატა იტალიაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება და ყოველივე ამის შეჯერებით ის შეუდგა ვოკალურ ხელოვნებაში თავისი ხაზის გატარებას. ნოდარი გახლავთ ჩამომყალიბებელი ქართული ვოკალური აზროვნების. მისი მიღწევები ცნობილია არამხოლოდ ჩვენში. რომ გადავხედოთ ევროპის, ამერიკის საოპერო თეატრებს, სულ არიან ნოდარის მოწაფეები ან მისი მოწაფეთა მოწაფეები. ძალიან ცოტაა საერთაშორისო დონის ქართველი მომღერალი, ვისაც რაღაც დონით მაინც არ ჰქონოდა შეხება ნოდართან.

ანდღულაძეების სახლზეც ხომ დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. ამ სახლში თაობები გაიზარდნენ. ამ სახლს არა მხოლოდ სტუმრობდნენ, არამედ აქ ბევრი — თუ ქართველი, თუ უცხოელი ცხოვრობდა კიდეც. ქუთაისიდან ჩამოსულები აუცილებლად აქ ჩერდებოდნენ, ეს ტრადიციად იქცა. თითქმის ყველა შინაურულად გრძნობდა თავს. მე კი ბოლომდე გამომყვა ის უდიდესი რიდის გრძნობა, რაც ამ სახლში ფეხის შემოდგმისას გამიჩნდა. ასე მოკრძალებული არსად არ ვყოფილვარ. ამ დროს ამ სახლში გავიზარდე. თავდაპირველად ბატონი დავითის მოწაფე გახლდით. მაგრამ მის სიცოცხლეშიც კი, განსაკუთრებით მისი ავადმყოფობისას ხშირად ნოდარისგანაც მიმიღია კონსულტაცია. ბატონი დავითის გარდაცვალების შემდეგ ხომ დღევანდლამდე ჩემი და ჩემი მოწაფეების შემოქმედებით ცხოვრებაში ყველა საკვანძო საკითხი ნოდართან უნდა შემეთანხმებინა. მისი შენიშვნები და მითითებები აუწონავი იყო.

ანდღულაძეების სახლისადმი ჩემს უკიდურესად მოკრძალებულ დამოკიდებულებას თვითონ ნოდარი აშარჟებდა, პაროდირებას ახდენდა, თუ როგორ შევდიოდი მათ სახლში. საერთოდ იმიტაციის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ეს იშვიათი სიმკაცრისა და სერიოზულობის კაცი, ზოგჯერ მრისხანე და შეუვალიც განსაკუთრებით იხსნებოდა თავის დაბადების დღეს — 13 დეკემბერს. ერთ ასეთ დღეს სიურპრიზი გავიკეთა — წარმოგვიდგინა საოპერო სტუდიის სპექტაკლი — „პორგი და ბესი“, დეტალური იმიტაცია მოახდინა ყვალა ჩვენთაგანის გამოსვლისა და მოძრაობის. ეს იყო მაღალი გემოვნების ხელოვნებისა და იუმორის ფეიერვერკი. მე კიდევ ერთი ბედნიერება მხვდა წილად — ნოდარის დაბადების დღეს მუდამ გახლდით თამადა. ერთხელაც, სწორედ მის 80 წლისთავზე, როდესაც საიუბილეო საღამოს შემდეგ დავბრუნდით სახლში, შევეცადე განსაკუთრებული სიტყვები მეთქვა იუბილარისთვის, რასაც ის ნამდვილად იმსახურებდა. მაშინ არანაირი პასუხი არ გაუცია, მაგრამ მომდევნო წელს, როდესაც შევიკრიბეთ, გამოაცხადა; — თამადა, როგორც ყოველთვის, იქნება ელდარი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ისეთ რამეებს არ იტყვის, შარშან რომ თქვაო. და, აი, ერთ–ერთი რა ვთქვი მაშინ: იუგოსლავიაში „ტრუბადურში“ ნოდარ ანდღულაძის მანრიკოს ისეთი წარმატება ჰქონდა, რომ პრესაში დაწერეს: — მთელ მსოფლიოში ვეძებდით კარუზოს და თურმე ის ყოფილა თბილისშიო.

ჩემი პირველი გასვლა საზღვარგარეთ, საბედნიეროდ, ნოდარ ანდღულაძესთან და ცისანა ტატიშვილთან ერთად შედგა, „პრაღის გაზაფხულზე“ „პიკის ქალში“ მივიღეთ მონაწილეობა. არ დამავიწყდება რა ტრიუმფი იყო ამ ორი დიდი მომღერლის წყალობით, მესაზღვრეებიც კი ტაშის კვრითა და ავტოგრაფების თხოვნით გვაცილებდნენ.

ნოდარის, როგორც პროფესიონალის ერთ თვისებაზე მინდა ყურადღება გავამახვილო — ის ვერ იტანდა, როდესაც შესრულებისას ამახინჯებდნენ ტექსტს, როგორც მუსიკალურს, ისე სიტყვიერს. თავად თითოეულ ნოტს უფრთხილდებოდა. განსაკუთრებით მგრძნობიარე კი ქართული რეპერტუარისადმი დამოკიდებულებისას იყო. ფალიაშვილზე ამბობდა, რომ ეს ჩვენი ოჯახის ყოველდღიურობა არისო. საერთოდ, მისი პატრიოტიზმი სამაგალითო იყო. მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი და ყველგან უდიდესი სიყვარული დატოვა. მაგალითად, მისი დასაფლავების მეორე დღეს სვანეთიდან დარეკეს და თქვეს, რომ გუშინ ჭირის სუფრა გადავუხადეთ ბატონ ნოდარსო.

ახლა კი ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ ნოდარი ისევ ჩვენთან არის, მაგრამ, აი, როდესაც გაიხსნება განახლებული საოპერო თეატრი და ყველას დაგვჭირდება ნოდარ ანდღულაძის ბრძნული რჩევები, მაშინ შევიგრძნობთ მთელი არსებით, თუ ვინ დავკარგეთ.

ელდარ გენაძე

მოგესალმებით ჩვენო საყვარელო ბავშვებო,

ჩვენ გთავაზობთ მოსასმენ სანახაობას, რომელსაც სახელად ჰქვია ოპერის თეატრი. სანახაობით თქვენ გაერთობით, მოსმენით – დატკბებით. თქვენ ხომ გიყვართ თოჯინები, ხატვა, სიმღერა და თეატრი, ეს ყველაფერი თავმოყრილია თქვენთვის შექმნილ ოპერაში. სიმღერა და ოპერა ყოველთვის სიყვარულზე მღეროდა თქვენი დაბადებით დაწყებული, ვიდრე ღრმა მოხუცებულობამდე. სიყვარული კი ბედნიერება და სიკეთეა.

ჩვენ გვინდა, რომ თქვენ შეიყვაროთ ეს მოსასმენი სანახაობა და დიდხანს დარჩეთ მისი ერთგული.

მოგესალმებით ძვირფასო მშობლებო,

თქვენთვის და თქვენი პატარებისათვის ვქმნით თოჯინების საბავშვო ოპერას, რომელიც ერთდროულად სანახაობაც არის და მოსასმენიც. დარწმუნებულები ვართ ასეთი საბავშვო თეატრი თქვენც გაგახსენებთ თქვენს ბავშვობას და თქვენს შვილებთან და პატარებთან ერთად დატკბებით და იმხიარულებთ სანახაობითაც და მუსიკითაც, რის ერთიანობასაც წარმოადგენს ოპერა.

საბავშვო „თოჯინების ოპერის თეატრი“ მიზნად ისახავს ჩვენს პატარებს ბავშვობიდან ჩაუნერგოს ოპერის, როგორც სინთეზური ხელოვნების ნაწარმოების გაცნობა, გაგება და სიყვარული, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების სულიერ ჩამოყალიბებას. სასურველია თქვენთან ერთად განვიხილოთ ბავშვთა კულტურული განვითარების საქმეში ჩვენი წამოწყების შედეგები და ამოცანები.

იმედი გვაქვს ბავშვებთან ერთად თქვენც მიიღებთ სიამოვნებას.

პატივისცემით
საბავშვო „თოჯინების ოპერის თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი
ნოდარ ანდღულაძე

ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

(პრობლემური ჩანართით)

ესაა დიდი ქართველი მუსიკოსის, მოაზროვნისა და მოღვაწის, ცნობილი საოპერო მომღერლისა და პედაგოგის, ნოდარ ანდღულაძის ერთ-ერთი უკანასკნელი მიმართვა, რომელიც, სამწუხაროდ, მომავალ თაობებთან და საზოგადოებასთან დამშვიდობებაც აღმოჩნდა...

ერთ-ერთი ქართველი სახელოვანი მოღვაწის დაკრძალვისას ბ-ნ ვახუშტი კოტეტიშვილს გულისტკივილით უთქვამს: „სატირალი ისაა, რომ ის თიხა ილევა, რომლითაც ასეთი ადამიანები იძერწებოდნენ-”ო. ამას ბ-ნი ნოდარ ანღულაძეც გრძნობდა და მისი სატკივარიც იყო. ხოლო თიხა რომ არ გამოლეულიყო, სწორედ ამისათვის მომავალ თაობებზე ზრუნვა იყო ბ-ნი ნოდარის მთავარი საფიქრალი. ეს მის სიტყვაშიც და საქმეშიც კარგად ჩანს.

ნოდარ ანდღულაძემ, პროექტის ავტორთან და ხელმძღვანელთან, თავის ერთგულ შეგირდთან და თანაშემწესთან, გური ზაქარეიშვილთან ერთად კიდევ ერთ მნიშვნელოვან ახალ წამოწყებას დაუდო სათავე.

ბესო კუპრეიშვილი, გური ზაქარეიშვილი

ეს არის საბავშვო ,,თოჯინების ოპერის თეატრი", პირველი საოპერო თოჯინების თეატრი საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. ბ-ნი ნოდარი იყო ამ საშვილიშვილო წამოწყების სამხატვრო ხელმძღვანელი და კონსულტანტი.

როგორც პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, გური ზაქარეიშვილი, აღნიშნავს, საბავშვო საოპერო თეატრის შექმნის იდეა, ჯერ კიდევ 10 წლის წინ დაბადებულა: ,,**10 წლის წინ ისეთი სიტუაცია იყო საქართველოში, რომ სმენადობა არ არსებობდა. ბავშვი თუ ცუდ მუსიკას ისმენს, მისგან ძალადობა მოდის. რენესანსმა წარმოშვა ოპერის თეატრი. ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვემატებინა თოჯინა**".

როგორც საქართველოში ხშირად ხდება ხოლმე, ამ იდეამ დიდხანს ვერ იხილა დღის სინათლე, ეს პირველ ყოვლისა უსახსრობის გამო მოხდა. ჩვენს რეალობაში ეს არცაა გასაკვირი. გასული საუკუნის 80-იანი წლებით დაწყებული გამუდმებით გვესმის — რა დროს კულტურაა, უამრავი პრობლემაა... ხალხი მშიერია, არჩევნებია — საპარლამენტო, შუალედური, საპრეზიდენტო და ა.შ. და ა.შ. თუმცა ამავდროულად აურაცხელი ფული იხარჯება უამრავ ფუჭ ,,საქმეზე", გნებავთ ჩინოვნიკთა პრემიებზე, მათ ფეშენებელურ მანქანებზე, მივლინებებზე თუ მათ ვოიაჟებზე უცხოეთში, დაბალი ხარისხისა და მდარე გემოვნების სანახაობებზე და ა.შ. ნეტავ ამ დროს რა პასუხი ექნებათ ამ ჩინოვნიკებს თუ ჰკითხავთ — ხალხს აღარ შია საქართველოში?! თუმც რა გასაკვირია, ეს ის მთავრობებია, რომლებსაც ხელოვნება — გართობა, ხელოვანი კი — გამრთობი ჰგონია. სამწუხაროდ, მსგავსი ვითარება შეინიშნება დღესაც — ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს კულტურულ პროექტებს კვლავ ასე პასუხობენ — ჯერ არ გვცალია... ეგ ჯერ არ იწვის... კულტურისათვის თანხები არა გვაქვს! ქართველმა ჩინოვნიკებმა ალბათ იციან 1918-21წწ.-ის ისტორია და ისიც, თუ რა უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე იდგა იმჟამად ჩვენი ქვეყანა, მაგრამ თუ გადავხედავთ იმ დროის კულტურულ მოვლენებს, დავრწმუნდებით, რომ ეს იყო კულტურული ძვრების, აყვავების ხანა: დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაარსდა კონსერვატორია, მომზადდა ბაზა სამხატვრო აკადემიის, თეატრალური უნივერსიტეტის, კინოსტუდიის დაარსებისათვის, რამპის შუქი იხილა პირველმა ქართულმა ოპერებმა და კიდევ მრავალი სხვა რამ მოხდა. მარტო ეს მცირე ჩამონათვალიც იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც სხვა მრავალ გასაჭირთან ერთად არც თანხები გააჩნდა და არც მსოფლიო ბანკი თუ სხვა დონორები უჭერდნენ მხარს, მრავლის მთქმელია. ხოლო რაც შემოგვრჩა, ბოლო ათწლეულების მანძილზე ისიც დანგრევისაკენ წავიყვანეთ.

სამწუხაროდ, ჯერაც არ იგრძნობა, რომ დღევანდელ მთავრობას ჩამოყალიბებული ჰქონდეს ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, მისი პრიორიტეტები. ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, საგანგაშო იყო ის, რომ სწორედ კულტურის სამინისტროს ბიუჯეტს ჩამოაჭრეს 20 მილიონი, აქაოდა არამიზნობრივად და ფუჭ სანახაობებზე იხარჯებოდაო, არადა სურვილის შემთხვე-

ვაში ეს სახსრები შეიძლებოდა ქართულ კულტურაში, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში დაგროვილი უამრავი პრობლემის გადასაჭრელად გახარჯულიყო. სახსრების ოპტიმიზაცია ისევ კულტურის ხარჯზე? („опять Гуськов?!"). რა შეიცვალა? მაგალითისთვის, სამუსიკო განათლების გუშინდელი „დე-ფორმატორები" დღეს „რე-ფორმატორებად" რომ მოგვევლინნენ (მუდამ მაკვირვებს, როგორ ახერხებენ ერთი და ივივე ადამიანები ყველა ხელისუფლების დროს მოწინავე პოზიციებზე ყოფნას, მმართველ თანამდებობზე დამკვიდრებას?!), ვითომ უნდა ვირწმუნოთ მათი რეფორმატორობის? ანდა, ვეჭვობ, ცალკეულ თანამდებობებზე ცალკეული პიროვნებების შეცვლა, უფრო სწორედ მათი გადააგილება, ახალი კულტურული პოლიტიკის მაუწყებელი რომ იყოს. გადავხედოთ მუსიკალურ ცხოვრებას — ცალკეულ შემოქმედთა ცალკეული ინიციატივების და პირადი კავშირების ხარჯზე ჩატარებული მუსიკალური ფესტივალები თუ კონცერტები და არა ქვეყნის საკონცერტო ცხოვრება, ივივე ითქმის საგასტროლო ტურნეებზე... საქართველოში მუსიკალურ კოლექტივებს, ორკესტრებს, აქვთ კი რეპერტუარი? სამუსიკო განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე აღარაფერს ვამბობ. სადაა აქ ქვეყნის კულტურული პოლიტიკა? რატომ ვერ მივიღეთ დღემდე კანონი ქველმოქმედების შესახებ, რომელიც ქართული კულტურისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ყველა მთავრობა გვპირდებოდა? ამაზე ჯერ საუბარიც არაა, სამწუხაროდ... ურთულესი პრობლემების დაძლევისაკენ სახსრების მიმართვის ნაცვლად კი — „სეკვესტრი"... არადა, ყველამ კარგად იცის, რითაც თავი მოგვაქვს და რაც სიამაყით გაგვაქვს მსოფლიოში, ესაა სწორედ ქართული მუსიკა, ქორეოგრაფია, კინო, თეატრი, ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება...

ამიტომაც ხშირად მიფიქრია — ეროვნული მთავრობის მოსვლას მხოლოდ მას შემდეგ ვირწმუნებ, როდესაც გამოჩნდება ეროვნული კულტურის აღორძინების ნება, როდესაც ქართულ კულტურაში მასშტაბური, სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტები განხორციელდება, არა ერთჯერადი, არა საჩვენებელ-მომაჩვენებელი, არამედ მომავალზე გათვლილ, ბრძნულად განჭვრეტილი.

სცენა სპექტაკლიდან

ისმის კითხვა: როდის მოიცლის ქართული პოლიტიკა ქართული კულტურისათვის? მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ინერციით დღემდე მოტანილი ქართული კულტურა აღარ იარსებებს?... თაობები კი იზრდებიან, მაგრამ როგორ და როგორი... ბოლო ათწლეულები კულტურა სულ „აუტის" მდგომარეობაში იმყოფება, არადა ხომ ვიცით, რომ 25 წლიანი წყვეტა კი არა (ეს მეოთხედი საუკუნეა!), 5 წლიანი წყვეტაც კი აუნაზღაურებელ, მძიმე კვალს ამჩნევს კულტურას, „მკვდარი უჯრედები" ან აღარ აღდგება, ან მის აღდგენასა და განახლებას ათწლეულები დასჭირდება. ამ ანტიკულტურული პოლიტიკისა და დემაგოგიის შედეგი სახეზეა — დანგრეული სახელოვნებო განათლება (და საზოგადოდ განათლების სისტემა), „ჩარეცხილი" უფროსი თაობა, ბებია-ბაბუის ინსტიტუტის უარყოფა, ძიძებით ჩანაცვლებული დედები (და არცთუ ყოველთვის დედების მოუცლელობის გამო), უგემოვნო, სკანდალურ პოლიტიკასა და შოუებზე ორიენტირებული ტელევიზია... კომპიუტერი... გაუცხოება და... სულიერებას მოკლებული თაობები, ანუ თაობები, რომლებმაც მომავალში უნდა შექმნან ქართული კულტურა, ეროვნული ხელოვნება. თუ როგორი იქნება ის, დამოკიდებულია ჩვენზე — აწმყოზე! „ყველა ბავშვი — მხატვარია. სირთულე ის არის, რომ დარჩე მხატვრად, მაშინაც, როცა ბავშვობის ასაკიდან გამოხვალ" — ბრძანებს პიკასო, ისევე როგორც ეგზიუპერი წერს: ყველა ბავშვში არის მოცარტი, მაგრამ რა გარემოში გაიზრდება — დიდწილად ამაზეა დამოკიდე-

ბული თითოეულის მომავალი. ისეთ გარემოში, როგორიც გვაქვს დღეს, ცხადია, ,,თიხა გამოილევა"...

სწორედ მომავალი თაობის პრობლემათა გლობალურმა ხედვამ და მათზე წუხილმა მიიყვანა პროექტის ავტორები ამ შესანიშნავ იდეამდე, რომლის რეალიზაციის შესაძლებლობა, საბედნიეროდ 2012 წელს მაინც შესაძლებელი გახდა.

საბავშვო ,,თოჯინების ოპერის თეატრი" ,,პატარა პნკალა" გასული წლის 28 ნოემბერს თიბისი გალერეაში, ჯოაკინო როსინის გენიალური ,,სევილიელი დალაქით" გაიხსნა.

სპექტაკლი მიდიოდა გენიალური მუსიკის გენიალური შესრულებით — ეს იყო ,,სევილიელი დალაქის" ორიგინალი ჩანაწერი, ისეთი მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით, როგორებიც იყვნენ: მარია კალასი (როზინა), ტიტო გობი (ფიგარო), ლუიჯი ალვა (ალმავივა), მელკიორე ლუიზე (ბარტოლო) და სხვ.

საბავშვო საოპერო სპექტაკლი, რომელიც 4 წლიდან ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, ცხადია, მოითხოვდა როგორც ლიბრეტოს ადაპტირებას, ისე მუსიკის, რაც არცთუ იოლი საქმე იყო. უდავოდ განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა მუსიკალური ადაპტაცია, რაც შესანიშნავად შეძლეს გური ზაქარეიშვილმა, ირაკლი ათანელიშვილმა და ზურაბ გაგლოშვილმა. სპექტაკლი 40 წუთს გრძელდება. ცხადია, 2 საათიანი ოპერის ასეთ მცირე დროში ,,ჩატევა" მეტად რთული ამოცანა იყო; როსინის გენიალური მუსიკის შეკვეცა ხომ სირთულესთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. ამასთან, ეს ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო ისე, რომ ბავშვებს გაეგოთ ,,სევილიელი დალაქის" საკმაოდ ჩახლართული სიუჟეტი, არ მობეზრებოდათ და უფრო მეტიც, გასჩენოდათ სურვილი სპექტაკლის კიდევ ერთხელ ნახვისა. დამდგმელი ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ ურთულეს ამოცანას. უდავოდ, ასეთი წარმატება დიდი ფიქრისა და პროფესიონალიზმის შედეგია.

სპექტაკლი მიჰყავდა ბავშვების საყვარელ გმირს, ჯამბაზ ხრინკის (მალხაზ გაბუნია), რომელმაც ბავშვებს ოპერის, უვერტიურის, დირიჟორის მნიშვნელობა განუმარტა, ამბავსაც და არიების შინაარსსაც ის უყვებოდა, თოჯინები კი არიებს ასრულებდნენ, როგორც ითქვა, ტიტო გობის, მარია კალასის და სხვა დიდი მომღერლების ხმებით.

დარბაზში მშობლებთან ერთად სრულიად სხვადასხვა ასაკის ბავშვები ისხდნენ და ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ სიმღერით გადმოცემულ სასიყვარულო ამბავს. მინდა გითხრათ არა მხოლოდ ბავშვებმა, მშობლებმაც დიდი სიამოვნება მიიღეს. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საოცრად ზუსტად იყო შერჩეული სპექტაკლის დინამიკა, ტემპი, ამიტომაც ბავშვების ყურადღება და ინტერესი ერთი წამითაც კი არ მოდუნებულა. არც საოპერო ვოკალისადმი იგრძნობოდა გაუცხოება (რასაც მოზრდილებში არცთუ იშვიათად შევხვედრივარ), პირიქით, სპექტაკლის შემდეგ ცალკეული ნაწყვეტის ბავშვური წაღიღინებაც ჩამესმა. ბავშვები კი უტყუარი და ყველაზე ალალი შემფასებლები გახლავან.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მომხიბლავი თოჯინები — მხატვარი ვახტანგ ქორიძე; საოცარი ხალისი და გატაცება იგრძნობოდა მსახიობების მხრიდანაც: ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, ელენე ფირცხალავა, გიორგი მებაღიშვილი, მარიამ ავალიშვილი; ხოლო ამ მომხიბლავი თოჯინური სპექტაკლის რეჟისორი არის ბესო კუპრეიშვილი, რომლის ორიგინალურ მხატვრულ ხედვასა და ნიჭიერებაზე ქართველ მაყურებელს წარმოდგენა აქვს მის მიერ დაფუძნებული ,,თითების თეატრიდან".

ერთადერთი, რაც ოდნავ აკლდა სპექტაკლს, ვფიქრობ, ეს იყო კონტაქტი წამყვანსა და ბავშვებს შორის, სასურველი იქნებოდა ბავშვების მეტი გააქტიურება, თუნდაც კითხვა-პასუხის სახით, ანუ გარკვევა იმისა, თუ რამდენად გაიგეს ბავშვებმა ხრინკის მიერ მოყოლილი ამბები, რამდენად გაითავისეს გმირთა სახელები — ფიგარო, ალმავივა, როზინა, ბარტოლო... ეს სახელები, ისევე როგორც ამბავი, ხომ სრულიად უცხოა ქართველი ბავშვებისათვის. ვფიქრობ, სპექტაკლის ეს მხარე მომავალში თავისთავად დაიხვეწება და უფრო სრულყოფილი გახდება.

პრემიერის შემდეგ სპექტაკლი დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში. დამდგმელი ჯგუფის სურვილია სპექტაკლი აჩვენონ სკოლებში და წაიღონ რეგიონებშიც, სადაც კულტურული ცხოვრების კიდევ უფრო დიდი

დეფიციტია. ამიტომ ეს ძალზე დიდი, სასიკეთო საქმე იქნება. როგორც პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი გური ზაქარეიშვილი ამბობს „სპექტაკლი თვითონ უნდა მივიდეს ბავშვებთან". ჩემი აზრით, სკოლის მოსწავლეებს ასეთი გემოვნებით დადგმული, კარგად გააზრებული სპექტაკლი ბევრად მეტს მისცემს, ვიდრე, მაგალითად, საშუალო საგანმანათლებლო სკოლებში მუსიკის გაკვეთილების სასწავლო პროგრამები — ინსტრუმენტის გარეშე ოქტავების დასახელების, ნოტების გრძლიობის, მეტრის, რიტმის და ელემენტარული თეორიის სხვა საკითხების სწავლება, რომლის უშედეგობაში მაშინვე დარწმუნდებით, თუ გამოკითხავთ სკოლის მოსწავლეებს და გაარკვევთ რა შეიმეცნეს ამ პროგრამებიდან.

საბავშვო „თოჯინების ოპერის თეატრის" ორგანიზატორებს მომავალშიც მაღალი თამასა აქვთ გამიზნული, კლასიკური მუსიკის ისეთი შედევრების დადგმას აპირებენ, როგორებიცაა დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი" და მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა". განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ რეპერტუარში იქნება ქართული ოპერაც, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე".

საბედნიეროდ დღეს საბავშვო თოჯინების ოპერის თეატრს მხარდაჭერა აღუთქვა კულტურის სამინისტრომ და სხვა ორგანიზაციებმა: პირველ ყოვლისა, მარჯანიშვილის თეატრმა, სადაც დღესდღეობით შესაძლებელია ამ შესანიშნავი სპექტაკლის ნახვა, ასევე საპატრიარქოს ფონდმა, განათლების სამინისტრომ, რომელიც უზრუნველჰყოფს რაიონების სკოლებში სპექტაკლის ჩატანას, თიბისი ბანკმა ამისათვის თეატრს უკვე შეუძინა მანქანა.

სასიხარულოა, რომ ეს ახალი წამოწყება ფეხს იკიდებს საქართველოში და ვისურვებდით, რომ საბავშვო „თოჯინების ოპერის თეატრმა" „პწკალამ" მომავალში ასეთივე წარმატებით განაგრძოს თავისი არსებობა.

დაბოლოს, იმედს ვიტოვებთ, რომ ეს არ იქნება ქვეყნისა და მისი კულტურის მომავლისათვის ერთადერთი მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი პროექტი, ეს არ იქნება ერთჯერადი და საბოლოოდ მთავრობა, დღეს მაინც დასახავს კულტურული პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზსა და პრიორიტეტებს.

მგზია ჯაფარიძე

თამარ გაბარაშვილი, ვაჟა აბარაშვილი, ნანა დიმიტრიადი

მისალმება იუბილარებს

2012 წლის დეკემბრის აფიშა მუსიკის მოყვარულთ ამცნობდა, რომ კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტარდებოდა ორი ბრწყინვალე მუსიკოსის – ქალბატონების თამარ გაბარაშვილის და ნანა დიმიტრიადის საიუბილეო საღამო. ინტერესი მათი ხელოვნების მიმართ განპირობებულია იმ დიდი სიამოვნების მოლოდინით, რომელსაც მსმენელები ყოველთვის ელიან ამ არაჩვეულებრივი, პოეტურად ფრთაშესხმული შემსრულებლებისაგან.

მთელი მუსიკალური საზოგადოება სიყვარულით ულოცავს მათ საიუბილეო თარიღს და უძღვნის საუკეთესო სურვილებს.

დღეს მე მინდა შემოგთავაზოთ მათი პორტრეტები ჩემს წარმოსახვაში.

როდესაც დიდ პაბლო კაზალსს ჰკითხეს, რაშია მისი მარადახალგაზრდული ხელოვნების საიდუმლო, პასუხი ასეთი იყო: მე მაქვს სამი მთავარი მიზეზი: ჩემი ესპანეთი, ჩემი მუსიკა და ჩემი მეუღლე (რომელიც მრავალთაგან ბოლო, უმშვენიერესი ახალგაზრდა ესპანელი ქალბატონი იყო).

როდესაც ქალბატონ დოდო გოგუასთან, მანანა ახმეტელთან ერთად ამ საღამოს წაყვანა მეც შემომთავა-

ზეს, თამარის მიმართ უმალ ეს სიტყვები გამახსენდა. რაკი ახალგაზრდობაზეა ლაპარაკი, დააკვირდით რა უჭკნობად ახალგაზრდაა ეს მარადიული თინეიჯერი და დღეს რატომღაც უცებ იუბილარი!!! ახალგაზრდულია მისი შესრულებაც, ყოველთვის ცხოველმყოფელი ნიჭით აღბეჭდილი, ღრმა, სისხლსავსე, მგზნებარე, რომანტიკული.

შემდეგ: თამარმა ხომ ცხოვრებით დაადასტურა თავისი სამშობლოს შეუნელებელი სიყვარული. მიუხედავად უამრავი შესაძლებლობისა არიდებოდა ჩვენს სინამდვილეში რთულ ყოფიერებას, უბრალოდ, შემოქმედისათვის ხელისშემშლელ პირობებსაც კი, და სხვაგვარად, უმტკივნეულოდ აეწყო ფართო კარიერა და უზრუნველყოფა, მაგრამ მან სამშობლო აირჩია. ეს ხომ უტყუარი სიყვარულია, რასაც ქალბატონ ნანა ქავთარაძესთან ინტერვიუში ადასტურებს მისი მოკრძალებული სიტყვები:„მე არავის მსაჯული არ ვარ, მაგრამ თავად კი გული სამუშაოდ არსაით მიმიწევს". და რა თქმა უნდა, აქ მნიშვნელოვანი იყო მოსიყვარულე ოჯახური გარემოცვაც.

თამარის მაღალ ხელოვნებას აღიარებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: გერმანიაში, იტალიაში, კანადაში, სხვაგან და სხვაგან... და განსხვავებით ჩვენი გმირისაგან, გამახსენდა ჩვენს ოჯახში ერთი სცენა: გვიან ღამით რადიოს ვუსმენდი. ერთი საესტრადო მომღერალი გულამომჯდარი ქადაგებდა: ახლახან დავბრუნდი შტატებიდან, იქ ისე მიმიღეს, ისე მაღიარეს და ხომ იცით, რას ნიშნავს იქ აღიარება — აი, ეს არის ნამდვილი ვარსკვლავობაო. შტატების „ეიფორია" მისი ჩასვლის გამო იმდენჯერ ახსენა, რომ ცოტა არ იყოს აღვშფოთდი, ბიძინა გავაღვიძე და ვეუბნები — ხედავ, რა ხდება-მეთქი? ისიც უცებ მოვიდა აზრზე და მპასუხობს: და გჯერა? ეგ ხომ შტატგარეშე იქნებოდა იქ ჩასულიო.

თამარ გაბარაშვილი მსოფლიოს საუკეთესო კონცერტანტთა შტატის სრულუფლებამოსილი წევრია და ამას ადასტურებს პირველ რიგში ჩვენი საკუთარი გულწრფელი აღტაცება მისი ულამაზესი ბგერით, მუსიკის მთელი სიმდიდრის ღრმა წვდომით, ვირტუოზულობით, არტისტიზმით, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვიზიარებთ და ვუერთდებით მსოფლიო მუსიკალური პრესის იმ აღტაცებულ გამონათქვამებს, რომლებიც ასე უხვადაა გაცემული მის მიმართ დიდი მუსიკოსების მიერ და სხვათა შორის, შტატებშიც!

თამარის ბიოგრაფიაში ისეთი უნიკალური პრეცედენტიც მომხდარა, პელეს და სპორტის სხვა პოპულარულ ვარსკვლავებს თუ რგებიათ ხოლმე. ბუენოს აირესში მისი კონცერტის შემდეგ ფეხზე მდგომმა დარბაზმა არგენტინის ეროვნული ჰიმნი შეასრულა. ასეთი პატივისცემით ხვდებიან ისინი ჭეშმარიტ ხელოვანებს.

შესანიშნავი მუსიკოსების — ბატონ სანდრო ჩიჯავაძის, მოსკოვის კონსერვატორიაში კი კოზოლუპოვის და ლეგენდარული როსტროპოვიჩის მოსწავლე, თამარი დღეს ჩვენი კონსერვატორიის პროფესორი, სიმებიან საკრავთა კათედრის გამგე, ჩვენი საყვარელი და საამაყო კოლეგაა, რაც მაინც არ გვავიწყებს, რომ მისი სახით მართლაც ვარსკვლავი და ჩელოს ნამდვილი პოეტი გვყავს.

• • •

პიანისტებს, არცთუ უმიზეზოდ, პირზე გვაკერია წარუმატებლობის გადაბრალება ინსტრუმენტის უვარგისობაზე. ხშირად ამაში ჭეშმარიტებაცაა. თითქოს ჩვენს გასამართლებლად თქვა მაიაკოვსკიმ: „А вы ноктюрн сыграть смогли бы, на флейте водосточных труб?", მაგრამ, ნანამ ვოზნესენსკის შემოთავაზება აირჩია:„О Музыке говорите не губами, а устами"!.. და თითქოს ანგელოზის ფრთა შეეხო, მის თითებქვეშ ყველა როიალი ჯადოსნურად იხსნება. ალბათ იმიტომ, რომ გარდა დახვეწილი პროფესიონალიზმისა, მის შესრულებას ახლავს ის, რასაც ვერავინ გასწავლის: გრაცია, ელეგანტურობა, შარმი... მიფიქრია ხოლმე, მაინც რა „ფაბერჟეს" თითები და ყურები აქვს ნანას-მეთქი.

ქართულ-ბერძნული ტემპერამენტი მის პალიტრას ძა-

ლიან ამდიდრებს ემოციით, მაგრამ ის არასოდეს არ არის ამოვარდნილი გრძნობის და კულტურის თანაფარდობისაგან.
ალბათ, ამ განსაკუთრებულმა თანაფარდობის გრძნობამ აარჩევინა ნანას სამოღვაწეოდ ანსამბლური მუსიკირება. თითქოს მოკრძალებულად შეფერებული ანსამბლისტი, — იგი საოცრად ბუნებრივად გრძნობს თავს მთელ მუსიკალურ კოსმოსში. უბრალოდ რომ ვთქვათ, მას აქვს ყველაზე დასაფასებელი რამ, მის იდუმალებაში წვდომის უნარი. ის გრძნობს თავს, როგორც კონცერტმაისტერის მამოძრავებელ ფუნქციას მუსიკის დრამატურგიულ მთლიანობაში და სოლისტის წარმოჩენასთან ერთად, აქვს მისი რეტუშირების უნარიც. ასეთი ბალანსირება ნიჭიერებასთან ერთად, განსაკუთრებულ დახელოვნებასაც მოითხოვს.

სწორედ ასეთი ჰარმონიულობის გამო, ყველა მისი კონცერტი მარინა იაშვილთან, ცისანა ტატიშვილთან, ნოდარ ანდღულაძესთან, თამარ გაბარაშვილთან, ლადო ათანელთან თუ ჩვენ სახელოვან კვარტეტთან ერთად, სწორედ ნანას სულჩადგმითაც დარჩა დაუვიწყარი.

ეს რაც შეეხება მუსიკას.

პორტრეტისათვის ისიც უნდა დავსძინო, რომ მის ხასიათში არანაკლებ მნიშვნელოვანია ზღვარზე მისული კომუნიკაბელობა. მეგობარიც ხომ არაჩვეულებრივია და ყველას ჰგონია, რომ — მისი! არ დაიჯეროთ, — ყველასი! სწორედ ამ თვისების გამო ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ ნანა მშვენიერი ორგანიზატორიც აღმოჩნდა; რა ხანია უძღვება მხატვრული აკომპანემენტის კათედრას. ეს ოფიციალურად — ჩვენთვის კი უბრალოდ — ნანა დაჯილდოებულია იქნებ ყველაზე დიდი სიბრძნით — კეთილმოსურნეობით და თვითონაც არის ყველასათვის სასურველი, რადგან მისგან მუდამ ელიან გადამდებ ხალისს, შეხვედრას საყვარელ მელოდიებთან.

ასეთია ნანა თავისი უშუალობით და სიხალასით, გარდა აღტაცებული სიყვარულისა, ღრმა პატივისცემით რომ განგაწყობთ მისი პიროვნების მიმართ. ქალბატონ ნადეჟდა ხარაძის და ბატონ ოდისეი დიმიტრიადის ქალიშვილი საკვირველი არაა საუკეთესო მუსიკოსიც ყოფილიყო ღვთითნაბოძები ნიჭით, ინდივიდუალობით და ხიბლით, მაგრამ აქ მუსიკა მხოლოდ პროფესია არაა, ეს მისი ბედისწერაა.

ნანას უყვარს პოეზია და მეც მინდა მის შემოქმედებით პიროვნებას მივუსადაგო პასტერნაკის სტრიქონები:

„Когда строку диктует чувство
Оно на сцену ищет раба
И тут кончается искусство
И дышат почва и судьба".

გიორგი იაშვილი

იაშვილების დინასტიის გამგრძელებელი

გიორგი (გია) იაშვილმა, ცნობილმა ქართველმა მევიოლინემ, რომელიც მიუნხენში ცხოვრობს და მოღვაწეობს, 20 იანვარს გამართა კონცერტი თბილისის კონსერვატორიაში. საღამოს მონაწილე გახლდათ ოპერის სიმფონიური ორკესტრი დირიჟორ ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორობით, რომელმაც პირველ განყოფილებაში შუბერტის „დაუმთავრებელი სიმფონია“ დაუკრა, მეორე განყოფილება კი მთლიანად ქართველ მევიოლინეს დაეთმო.

დიდი ოჯახის, ლუარსაბ (ბუჭუკა) იაშვილის შვილიშვილმა და ნანა იაშვილის ვაჟმა (შესაბამისად მარინა და ირინა იშვილების დისშვილმა), გია იაშვილმაც ვიოლინოს მიუძღვნა თავისი ცხოვრება.

33 წელი მის ცხოვრებაში იმ გადაფასებების მომენტად იქცა, როდესაც ავსტრიაში და გერმანიაში გაზრდილ მუსიკოსს საქართველოსთან უფრო მჭიდრო კავშირის მოთხოვნილება გაუჩნდა და ეს კონცერტი იმის დასაწყისია, რასაც გიას დიდი მომავლის გეგმები უკავშირდება.

ბავშვობაში, ბაბუამ ერთი წელი საჩხერის სკოლაში

იაშვილების საგვარეულო სახლი არგვეთში

მიაბარა, რათა ბავშვს მშობლიური მხარე შეესისხლ-ხორცებინა და მართლაც, დღეს გიას გული იქითკენ მიუწევს. მას უნდა, რომ იმერეთის ამ კუთხის მუსიკალური ცხოვრება გამოაცოცხლოს. მის დიდ ჩანაფიქრს წარმოადგენს ქართული „მუსიკალური სეზონის“ დაარსება, რაც წლის განმავლობაში, თვეში ერთი გალა-კონცერტის გამართვას გულისხმობს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში განთქმული მუსიკოსები. ასეთებს შორის კი არიან გიას კოლეგები და მეგობრები: ამერიკელი მევიოლინე ჯოშუა ბელი (რომელთანაც შეთანხმება უკვე მიღწეულია), არგენტინელი პიანისტი მარტა არგერიხი, ამერიკელი დირიჟორი ლორინ მააზელი და სხვები. სეზონის კონცერტების პარალელურად, მას სურს თავად გამართოს მასტერკლასები და გასვლითი მუსიკალური საღამოები საჩხერეში, სადაც მას არა მარტო ნათესავები და მეგობრები, არამედ მისი მუსიკალური წინაპრების დიდი თაყვანისმცემლებიც ეგულება. შემთხვევითი არ არის, რომ თავისი ფეისბუქის გვერდზე მას თავისი სოფლის, არგვეთის სახლი აქვს ქავერად შერჩეული, ე. ი. გია დღესაც ყოველდღე თავის სოფელშია. თავის ხელოვნების ფონდის სახელიც ხომ „არგვეთია“.

ვნახოთ, როგორ შეასხამს გია იაშვილი ამ თავის ოცნებას ფრთებს, მაგრამ მისი პირველი კონცერტი თბილისში ნამდვილად საინტერესო მოვლენად იქცა. გემოვნებით შერჩეული პროგრამა, შესრულების დახვეწილი მანერა და მშვიდი, მაგრამ სიღრმისეული ბგერით მან მსმენელები ნამდვილად დაიპყრო.

მოცარტის კონცერტი (A dur) № 5, კამილ სენ-სანსის ინტროდუქცია და რონდო- კაპრიჩიოზო — ორი სხვადასხვა ჟანრის და ეპოქის ნაწარმოები მან თავის, იაშვილისეულ სტილს დაუქვემდებარა, რაც გულისხმობს ნამდვილ პროფესიონალიზმს, ვერცხლისფერ ბგერას და თავშეკავებულ ემოციურობას, თუმცა გიას ემოციურობამ დასასრულს მაინც გადალახა საზღვრები, როდესაც მან მასნეს მედიტაცია ოპერიდან „ტაისი“ შეასრულა და იგი თავის დეიდას, გამოჩენილ მარინე იაშვილის ხსოვნას მიუძღვნა. დარბაზში თითქოს მარინეს სული დაგვიბრუნდა იმ მომენტში და გიას ბგერის ვიბრაციამაც დიდი მევიოლინეს ბგერები გაგვახსენა.

დღეს გია წარმატებით გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა სცენებზე. იგი არის კამერული ანსამბლის „Soloistes des Arts”-ის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ეს ორკესტრი, რომელშიც გაერთიანდნენ ზუბინ მეტას და ლორინ მააზელის ორკესტრების წამყვანი ახალგაზრდა მუსიკოსები, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად არის მიჩნეული.

სასიხარულოა, რომ იაშვილების დიდი მუსიკოსების ოჯახიდან ერთი წარმომადგენელი ნაწილობრივ მაინც დაგვიბრუნდა. ის დღეს ავსტრიის და საქართველოს მოქალაქეა. ჯვარი კახეთის სოფელ ვეჯინში დაიწერა, რისთვისაც — მისი ნახევრად ფრანგი და ნახევრად იაპონელი საცოლე მართლმადიდებლად მოინათლა. შემდეგ იყო ხელისმოწერა პარიზში და ტრადიციული ქორწილი იაპონიაში.

ვუსურვოთ მას „მუსიკალური სეზონების“ პროექტის ჩანაფიქრის ახდენა, რათა ის უფრო ხშირად გვესტუმროს თავის გამოჩენილ კოლეგებთან ერთად. ამით ჩვენც ვისიამოვნებთ და საქართველოს იმიჯი, ქვეყნისა, სადაც კლასიკური მუსიკა უყვართ და აფასებენ, უფრო მაღლა აიწევს.

ნარგიზა გარდაფხაძე

დაუვიწყარი ქალბატონი ტატიანა დუნენკო

100 წელი შესრულდა შესანიშნავი მუსიკოსის — ტატიანა გრიგოლის ასულ დუნენკოს (1912–1999) დაბადებიდან. მრავალი ათეული წლის მანძილზე ქალბატონი ტ. დუნენკო იყო თბილისის საოპერო თეატრის წამყვანი პიანისტი–კონცერტმაისტერი და თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.

ფასდაუდებელია ქალბატონ ტატიანას ღვაწლი ქართული საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში. კონსერვატორიაში მან აღზარდა მრავალი პიანისტი –აკომპანიატორი (კონცერტმაისტერები), ხოლო ოპერის თეატრში — გამოჩენილი ქართველი მომღერლების რამდენიმე თაობა.

მაღალი ზნეობრივი და მუსიკალური კულტურის ადამიანი ტ. დუნენკო უნერგავდა თავის აღსაზრდელებს ძალზე ფაქიზ შემოქმედებით დამოკიდებულებას შესასრულებელი ნაწარმოებების მიმართ.

ყველა, ვინც კი იცნობდა, სწავლობდა და თანამშრომლობდა მასთან, უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით იგონებს ქალბატონ ტატიანას, მათ შორის არიან წარსულისა და თანამედროვეობის გამოჩენილი მომღერლები, პიანისტები და პედაგოგები...

ტატიანა გრიგოლის ასული დუნენკო დაიბადა ქუთაისში. 1930 წ. დაამთავრა თბილისის II მუსიკალური სასწავლებელი (მოგვიანებით — თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება) და ამავე წლიდან შეუდგა საკონცერტმაისტერო მოღვაწეობას თბილისის საოპერო თეატრში. 1940 წლიდან იგი პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ჩვენ კონსერვატორიაში (1959 წლიდან — დოცენტია, 1983–იდან — საკონცერტმაისტერო ხელოვნების კათედრის პროფესორი). 1946 წელს დუნენკოს მიენიჭა საქართველოს დამსახურე-

ბული არტისტის, 1981 — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხოლო — 1985 წელს — სახალხო არტისტის წოდება.

შორს წავიყვანდა იმ ოპერების ჩამონათვალი (რამდენიმე ათეულია!), რომელთა მომზადებაში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა: ფაქტობრივად, ესაა მთელი კლასიკური საოპერო რეპერტუარი, რომელიც კი ჩვენ სცენაზე იდგმებოდა მრავალი წლის მანძილზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი ქართული ოპერების მომზადების საქმეში. აქ ზ. ფალიაშვილის კლასიკური ოპერების („აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“) განახლებული დადგმების გარდა, უნდა მოვიხსენიოთ ახალი ქართული ოპერების საპრემიერო სპექტაკლები. ვფიქრობ, საჭიროა მათი გახსენება: შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, ა.კერესელიძის „ბაში-აჩუკი“ დ.თორაძის „მთების ძახილი“ და „ჩრდილოეთის პატარძალი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ და „მთვარის მოტაცება“, რ. ლაღიძის „ლელა“ ხოლო გაცილებით ადრე — ი. ტუსკიას „სამშობლო“, გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, ვ. გოკიელის „პატარა კახი“.

მრავალი წლის მანძილზე ქალბატონი დუნენკო შემოქმედებითად თანამშრომლობდა გამოჩენილ ქართველ მომღერალთა უფროსი თაობის წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ სანდრო ინაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ანდღულაძე, პეტრე ამირანაშვილი, დავით ბადრიძე, ნადეჟდა ცომაია, ეკატერინე სოხაძე, დავით გამრეკელი, ელისაბედ გასტენინა და სხვები.

მისი უშუალო მოწაფეები გახლდნენ ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, ზურაბ სოტკილავა, მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი, მაია თომაძე, ჯემალ მდივანი, ალეკო ხომერიკი, ელდარ გეწაძე, თემურ გუგუშვილი, მანანა ეგაძე, მარიცა მაღლაფერიძე. ამით ყველაფერია ნათქვამია.

მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტში იმყოფებოდა ტ. დუნენკო ქართველი დირიჟორების სახელოვანი პლეადის წარმომადგენლებთან როგორებიც იყვნენ შალვა აზმაიფარაშვილი, დიდიმ მირცხულავა, ვახტანგ ფალიაშვილი, ჯანსუღ კახიძე. დიდი სულიერი და შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა მას დაუვიწყარ ოდისეი დიმიტრიადისთან. ქალბატონი ტატა (ასე ეძახდნენ მას ახლობლები) იყო ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების ერთგული პროპაგანდისტი და სამართლიანად სარგებლობდა მათი პატივისცემით და მადლიერების გრძნობით.

... ამასწინათ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ტ. დუნენკოსადმი მიძღვნილი საღამო, რომლის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე გახლდათ ცნობილი პიანისტი, ცენტრალური მუსიკალური სკოლა-ათწლედის კონცერტმაისტერი და პედაგოგი, წარსულში დუნენკოს ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე და მისი მემკვიდრე თბილისის საოპერო თეატრში — ვიქტორია ჩაპლინსკაია. დიდი მადლობა მას.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კონსერვატორიის პროფესორმა, წარსულში ტ. დუნენკოს მოსწავლემ ქალბატონმა ნესტან (ნუგეშა) მესხმა. მან ილაპარაკა მისი პედაგოგის შემოქმედებით გზაზე, გაგვიზიარა თავისი მოგონებები. კონცერტში მონაწილეობდნენ ვ. ჩაპლინსკაიას მოწაფეები ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და მოწვეული მომღერლები.

ერთ-ერთმა მათგანმა — მამუკა მანჯგალაძემ შეასრულა კომპოზიტორ ირაკლი ცინცაძის (ტ. დუნენკოს შვილიშვილის!) ახალი რომანსი „სული ობოლი“ (ნ. ბარათაშვილის ლექსზე).

კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. დამსწრეებმა და შემსრულებლებმა პატივი მიაგეს შესანიშნავი მუსიკოსის ქალბატონ ტატიანა დუნენკოს ხსოვნას.

გულგათ ტორაძე

არაერთი სიახლის წამომწყებები

ავთანდილ მამაცაშვილი

უკვე ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმნიშვნელოვან ფაქტად იქნა მიჩნეული ამერიკის კონტინენტზე ჩვენი საოპერო ხელოვნების მწვერვალის – ზაქარია ფალიაშვილის ოპერა "აბესალომ და ეთერის" ქართულ ენაზე აჟღერება. ეს იყო მენის შტატის ქალაქ სარში – საქართველოს ახალგაზრდულმა ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი) ამერიკელების გუნდთან და იქაურ სოლისტებთან ერთად ქართულ ენაზე წარმოადგინა ეს ოპერა.

თავად ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი საქართველოში 80-90-იან წლებში დაიბადა, რამაც განსაკუთრებული სტიმული მისცა კონსერვატორიის საორკესტრო განყოფილების სტუდენტებს. ამ საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელი დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი გახლდათ. ორკესტრმა შექმნისთანავე წარმოადგინა შემოქმედებითი განაცხადი – სერიოზული საკონცერტო პროგრამის სახით. ამ კონცერტის შემდგომ გამოხმაურებები გვაუწყებენ ორკესტრის მიერ პროფესიული ოსტატობის გამოვლენის შესახებ. თავისთავად საყურადღებო იყო კონცერტის პროგრამა – მალერის სიმფონია № 10, ბრიტენის "შოტლანდიური ბალადა" (ეს გახლდათ ამ ნაწარმოების საქართველოში პირველი შესრულება)... სულ მალე კი თბილისში ამერიკიდან – მენის შტატის ქალაქ სარიდან ჩამოსულმა საოპერო კომპანიის პრეზიდენტმა უოლტერ ნოვიკმა ორკესტრს შესთავაზა თავის სამოყვარულო დასთან "people to people" ერთად შეესრულებინა ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი". ამერიკამდე ორკესტრი ჯერ თბილისში წარსდგა "აბესალომის" საკონცერტო შესრულებით, სადაც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ოპერის თეატრის გუნდი და ქართველი სოლისტები. შემდეგ კი ახალგაზრდულმა ორკესტრმა უალტერ ნოვიკის გუნდთან და კანადელ, იაპონელ და პეტერბურგელ სოლისტებთან ერთად პეტერბურგში "თეთრი ღამეების" ფესტივალზე ააჟღერა "აბესალომ და ეთერი".

ავთანდილ მამაცაშვილის თქმით მის შემოქმედებით ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი წუთები იყო, როდესაც ამერიკაში ქართულ ენაზე აახმიანეს "აბესალომ და ეთერი" (მეტადრე ეს გახლდათ ამერიკაში ამ ოპერის აჟღერების პირველი და, სამწუხაროდ, ერთადერთი პრეცენდენტი — თ.წ.) .იმ აუდიტორიის ოვაციებს არაფერი დაავიწყებს. ნოვიკის გუნდმა კი ქართული ოპერის, ამ კოლექტივისა და საერთოდ ქართული კულტურის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა საკონცერტო შესრულების დამთავრების შემდეგ "შენ ხარ ვენახის" ქართულ ენაზე სიმღერით. მაშინ ახალგაზრდულმა ორკესტრმა არაერთი მომხიბლავი მოწვევა მიიღო — ამერიკიდან, ფინეთიდან, იტალიიდან... ერთადერთი ფინეთში გამგზავრება შესძლეს, შემდეგ ამას დაემთხვა საქართველოში 90-იანი წლების ავბედითი მოვლენები, რამაც ორკესტრსა და მის ხელმძღვანელს დასახული მიზნების განხორციელების საშუალება აღარ მისცა. ის კი არა და თვით ორკესტრმა მიუხედავად წარმატებული შემოქმედებითი დასაწყისისა, ხუთ წელიწადზე მეტი ვერ იარსება.

ავთანდილ მამაცაშვილთან, როგორც სიახლეთა წამომწყებთან, მანამდეც და მერეც არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნა დაკავშირებული: ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის წლებში დააარსა კამერული ორკესტრი, რომელიც კიევშიც კი იყო საგასტროლოდ; 60-70-იან წლებში კი, იმხანად ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგმა იქური ძალებით, აგრეთვე სხვა მუსიკოსების მოზიდვით შექმნა სიმფო-ჯაზის ორკესტრი, რასაც შეიძლებ ითქვას მოჰყვა ახალი მუსიკალური ცხოვრების დასაწყისი. თბილისელ მსმენელს საშუალება მიეცა ცოცხალი შესრულებით მოესმინა კლასიკური და ჯაზური მუსიკის სინთეზით გააზრებული ნაწარმოებები. ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა ის, რომ თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების (რევაზ ლაღიძის, არჩილ კერესელიძის, ოთარ გორდელის, შოთა მილორავას, ოთარ თაქთაქიშვილის და სხვა) ნაწარმოებები აჟღერდა განსხვავებული, ჯაზური ინტერპრეტაციით. ამ ორკესტრის სახელი სულ მალე კიდეც გასცდა საქართველოს ფარგლებს — ახალი კოლექტივი მოსკოვში საკავშირო დეკადაზე წარსდგა მეტად ეფექტური პროგრამით და ამგვარი დროსთან შესატყვისი პროგრესულობით წარმოადგინა საქართველოს სახე (სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ამ ორკესტრმა მხოლოდ ხუთი წელიწადი იარსება). ავთანდილ მამაცაშვილი აგრეთვე წლების მანძილზე თანამშრომლობდა ისეთ ანსამბლებთან, როგორიც არის "დიელო", "ივერია" და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების ბოლოს ავთანდილ მამაცაშვილის თაოსნობით ქუთაისში დაარსდა კამერული ორკესტრი, რომელიც დღემდე არსებობს.

მუდამ ახალგაზრდული შემართებითა და ენთუზიაზმით აღსავსე ხელოვანს სოლიდური ასაკი — 75 წელი დაუდგა. როგორც მისი გარშემომყოფნი იხსენებენ, თითქოს გუშინ იყო, მუსიკოსი-მოღვაწის ოჯახში გაზრდილი განსაკუთრებული მონაცემების მქონე, განათლების სრულყოფისაკენ მიდრეკილი ჭაბუკისაგან მნიშვნელოვან მომავალს რომ ელოდნენ. ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში წერდა ავთანდილ მამაცაშვილის შესახებ მისი პედაგოგი ოდისეი დიმიტრიადი: „იგი ავლენს ელვარე სადირიჟორო მონაცემებს, მიზანდასახულობას, არტისტულ ტემპერამენტს, ბრწყინვალე სმენას, კარგად განვითარებულ მანუალურ ტექნიკას, ფლობს ფართო საოპერო-სიმფონიურ რეპერტუარს"... თუმცა ცხოვრებისაგან საყვედური მაინც არ ეთქმის. მისი ბიოგრაფია დახუნძლულია მნიშვნელოვანი ფაქტებითა და მოვლენებით, რაც თან სდევდა ნაყოფიერ შემოქმედებით გზას: ათ წელიწადზე მეტი თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრს ედგა სათავეში, სადაც ათეულობით სპექტაკლი გამოუშვა, მათ შორის დიდი რაოდენობის ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომელთა პირველი ინტერპრეტატორი ა. მამაცაშვილი გახლდათ. ცამეტი წელი თბილისის ოპერის თეატრში მუშაობდა დირიჟორად, სადაც არაერთი სპექტაკლი მოამზადა. გარდა ამისა, დირიჟორად უმუშავია და სპექტაკლები გამოუშვია კიევის ტ, შევჩენკოს სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში, ცხრა წელი მოღვაწეობდა ლოძის მუსიკალურ თეატრში, ერთი წელი ქუთაისის საოპერო თეატრს ედგა სათავეში... ინტენსიურად თანამშრომლობდა რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრთან, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან, მთელი რიგი საინტერესო პროგრამები წარმოუდგენია. სისტემატ-

ავთანდილ მამაცაშვილი ანსამბლ „დიელოში“

ურად მონაწილეობდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმებში, ძალიან ხშირად ყოფილა ახალი ქართული ნაწარმოების პირველი შემსრულებელი. მასთან ურთიერთობაში არაერთმა შემდგომში სახელგანთქმულმა შემსრულებელმა აიდგა პირველი ნაბიჯები დიდ საკონცერტო სცენაზე.

ავთანდილ მამაცაშვილის დახასიათებათაგან ერთს მოვიყვანთ, რომელიც დიდ ზურაბ ანჯაფარიძეს ეკუთვნის: „მასთან მუშაობა სასიამოვნო და იოლია, მისი მანუალური ტექნიკა უზადოა, გამომსახველი ხელები მკაფიო და მეტყველია. მის მნიშვნელოვან თვისებად მიმაჩნია საოცარი მუსიკალობა, აგრეთვე წყურვილი მეტის შეცნობისა“.

ამჟამად 75 წლის თბილისის საოპერო მომზადების კათედრის პროფესორის, შემოქმედებითად შემართული და კვლავ ახლის ქმნის ჟინით შეპყრობილი ავთანდილ მამაცაშვილისგან ალბათ კიდევ ელიან რაიმე წამოწყებას.

თამარ წულუკიძე

სასულე მუსიკის ზეიმი

ინტერვიუ ლევან ცხადაძესთან

„თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი“ სასულე ინსტრუმენტთა პირველი ფესტივალია საქართველოში. მისი იდეა რამდენიმე წლის წინ დაიბადა. ამა წლის სექტემბერში კი იგი უკვე მეოთხედ შედგა. ფესტივალის ფარგლებში წელს კონსერვატორიის დიდ დარბაზში 5 დღის განმავლობაში ჩატარდა ორი კონცერტი და 26-მდე მასტერკლასი. ყოველწლიურად ფესტივალი მასპინძლობს ბრწყინვალე ქართველ და გამოჩენილ უცხოელ ინსტრუმენტალისტებს. ყველა მათგანმა მიიღო კარგი მუსიკალური განათლება, გაიარა ძლიერი პროფესიული სკოლა არაერთი გამოჩენილი მუსიკოსის მასტერკლასების საშუალებით და ამჟამად არიან ევროპის ცნობილი ორკესტრების წამყვანი სოლისტები.

ლევან ცხადაძე

წარმოგიდგენთ უცხოელ მუსიკოსებს, ფესტივალის სტუმრებს.

ლაურენს ოტო (ჰოლანდია) არის ნიდერლანდების ფილარმონიის კამერული ორკესტრის სოლო ვალტორნა. ის ვალტორნას დაეუფლა როტერდამის კონსერვატორიაში მარტინ ვან დე მერვესა და ბობ სტულის ხელმძღვანელობით. მან გაიარა აბ კოსტერის, მიშელ ტომპსონის, რიჩარდ უოტკინსის, პეტერდ დამისა და ჰერმან ბაუმანის მასტერკლასები. მან აგრეთვე შეისწავლა ძველებური ვალტორნა ერვინ ვირინგთან და უკრავს ბაროკოს მუსიკის ანსამბლებში Van Swieten-society da Erard Ensemble.

2004 წლის ივნისში სწავლა დაამთავრა პატრიკ ვან დურტენის ვალტორნის კონცერტის პრემიერით, რომელიც საგანგებოდ მისთვის დაიწერა. მას განსაკუთრებით იზიდავს თანამედროვე მუსიკა და არის აგრეთვე ჰაველარის, ფორდის და ბრეივაის სოლო ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი. ლაურენსი თანამშრომლობს როტერდამის ფილარმონიულ და სამეფო კონცერტგებაუს ორკესტრებთან, ასევე დულენ-ანსამბლსა და ნიდერლანდების ჩასაბერ ანსამბლთან. ის არის ჰოლანდიის რადიოს ორკესტრის წევრი 2003 წლიდან. ასევე მონაწილეობს უამრავ კონცერტში მთელ მსოფლიოში. ლაურენს მიღებული აქვს „როტერდამის კონსერვატორიის მეგობრების“ სტიპენდია.

ბრამვან სამბეკი (ჰოლანდია) ფაგოტზე უკრავს ათი წლის ასაკიდან. ჰაგის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ის გაკვეთილებს იღებდა გუსტავო ნუნესთან, მიღებული აქვს მასტერკლასები კლაუს თუნემანთან და სერჯიო აზოლინისთან. სტუდენტობისას მან მოიპოვა პრინცესა კრისტინას კონკურსის პრემია და მიიღო მეორე პრემია ჯილეთფოქსის საერთაშორისო კონკურსზე იუტაში (აშშ). ის არის პირველი ფაგოტისტი, რომელმაც მიიღო ჰოლანდიის მუსიკალური პრემია, ხოლო 2011 წელს ბორლეტი-ბუიტონის პრემია. ის მუშაობდა როტერდამის ფილარმონიული ორკესტრის პირველ ფაგოტისტად 2002-2011 წ.წ.

ამჟამად იგი დაკავებულია სოლო და კამერული მუსიკით. მუშაობს ისეთ მუსიკოსებთან როგორიც არიან: ალექსეი ოგრინჩუკი, ჯულიუს დრეიკი, ინონ ბარნა, ლიზა ფერშტმანი და იორგ ვიდმანი. იღებს მონაწილეობას კამერული მუსიკის მრავალ ფესტივალში, მათ შორის ვესტ ქორქის, ოქსფორდის და დელფტის ფესტივალები.

ბრამვან სამბეკი როგორც სოლისტი გამოდიოდა როტერდამის ფილარმონიულ ორკესტრთან და საქართველოს სიმფონიეტასთან. მისი მიმდინარე და მომავალი მუშაობა ფოკუსირებულია განსაკუთრებით ფაგოტის თანამედროვე რეპერტუარის გაფართოებაზე. ამჟამად ის ასწავლის როტერდამის კოდარტსის კონსერვატორიაში.

ჟულიეტ ურელი (საფრანგეთი) მას შემდეგ რაც პარიზის კონსერვატორიამ ჟულიეტ ურელს მიანიჭა პირველი პრიზი ფლეიტასა და კამერულ მუსიკაში, ის გახდა რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (დარმშტატი, კობე, ბუქარესტი, „ჟან-პიერ რამპალის კონკურსი“ და სხვა...)

ის როგორც სახელგანთქმული სოლისტი და კამერული მუსიკის შემსრულებელი, თანამშრომლობდა უამრავ მუსიკოსთან, მათ შორის ჰოფმანთან, იური ბაშმეტთან, შლომო მინცთან, მარიელ ნორტმანთან, შტეფენ კოვაჩევიჩსა და ტრიო ვანდერესთან. ის რეგულარულად თანამშრომლობს ტულუზის კამერულ ორკესტრთან, ბრეტანის, ტოკიოს მეტროპოლიტენის სიმფონიურ ორკესტრებთან; მონაწილეობს ავრეთვე უამრავ ფესტივალში, მათ შორის როკ დანტერონის, ნანტის, რეიმსის და სხვა.

ნინო გვეტაძე. სუზი ალბურგის ფოტო
(სუზი ალბურგის ფოტო)

1998 წლიდან ჟულიეტ ურელი უკრავს პირველ ფლეიტას როტერდამის ფილარმონიულ ორკესტრში ვალერი გერგიევის ხელმძღვანელობით, ხოლო 2008 წლიდან დირიჟორ იანიკ ნეზეთ სეგანთან. თანამედროვე მუსიკით მისმა გატაცებამ მიიყვანა ისეთ კომპოზიტორებთან როგორიც არიან პიერ ბულეზი, პასკალ დუზაპენი, ფილიპ ერსანი, ერიკ თანგი...

მისმა ჩანაწერებმა პიანისტ ელენ კუვერთან ერთად (მარტინუ, პროკოფიევი) მაღალი შეფასება მიიღო და

ცნობილი ფრანგული ჟურნალის "Mond de la Musique" კრიტიკოსთა პრიზი "Choc" მიენიჭა. ხოლო პასკალ დუსაპენის რჩეულ ნაწარმოებების ჩანაწერმა მოიპოვა 2003 წლის "Choc"-ი. მას ელენ კუვერთან ერთად ჩაწერილი აქვს ჰაიდნის სონატები ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის ასევე კ.ფ.ე.ბახის კონცერტები უვერნიერს ორკესტრთან ერთად არი ვან ბეიკის დირიჟორობით. 2004 წელს ჟულიეტმა გაიმარჯვა Victories de Musique-ის ნომინაციაში „წლის აღმოჩენა". ჟულიეტ ურელი ასწავლის როტერდამის კონსერვატორიაში.

ფესტივალის დანარჩენ მონაწილეებს წარდგენა არ სჭირდებათ — ესენი არიან ცნობილი ქართველი შემსრულებლები. შეგახსენებთ მათი საშემსრულებლო ბიოგრაფიიდან ძირითად მომენტებს.

გიორგი შამანაური (საქართველო. საყვირი) სწავლობდა თბილისის ზ.ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში ნ.ქობულაშვილის ხელმძღვანელობით. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო კიოლნის სამუსიკო სასწავლებელში პროფ. ურბან აგნესის ხელმძღვანელობით. იგი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის ორკესტრის პირველი საყვირი. 1999-2002წწ., 2002-2012წწ. მუშაობდა თბილისის სიმფონიურ ორკესტრში, როგორც პირველი საყვირი და 2012 წლიდან მუშაობდა ივივე პოზიციაზე საქართველოს ფილარმონიულ ორკესტრში. გიორგი შამანაური რამდენიმე ეროვნული კონკურსის პრიზიორია, მათ შორის ფრანსუა ლელუს ჩასაბერ ინსტრუმენტთა კონკურსის 2002 წელს, იყო საქართველოს პრეზიდენტის, ლევ მარკიზის და DAAD-ის სტიპენდიანტი. გიორგი შამანაურმა გაიარა გვიდო ზეგერსის და ურბან აგნესის მასტერკლასები. 2004 წელს მან ბარბერის Capricom Concerto შეასრულა ბენუა ფრომანჟერსა და ფრანსუა ლელუსთან ერთად. 2009წ. ბერლინის კონცერტჰაუზში დაუკრა შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო კონცერტი ალექსანდრე კორსანტიასა და ,,საქართველოს სიმფონიეტასთან" ერთად. გიორგი შამანაური არის საქართველოს სპილენძის ჩასაბერ ინსტრუმენტთა ანსამბლის წევრი და რეგულარულად უკრავს საქართველოში. 2012 წელს გიორგი ცნობილი საყვირის ბრენდის Van Laar-ის წარმომადგენელი გახდა.

გიორგი გვანცელაძე (საქართველო. ჰობოი) სწავლობდა ზ.ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში და თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ გ. ბერიძესთან. გიორგიმ მოიპოვა არაერთი პრიზი სხვადასხვა კონკურსებზე, მათ შორის ფრანსუა ლოლოს ჩასაბერ საკრავთა რესპუბლიკური კონკურსის პირველი პრემია. ასევე პრეზიდენტის, სპივაკოვის, ყანჩელი -კახიძის და DAAD-ის სტიპენდია. გიორგიმ სწავლა მიუნხენის და ზალცბურგის მუსიკის უმაღლეს სასწავლებელში ფრანსუა ლოლოსთან და შტეფან შილისთან განაგრძო. დღესდღეობით ის მიუნხენის სახელმწიფო ოპერის პირველი ჰობოია. გარდა ამ ორკესტრისა, გიორგი პირველი ჰობოის უკრავდა სხვა ორკესტრებშიც, მათ შორის ფრანკფურტის ოპერის და რადიოს, ბავარიის რადიო-სიმფონიურ და ევროპის კამერულ ორკესტრში. მას ნამუშევარი აქვს ისეთ დირიჟორებთან როგორებიც არიან: ნ.ჰარნონკური, ბ.ვაილი, პ.კარინიანი, ქ.პოპენი, პ.იერვი, კ.ნაგანო და სხვა. გიორგი ასევე ხშირად უკრავს სოლო ნაწარმოებებს სხვადასხვა ორკესტრებთან და აქტიურად არის ჩართული კამერული მუსიკის შესრულებაში, რისთვისაც მას 2009 წელს გადაეცა „იუვენტუსის" (საფრანგეთი) პრიზი.

მამუკა ბექაური (საქართველო. ტრომბონი) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ტრომბონის სპეციალობით. სწავლის დროს მან მოიპოვა არაერთი პრიზი კონკურსებზე და ეროვნული სტიპენდია. მამუკამ მასტერკლასები გაიარა ცნობილტრომბონისტებთან — იორგენ ვან რაიენსა და ედგარ მანიაკისთან. 2003 წლიდან ის თბილისის ოპერის პირველი ტრომბონისტია, გარდა ამისა, მამუკა საქართველოს ლითონის ინსტრუმენტთა ანსამბლის წევრია, რომელთანაც ერთად ის მონაწილეობს სხვადასხვა კონცერტებსა თუ ფესტივალებში..

ნინო გვეტაძე (საქართველო. ფორტეპიანო) დაამთავრა თბილისის ნიჭიერთა ათწლედი ვერონიკა თუმანიშვილის, ხოლო თბილისის კონსერვატორია ნოდარ გაბუნიას და ნანა ხუბუტიას ხელმძღვანელობით. 2004 წლიდან ნინომ სწავლა განაგრძო ჰოლანდიაში პოლ კომენთან და იან ვაინთან ჰაგის სამეფო და ამსტერდამის კონსერვატორიაში. სწავლის დროს ის არაერთი ჯილდოს მფლობელი გახდა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა პიანისტთა კონკურ-

სის გრან-პრი 2004 წელს, ლაურეატის წოდებასთან ერთად პრესისა და პუბლიკის პრიზი საერთაშორისო კონკურსზე 2008 წელს და პრესტიჟული ბორლესი-ბუიტონის ჯილდო 2010 წელს. ნინო ისეთ დირიჟორებთან უკრავდა, როგორებიც არიან: მიშელ პლასონი, იანი--ნეზეთ სეგანი, მიშელ ტაბაჩნიკი, ჯონ აქსელროდი და იაპ ვან ზვედენი; ასევე როტერდამის, ჰაგის, რაინის, სეულისა და ბრუსელის ფილარმონიულ ორკესტრებთან და მალერის კამერულ ორკესტრთან. ნინო ასრულებს სოლო კონცერტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მათ შორის ჰანოვერში (PRO MUSIKA Preistrager am Klavier-Zyklus), ბაიროითში, ამსტერდამის კონცერტგებაუში, ჟან-ივ ტიბოდესთან ერთად სპოლეტოს ფესტივალზე და ტულუზაში (Festival Piano aux Jacobines). განსაკუთრებით აღსანიშნავია 2012 წლის სეზონში დებიუტი ტოკიოში სოლო კონცერტებით, ლუცერნის და ტულუზის ცნობილ საფორტეპიანო ფესტივალებზე, ასევე რახმანინოვის მეორე და ბეთჰოვენის მეოთხე კონცერტების შესრულება ამსტერდამის კონცერტგებაუს დიდ დარბაზში. ნინომ Orchid Classic-ისთვის ჩაწერა დისკი ლისტის ნაწარმოებებით და ანიმაციური ფილმი „გრეტხენი ჯარასთან"; ასევე ჩაწერილი აქვს მუსორგსკის ყველა საფორტეპიანო ნაწარმოები და რახმანინოვის პრელუდები op.23 და op.32.

ლევან ცხადაძე (კლარნეტი) – დაამთავრა ე.მიქელაძის სახელობის საკრავიერი კოლეჯი და სწავლობდა ვ.სარაჯიშვილის სახ. თბილისის კონსერვატორიაში დავით ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით. 2005-2011 წლებში ლევანი სწავლობდა ამსტერდამისა და ნიცის კონსერვატორიებში, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ჰარმენ დე ბური და მიშელ ლეტიეკი.

იგი სწავლის დროს დაჯილდოვდა სხვადასხვა პრიზით, მათ შორის ფრანსუა ლოლოს ჩასაბერ საკრავთა კონკურსის პირველი პრემიით და ლიზა ლეონსკაიას ფონდ „სოლოს" სტიპენდიით. აქვს გავლილი მასტერკლასები ისეთ ცნობილ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან კარლ ლაისტერი, მენაჰემ პრეისლერი, პოლ მაიერი, ანტონი ჰეი და მრავალი სხვა. მას დაკრული აქვს პირველი კლარნეტის პარტია ბელფასტის, ალსტერის და ევროპის სხვა სიმფონიურ ორკესტრებთან, ინგოლშტატის კამერულ ორკესტრთან და სხვ. როგორც სოლისტი ივი მიწვეული იყო სხვადასხვა ორკესტრებში.

ჟულიეტ ურელი

„საქართველოს სიმფონიეტასთან" ერთად იგი წარსდგა 2010 წელს გერმანელი მსმენელის წინაშე ბერლინის კონცერტჰაუზში. ასევე 2012 წელს კონცერტგებაუს დიდ დარბაზში შეასრულა არვო პიარტის "In Spe" საქართველოს სიმფონიეტას და დირიჟორ მარკუს პოშნერთან ერთად.

ლევანი კამერული მუსიკით რეგულარულად გამო-

დის ევროპის სხვადასხვა დარბაზებში, მათ შორის ამსტერდამის კონცერტგებაუს, როტერდამის ,,დე დულენის", გრონინგენის, ოსტერპორტის დარბაზებში.

ლევან ცხადაძე „თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალის" და „ქუთაისის კლასიკური მუსიკის ფესტივალის" დამფუძნებელია, ასევე „ჭიათურის მუსიკის აკადემიის" თანადამფუძნებელი.

სწორედ ამიტომ მას მივმართეთ რამდენიმე კითხვით ფესტივალის იდეაზე, პროგრამაზე, სამომავლო გეგმებზე, პრობლემებზე და სხვა.

ალა სხირტლაძე — ახლანდელ დროში ფესტივალის დაფუძნება და ჩატარება არც ისეთი გასაკვირი ამბავია. რამ განაპირობა „თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალის" დაარსების აუცილებლობა? ასე ვთქვათ — ფესტივალის დევიზი, კრედო?

ლევან ცხადაძე — ფესტივალის მიზანია ჩასაბერი საკრავებისა და კამერული მუსიკის პოპულარიზაცია, იმ რეპერტუარის წარმოდგენა, რომელიც ჯერ არ შესრულებულა საქართველოში. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია სასულე ინსტრუმენტების სკოლის გაუმჯობესება, საშემსრულებლო დონის ამაღლება, რაც თავისთავად ნებისმიერი წარმატებული ორკესტრის საწინდარი და საფუძველია.

ა.ს. — ეყრდნობით თუ არა პროგრამის შედგენისას გარკვეულ კონცეფციას? როგორ და ვინ ადგენს ფესტივალის პროგრამას? როგორ ახერხებთ ერთმანეთთან შეხვედრას და ერთად დაკვრას — თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ფესტივალის მონაწილე მუსიკოსები სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ?

ლ.ც. — მე ვადგენ პროგრამას. წელს დაგეგმილი იყო 3 კონცერტი — რიჰარდ შტრაუსი და ფრანგული კამერული მუსიკა. უნდა შესრულებულიყო პულენკი, რაველი, დიუბუა, ფრანსესი და სხვა, მაგრამ ფინანსების უქონლობის გამო მომიწია ერთი კონცერტის გაუქმება და ექვსი მუსიკოსისთვის უარის თქმა მონაწილეობაზე. რა თქმა უნდა, ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამას ფესტივალის ხარისხზე არ უმოქმედია. ჩატარდა ორი ძალიან მაღალი დონის კონცერტი, რომელთაგან ერთი მთლიანად მიეძღვნა პულენკის ჩასაბერი საკრავებისთვის განკუთვნილ კამერულ მუსიკას და მეორე კონცერტი, რომელზეც ,,საქართველოს სიმფონიეტასთან" ერთად (ბატონი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით) შესრულდა სხვადასხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები — ანტონიო ვივალდის კონცერტი ჰობოისა და ორკესტრისათვის, კონცერტი ვალტორნისა და ორკესტრისათვის, იოჰან კრისტიან რაინჰარდის კონცერტი ვალტორნისა და ორკესტრისათვის, რიჰარდ შტრაუსის დუეტი-კონჩერტინო კლარნეტისა და ფაგოტისთვის და მოცარტის სიმფონია-კონცერტანტე ჰობოის, კლარნეტის, ფაგოტის, ვალტორნის და ორკესტრისათვის.

რაც შეეხება შეხვედრას და ერთად რეპეტიციას, ამას ჩვენ უკვე თბილისში ვახერხებთ, სადაც ორი რეპეტიცია გვაქვს და ეს სავსებით საკმარისია, რადგანაც მუსიკოსებმა გარდა ჩვენი პარტიებისა, სხვისი პარტიებიც ზედმიწევნით ვიცით, რაც, რა თქმა უნდა, ყველაფერს აადვილებს.

ა.ს. — ცნობილია, რომ პულენკი XXს. კომპოზიტორთა შორის ერთერთთაგანია, რომელმაც აჩვენა სასულე ინსტრუმენტებზე შესრულების გარკვეული ხერხების გამოყენების სიახლეები. ისიც ცნობილია, რომ თავისი ნაწარმოებები აავსო მელოდიურობით (და ეს უძლიერესი მხარეა მისი შემოქმედების), მჩქეფარე ფერებით, მკვეთრი რიტმით, დახვეწილი ემოციურობითა და ძალიან ლამაზი დიატონური ჰარმონიით, და ეს, რა თქმა უნდა, დიდი ხიბლია მსმენელისთვის და ალბათ, შემსრულებლისთვისაც. რამდენად მოსახერხებელია შესასრულებლად პულენკის ნაწარმოებები და რატომ გადაწყვიტეთ მთელი კონცერტი მისი შემოქმედებისთვის დაგეთმოთ? თქვენ რა გხიბლავთ პულენკის მუსიკაში?

ლ.ც. — მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პულენკი არ ითვლებოდეს მე-XXს. კორიფედ, მას აქვს თავისი ხელწერა, რომელიც ყველასაგან განასხვავებს და გამოარჩევს მას, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია კომპოზიტორისათვის. პულენკი ძალიან კარგად და მოსახერხებლად წერდა ჩასაბერი საკრავებისთვის. ვფიქრობ, რომ მთლიანობაში მის შემოქმედებაზე გავლენა იქონია მოცარტმა, ხოლო 20-იანი წლების ნაწარმოებებში იგრძნობა სტრავინსკის გავლენა. მან შექმნა ბევრი ნაწარმოები სასულე ინსრუმენტებისთვის, რომლებიც დღესდღეობით ჩვენი ყოველდღიური რეპერტუარია.

ლაურენს ოტო (ვალტორნა), მამუკა გექაური (ტრომბონი), გიორგი შამანაური (საყვირი)

ა.ს. — სასულე ინსტრუმენტებს საოცარი, არაჩვეულებრივი ჟღერადობა და შესაძლებლობები აქვს; თავისი სილამაზით და სისუფთავით, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ადამიანის ხმას. ამიტომაც გასაგებია, რომ თქვენ მიისწრაფვით ამ ინსტრუმენტების პოპულარიზაციისკენ, ცდილობთ გახსნათ მსმენელის (და შემსრულებლების) წინაშე ამ ინსტრუმენტების მდიდარი მუსიკალური ფერების და გამომსახველობითი ხერხების ახალი შესაძლებლობები. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ინსტრუმენტები შეიცავენ ისეთ „ვერაგ" თვისებებს, რომ შეუძლებელი ხდება მოსმენა, თუ შემსრულებელი არ არის თავის დონეზე. აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რა მიზანს ემსახურება ფესტივალის ფარგლებში მასტერკლასების და მსგავსი ღონისძიებების ჩატარება — მათი მიზანია საშემსრულებლო დონის ამაღლება და დახვეწა. გვიამბეთ, თუ შეიძლება, ფესტივალის ამ მხარეზე.

ლ.ც. — საქართველოში ორი პრობლემაა — ერთი დაკავშირებულია საშემსრულებლო ოსტატობის ახალი გზებისა და ხერხების გამოყენებასთან და მეორე — ინსტრუმენტების დეფიციტთან. რაც შეეხება პირველ პრობლემას — ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოცდილი

პედაგოგები გვყავს. მე თვითონ დავამთავრე თბილისის ევგ.მიქელაძის სახელობის №9 მუსიკალური სკოლა, ბატონი დავით ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით, რომელმაც უზომოდ შემაყვარა კლარნეტი, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ. მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ჩასაბერი სკოლის ტრადიციები უნდა გამდიდრდეს, დაიხვეწოს, დაეფუძნოს ღრმა ცოდნას და მიუახლოვდეს ევროპის სტანდარტს. მეორე, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა, საშემსრულებლო პრაქტიკა. თუ მუსიკოსს არ ეძლევა ხშირად დაკვრის საშუალება, მას გაუჭირდება — მუდმივი საშემსრულებლო პრაქტიკა ამის აუცილებელი პირობაა. ასევე მიმაჩნია, რომ შემსრულებლის პროფესიონალიზმი უფრო კარგად ვლინდება კამერულ მუსიკაში, რომლის სწორად სწავლის დროსაც ყალიბდება, იხვეწება და შემდგომში ვლინდება მუსიკოსის ყველა საშემსრულებლო თვისებები — არა მარტო თავისი თავის მოსმენა და გამოჩენა, არამედ კოლეგისა და მუსიკის შინაარსის წარმოჩენა.

ა.ს. — აი, რატომ მიისწრაფვიან ევროპაში ჩვენი ახალგაზრა მუსიკოსები!

ლ.ც. — ვფიქრობ, რომ ეს ჩვეულებრივი პროცესია. მათ უკეთესი განათლება ეგულებათ დასავლეთ ევროპაში ან სხვაგან და შესაბამისად იქითკენ მიისწრაფვიან. ვფიქრობ, ამ ტენდენციას ხელი არ უნდა შეეშალოს. რა თქმა უნდა, იდეალური იქნება თუ ყველა დაბრუნდება და საქართველოში დაიწყებს მუშაობას, მაგრამ ჯერ ამის პირობები, სამწუხაროდ, არ არის ჩვენთან. ასევე უცხოეთში ყოფნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შენ ავტომატურად კარგი მუსიკოსი გახდი და უნარი შეგწევს დაბრუნდე საქართველოში და ვინმეს ჭკუა დაარიგო. ჩემი აზრით, ამას დრო გვიჩვენებს - ვის რისი უნარი და ძალა შესწევს.

ა.ს. — უსმენს თუ არა კლასიკურ მუსიკას ახალგაზრდობა იქ, სადაც თქვენ მოღვაწეობთ? რა მდგომარეობაა თქვენი აზრით ამ მხრივ საქართველოში?

ლ.ც. — ჰოლანდიაში 16 კონსერვატორიაა. გარდა ამისა, უამრავი საკონცერტო დარბაზი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სავსეა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მსმენელის მოზიდვის პრობლემა ყოველთვის დგას. სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას. ეს შეიძლება იყოს უფასო კონცერტები, გენერალურ რეპეტიციებზე ხალხის დასწრება, სკოლებში დაკვრა, საბავშო კონცერტები და მრავალი სხვა. ასევე დიდ როლს ვანიჭებ მსმენელსა და შემსრულებლს შორის უფრო მეტი კონტაქტის დამყარებას, ვიდრე მხოლოდ გამოსვლა და დაკვრაა.

ა.ს. — რას გულისხმობთ ამაში? შეიძლება ამითაც იყოს გაპირობებული თქვენი წინასიტყვაობა, რომლითაც მიმართავდით კონცერტების დაწყებამდე მსმენელს?

ლ.ც — დიახ, ყოველთვის ვცდილობ, რომ პატარა შესავალი გავუკეთო კონცერტს. თანაც უამრავ ნაწარმოებს ვუკრავთ, რომელიც პირველად სრულდება და მე მგონი, საინტერესოა მსმენელისთვის პატარა ისტორიის მოსმენა თითოეულ მათგანზე. ჩემი აზრით, ამით დისტანცია მცირდება მსმენელსა და მუსიკოსს შორის და კიდევ უფრო განვაწყობ მას კონცერტის მოსასმენად.

ა.ს. — აქედან გამომდინარე შემდეგი კითხვა იბადება — თქვენ ატარებთ მასტერკლასებს ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის — ეს გასაგებია! ხომ არ გიფიქრიათ არამუსიკოსებისთვის მსგავსი რამის გაკეთება — კლასიკური მუსიკის, კერძოდ ჩასაბერი საკრავიერი მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით?

ლ.ც. — ეს ძალიან კარგი აზრია და რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას და პრინციპში, ეს ასეც უნდა იყოს! ბავშვებს უნდა იზიდავდე ყველა საშუალებით მუსიკალურ სკოლებში და შემდგომ მუსიკალური სკოლები უნდა ასაზრდოებდნენ კონსერვატორიას. მაგრამ იმ სიხშირით, რა სიხშირითაც ჩვენ გამოვდივართ საქართველოში, ასეთი პროექტების განხორციელება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამას ცალკე დაგეგმვა და ორგანიზება სჭირდება, და რაც მთავარია, მუსიკალური სკოლების აქტიურობა.

ა.ს. — ვიმედოვმებთ, რომ ეს საკითხი თქვენი მომავალი გეგმების ნაწილი გახდება. ახლა კი დროა მომავალ გეგმებზე ვისაუბროთ; შეიცვლება თუ არა ფესტივალის მიმართულება, რა სიახლეებს გვპირდებით მომავალში?

ლ.ც. — არა მგონია შეიცვალოს ფესტივალის მიმართულება. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. რა თქმა უნდა, ყველა

ფესტივალი განსხვავდება ერთმანეთისგან და ყველა კონცერტი გარკვეულ თემატიკაზეა დაფუძნებული, რაც ფესტივალის კომპოზიციას ამთლიანებს. ასევე, როგორც უკვე მოგახსენეთ — მასტერკლასების დიდი რაოდენობა, რაც შეიძლება მეტი კონტაქტი სტუდენტებთან და პედაგოგებთან და მათი ჩართვა კონცერტებში.

ა.ს. — საქართველოში ბოლო წლებში მუდმივად ტარდება თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების მიერ შექმნილი ნაწარმოებების კონკურსები, იწერება საინტერესო მუსიკა, მათ შორის სასულე საკრავებისთვისაც, სოლო თუ საანსამბლო ნაწარმოებები. რას ფიქრობთ თანამედროვე ქართული მუსიკის შესრულებაზე და ამავდროულად, თქვენი ფესტივალის მეშვეობით მის პროპაგანდაზე?

ლ.ც. — სიამოვნებით ვასრულებთ ხოლმე ახალ მუსიკას ქართულსა თუ უცხოურს. რა თქმა უნდა, ჩვენი გემოვნებით ვარჩევთ, რადგანაც გვინდა, რომ ფესტივალის საერთო პროგრამას მოერგოს და არ იყოს ფორმატს მოწყვეტილი. ჩასაბერები არ ვართ განებივრებულნი იმხელა რეპერტუარით, როგორც პიანისტები, მაგრამ, მეორე მხრივ ეს გვანიჭებს უპირატესობას იმაში, რომ აბსოლუტურად ყველა პერიოდის მუსიკის დაკვრა გვიწევს. ხშირად მოცარტი და ბულეზი, ბრამსი და ბერიო და ბევრი სხვა კომპოზიტორი ჩვენი ყოველდღიური პროგრამაა. ქართველ თანამედროვე კომპოზიტორებსაც ხშირად ვასრულებთ. შარშან შესრულდა ნოდარ გაბუნიას 2 ნაწარმოები და შარშანვე რეზო კიკნაძის „ლევანინო“, რომელიც ჩემთვის და ჩემი მეუღლისთვის დაწერა.

ა.ს. — იცით, რადგან თქვენი მეუღლე ახსენეთ, აქვე ვიტყვი იმას, რის თქმასაც ცოტა მოგვიანებით ვაპირებდი — მინდა ცალკე გამოვყო შესანიშნავი პიანისტის ნინო გვეტაძის ოსტატობა, მისი საოცარი გემოვნება, მაღალი ხარისხის პიანიზმი, რაც, რა თქმა უნდა, სოლო თუ ანსამბლური ჟღერადობის საყრდენიცაა და ნაწარმოების შესრულების საფუძველიც. *„დაბადებული პიანისტად, დაჯილდოებული ადამიანის გულთან საუბრის უნარით“* — ასეთი შეფასება მიიღო ნინომ ერთ-ერთი უცხოელი კრიტიკოსისგან. ბედნიერებაა, როდესაც ოჯახში ორი ასეთი პროფესიონალი ერთ „მუზას“ ემსახურება. დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. გისურვებთ წარმატებებს!

ლ.ც. — დიდი მადლობა! ვიმედოვნებ, რომ მომავალი ფესტივალიც ასეთივე წარმატებული იქნება და ახალგაზრდა მუსიკოსები ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით, რაც მათ დაეხმარება პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

ალა სხირტლაძე

P.S. — **ფესტივალის კონცერტებს და მასტერკლასებს ესწრებოდა მრავალი მსმენელი და სტუდენტი, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფესტივალი ქართული კულტურის ორგანული ნაწილი გახდა. ამჯერადაც მსმენელმა მიიღო არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებები — განსაკუთრებით აღსანიშნავია შემსრულებლების არტისტიზმი, ემოციურობა, სტილის, ანსამბლურობის შეგრძნება. სასულე ინსტრუმენტების ასეთ „მღერას“ იშვიათად მოისმენ. საინტერესოა IAMAXA-ს ერთ-ერთი წარმომადგენლის შეფასება საყვირის დღევანდელი შესაძლებლობების თაობაზე: „დღეს საყვირს შეუძლია ადამიანის ხმის სინაზით და ვიოლინოს ვირტუოზულობით დაუკრას“, დავუმატებდი — არა მარტო საყვირს, არამედ ყველა ჩასაბერ საკრავს, თუკი ის მაღალი კლასის პრიფესიონალის ხელშია! ამის დასტურია ფესტივალის კონცერტები.**

ჯონ კეიჯი

ჯონ კეიჯის გზა სამყაროსა და საკუთარი სულის შეცნობისაკენ

2012 წელს მთელი მუსიკალური სამყარო ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორის, ჯონ მილტონ კეიჯის (1912-1992) დაბადებიდან 100 წლისთავს ზეიმობდა. თუმცა, საკითხავია, რამდენად შეიძლება კეიჯზე საუბრისას შემოიფარგლო განსაზღვრება კომპოზიტორით. კეიჯი წერდა მხატვრულ და სამუსიკისმცოდნეო ტექსტებს, ხატავდა, კითხულობდა არაჩვეულებრივ ლექციებს... სერიოზულად იყო გატაცებული მიკოლოგიით – სოკოების შემსწავლელი მეცნიერებით და, ყველაფერთან ერთად, ახალი ინსტრუმენტების გამოგონებითაც კი იყო დაკავებული.

საერთოდ, გამომგონებლობა იქცა კეიჯის სავიზიტო ბარათად. მისი უაღრესად არაორდინარული იდეებისა და ხედვების საფუძველზე იმდენად ინოვაციური მუსიკალური ფორმები და საკომპოზიციო ტექნიკის სახეები ჩამოყალიბდა, რომ კეიჯი XX საუკუნის სხვა სფერო-

ებში მოღვაწე უდიდეს გამომგონებლებს გაუტოლდა. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ კომპოზიტორის მამა, ჯონ მილტონ კეიჯი უფროსი, გამომგონებელი გახლდათ. მან, მაგალითად, შექმნა დიზელზე მომუშავე წყალქვეშა ნავი, რომელიც გამობოლქვისას არ გამოყოფდა ბუშტებს და მტრისათვის უხილავი ხდებოდა. მას შემდეგ კი, რაც დაკარგა ინტერესი უხილავი წყალქვეშა ნავების მიმართ, დაკავებული იყო სამყაროს ელექტროსტატიკური ველის თეორიით. ისევე, როგორც, ალბათ, მკითხველთა უმეტესობას, მეც წარმოდგენა არ მაქვს, რას ეხება ეს თეორია, მაგრამ როგორც წავიკითხე, იგი აკადემიური მეცნიერებების ყოველგვარ ნორმებს არღვევდა.

როგორც ჩანს, აკადემიური ბუნების მქონე ნორმების დარღვევა უმცროსმა კეიჯმა მამისგან ისწავლა. სწორედ მამა ეუბნებოდა მას ხშირად: „როცა ვინმე ამბობს, ეს შეუძლებელია, შენ უკვე გესახება მიმართულება შემდგომი ქმედებებისთვისო“.

იქნებ მამამისის ეს სიტყვები ახსოვდა ჯონ კეიჯს, როდესაც 1940 წლის მარტში ამერიკელი ქორეოგრაფისა და მოცეკვავისთვის, სივილა ფორტისთვის საცეკვაო ნომერს თხზავდა — აფრიკულ საცეკვაო თემაზე დაფუძნებულ „ბაკქანალიას“. აფრო-ამერიკელ მოცეკვავესთან კეიჯს მანამდეც უმუშავია და ფორტს დასარტყამთა ანსამბლისთვის შექმნილ ნაწარმოებების ფონზე უყვარდა ცეკვა. მაგრამ მოცემული ქორეოგრაფიული ჩანახატისთვის განკუთვილ დარბაზში მხოლოდ როიალი იდგა, დარბაზის სიდიდე კი სხვა ინსტრუმენტების დადგმის საშუალებას არ იძლეოდა. მოკლედ, დასარტყამების გამოყენება შეუძლებელი იყო, რამაც კეიჯს მიმართულება დაუსახა შემდგომი ქმედებებისთვის. მან იფიქრა და გადაწყვიტა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი პიანისტის ხელებში დასარტყამთა მთელი ორკესტრის ეკვივალენტის მოთავსება. „ერთი მუსიკოსის საშუალებით შენ შეგიძლია უთვალავი რამ გააკეთო როიალის შიგნით, თუნდაც კლავიატურა მორყეული და დაშლილი იყოს,” — ამბობდა მოგვიანებით კეიჯი. ასე გაჩნდა პრეპარირებული ფორტეპიანო...

ვგონებ, უპრიანია უფრო დეტალურად ვისაუბრო მოვლენაზე, რომელმაც კიდევ ერთი უცხო სიტყვა დაამკვიდრდა ქართულ ენაში. მუსიკალური საკრავის, მათ შორის, ფორტეპიანოს პრეპარირება მისი ტემბრის შეცვლას და ამით ინსტრუმენტის „მომზადებას“ გულისხმობს. სწორედ ასე ითარგმნება ინგლისური ზმნა — prepare, რომელიც კეიჯმა გამოიყენა მისი ექსპერიმენტის განსაზღვრებისთვის. როიალის ტემბრის შეცვლის მიზნით კომპოზიტორმა სიმებში ჩაამაგრა სხვადასხვა საგანი — ხრახნი, ჭანჭიკი, ფეტრის, პლასტმასისა თუ რეზინის ნაჭერი. ფეტრი, მაგალითად, სიმებს ვიბრირების უნარს უკარგავდა, ჭანჭიკი კი ბგერას „ლითონისებრ“, ან „გონგისებრ“ ელფერს ანიჭებდა, რის შედეგადაც როიალი ჟღერადობით დასარტყამ ინსტრუმენტებს მიუახლოვდა.

პრეპარირების ხერხს კეიჯმა ერთი შემთხვევის წყალობით მიაგნო. მართალია, იგი თავად ხშირად ყვებოდა, როგორ ატარებდა ექსპერიმენტებს თეფშებისა თუ წიგნების სიმებში ჩადების გზით, მაგრამ ქორეოგრაფი ბონი ბერდი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში თანამშრომლობდა კეიჯთან, დეტალურად იხსენებს ბევრად უფრო საინტერესო ისტორიას.

ერთ-ერთ დადგმაში ბერდს განზრახული ჰქონდა, მოცეკვავეები მეხანძრეების მიერ გამოყენებული თითბერის ბოძებიდან ჩამოსრიალებულიყვნენ სცენაზე. სახანძროში სტუმრობისას აღმოჩნდა, რომ ეს ბოძები ძალიან ძვირი ღირდა. დამწუხრებულ ქორეოგრაფს მეხანძრეებმა სანუგეშოდ ბოძის მაკეტი, ასევე თითბერის პატარა ძელი აჩუქეს. რეპეტიციაზე დაბრუნებულმა ბერდმა იგი როიალის პიუპიტრზე, ნოტების გვერდით დადო. როცა კეიჯი როიალს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო, საკმაოდ მორყეული პიუპიტრი დაეცა და თითბერის ძელი სიმებში ჩავარდა. კეიჯი იმდენად „დაინტრიგებულა“ ჟღერადობით, რომ მან შეაჩერა რეპეტიცია და დაიწყო ძელის სიმებში გადაადგილება, ამით წარმოქმნილი საოცარი ბგერებით თამაში. რეპეტიცია შეწყდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ დაიბადა როიალის პრეპარირების იდეა.

იქნებ სწორედ აქედან მოყოლებული იქცა შემთხვევა, შემთხვევითობა კეიჯის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ცენტრალურ კატეგორიად. ყოველ შემთხვევაში, სწორედ პრეპარირებამ და მასთან დაკავშირებულმა ექსპერიმენტებმა მიიყვანეს კომპოზიტორი საინტერესო დასკვნებამდე. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა

პიანისტის მიერ „მომზადებული" სხვადასხვა ფირმის როიალი სხვადასხვანაირად ჟღერს, რის შედეგადაც, აჟღერებული ერთი და იგივე მუსიკალური ტექსტი ყოველი შესრულებისას მნიშვნელოვნად იცვლის სახეს. ამ ფაქტმა ასწავლა კეიჯს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „სიამოვნება მიეღო მოვლენებისგან, რომლებიც თავისთავად, კომპოზიტორის გვერდის ავლით ვითარდება". სწორედ ამ იდეამ მიიყვანა იგი მუსიკალური ინდეტერმინიზმის იდეამდე – როდესაც ნაწარმოების ფორმა მნიშვნელოვნად არის დეტერმინირებული – ანუ, განსაზღვრული – არა კომპოზიტორის, არამედ გარკვეული ვითარების თუ შემთხვევის მიერ.

ამ იდეის ერთ-ერთ ორიგინალურ გამოხატულებას წარმოადგენს „ასტრალური ეტიუდები" ფორტეპიანოსთვის. კეიჯმა ასტრონომიულ ატლასს დაადო გამჭვირვალე ქაღალდი, რომელზეც სანოტო სისტემები იყო დახატული და ატლასზე განლაგებული წერტილები (ვარსკვლავები) ამ სანოტო სისტემებზე გადაიტანა. ყოველივე ამის შედეგად ვარსკვლავები მუსიკად იქცა. ეტიუდების ნოტები წარმოადგენს სანოტო სისტემაზე მიმოფანტულ, განსაზღვრული სიმაღლის მქონე ბგერებს, რომელთა არც გრძლიობა, და არც დინამიკა არ არის განსაზღვრული. შესრულებისას პიანისტი თავად ურჩევს გარკვეულ ბგერათსიმაღლეებს გარკვეულ პარამეტრებს, თავად განსაზღვრავს ტემპს და, აქედან გამომდინარე, აქტიურ მონაწილეობას იღებს ნაწარმოების შექმნაში.

ევროპელ, მათ შორის, ქართველ კომპოზიტორთა უმრავლესობას, ალბათ, სულით სიღრმემდე ზარავს ის ფაქტი, რომ მათი კალმიდან გამოსული ნაწარმოები ასეთ დონეზე გამოდის მათივე კონტროლიდან. კეიჯისთვის კი სწორედ საკუთარ მე-ზე, საკუთარ გემოვნებაზე და მოთხოვნილებებზე უარის თქმა, მუსიკის საშუალებით, იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ ამ ფენომენის არსს, აუცილებელია წარმოდგენა შევიქმნათ კეიჯის მსოფლმხედველობაზე. იგი ეფუძნება, როგორც აღინიშნა, აღმოსავლური კულტურის ესთეტიკურ, რელიგიურ და ფილოსოფიურ დებულებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა კომპოზიტორის მხატვრული კონცეფციის ჩამოყალიბებისას შეიძინა ბუდიზმის ერთ-ერთმა მიმდინარეობამ — ძენ-ბუდიზმმა.

ძენ-ბუდიზმი ბუდიზმის ერთ-ერთ სკოლას წარმოადგენს, რომელიც V საუკუნის ჩინეთში, დაოიზმის ზეგავლენით ჩამოყალიბდა და მოგვიანებით შორეულ აღმოსავლეთში გავრცელდა. ძენი ეფუძნება ბუდიზმის ზოგად მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვით, სამყაროს ჰარმონიის დარღვევისა და ყოველგვარი ტანჯვის საფუძველს ადამიანური ვნებები წარმოადგენს. ტანჯვისაგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ ვნებებზე და სურვილებზე უარის თქმით. თუ განვთავისუფლდებით ამავე სურვილებისა თუ ვნებების საფუძველზე ჩამოყალიბებული მიკერძოებული დამოკიდებულებისგან ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის მიმართ, შევიცნობთ როგორც მათ, ისე საკუთარი თავის ჭეშმარიტ არსს.

სწორედ საკუთარი სულის შეცნობას აყენებს ძენი უმთავრეს მიზნად. ამიტომაც, ძენის ოსტატები არ მოუწოდებენ მოსწავლეებს, მიაღწიონ გასხივოსნებას (რაც ბუდიზმის თითქმის ყველა მიმართულების მიმდევარის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს), არამედ ურჩევენ, ყოველდღიურად, გარკვეული ძალისხმევის შედეგად შეიცნონ საკუთარი თავი.

ძენის რეგულარული პრაქტიკის ორ მთავარ გამოვლინებად მედიტაცია და ფიზიკური შრომა ითვლება.

ორივე იწვევს გონების დამშვიდებას. განათებული გონება კი გვეხმარება, გავათავისუფლოთ სული მეორეხარისხოვანი სურვილებისგან, მიკერძოებულობისგან, არასაჭირო მღელვარებისგან და ამ გზით შევიცნოთ საკუთარი თავი.

ძენმა გამოხატულება კეიჯის შემოქმედებაში სხვადასხვა სახით ჰპოვა. „მე არასოდეს ვზივარ გადაჯვარედინებული ფეხებით," — წერდა კეიჯი. — არც მედიტაციებით ვარ დაკავებული. ყოველთვის ვასრულებ სამუშაოს, რომელიც მოიცავს მუსიკის შექმნას სკამებისა და მაგიდების გამოყენებით. ვიდრე მუშაობას შევუდგები, ვაკეთებ ზურგის ვარჯიშებს და ვრწყავ ჩემს მცენარეებს".

როგორც ამ იუმორნარევი განცხადებიდან ჩანს, ძენის იდეებმა, უპირველეს ყოვლისა, კეიჯის მუსიკაში ჰპოვეს ასახვა. მიკერძოებული დამოკიდებულებებისგან გათავისუფლების შედეგად კომპოზიტორისთვის დღის წესრიგში დადგა მუსიკის კონცეფციის გადააზრების საკითხი. დასავლეთევროპული მუსიკა ხომ უმრავლესობაზე თავსმოხვეული, ცალკეულ ინდივიდთა მიკერძოებული დამოკიდებულებების საფუძველზე აღმოცენებული ტრადიციების განვითარების სისტემაა. აქედან გამომდინარე, კეიჯმა მუსიკის ყველა ასპექტში პიროვნების გემოვნებისა და სუბიექტური განცდებისგან გათავისუფლება განიზრახა. „ინდივიდუალობა მეტისმეტად მყიფეა საიმისოდ, რომ მასზე ააგო ხელოვნება. ამისთვის არსებობს სიტყვა სტილი", — წერდა იგი.

ინდივიდუალობის ზეწოლისგან გათავისუფლების მცდელობაა იმავე ვარსკვლავური ატლასით მუშაობა. მუსიკის შექმნაზე პასუხისმგებლობას არა კომპოზიტორი (თავისი ინდივიდუალური გემოვნებითა და განცდებით), არამედ სამყაროში ადამიანის მიღმა არსებული ვითარება და შემთხვევითობა იღებს. შემთხვევითობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, სხვათა შორის, ძენ-ბუდიზმში, ვინაიდან სამყაროს და არა ადამიანის ლოგიკას ექვემდებარება, მის კანონზომიერ გამოვლინებას წარმოადგენს.

ამ იდეის კიდევ უფრო რადიკალური გამოვლინებაა კეიჯის ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოები „4'33", რომელიც 4 წუთისა და 33 წამის განმავლობაში ნებისმიერი ინსტრუმენტული შემადგენლობის მიერ სრული სიჩუმის შესრულებას ითვალისწინებს. სიჩუმეში თავისთავად აღმოცენებული ბგერები კი — იქნება ეს შრიალი გაკვირვებული პუბლიკის რიგებში, თუ გარედან შემოსული ტრანსპორტის ხმა, თავისთავად ამყარებენ ერთმანეთთან კავშირებს და ერთიანდებიან მუსიკალურ ნაწარმოებში.

აღმოსავლური აზროვნებით შთაგონებული კეიჯისთვის, ბუნებაში არსებულ ბგერათა შორის ურთიერთკავშირი იმდენად ორგანულია, რომ იგი არ თვლის თავს მოვალედ, ძალდატანების გზით შექმნას ხელოვნური უწყვეტობა მუსიკაში. ბუნებრივი უწყვეტობა ხომ თავისთავად არსებობს. „მე მგონია, რომ ბგერებს შორის ისეთივე ურთიერთკავშირებია, როგორც ადამიანებს შორის" — წერს იგი. „და ისინი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი ჩემ მიერ განსაზღვრული კავშირი. როდესაც უარს ვამბობ პასუხისმგებლობაზე, შევქმნა ეს კავშირები, მე არ ვკარგავ მათ. მე ვტოვებ სიტუაციას თავის ბუნებრივ კომლექსურობაში და გაძლევთ საშუალებას, დააკვირდეთ მას სხვადასხვა კუთხით".

რა თქმა უნდა, ხანდახან კეიჯი მაინც იღებდა თავზე ვალდებულებას, შეექმნა ეს კავშირები ნოტირებული ნაწარმოებების სახით. მაგრამ ამ ნაწარმოებებშიც თითქმის არ აისახება რეალური თუ წარმოსახვითი პირადული გრძნობები. კეიჯს ბევრად უფრო აინტერესებს მედიტაციური მდგომარეობა, რომელსაც მივყავართ წონასწორობასა და სიმშვიდისკენ. აი რას წერს იგი თავის „ავტობიოგრაფიულ განაცხადში": „არ შემეძლო მიმეღო აკადემიური იდეა, რომ მუსიკის დანიშნულება კომუნიკაციაა. შევამჩნიე, როდესაც შეგნებულად ვწერდი რაიმეს სევდიანს, ხალხი და კრიტიკოსები იცინოდნენ. გადავწყვიტე, თავი გამენებებინა კომპოზიციისთვის, თუ არ ვიპოვიდი მუსიკის შექმნის უკეთეს მიზეზს, ვიდრე კომუნიკაციაა. პასუხი ინდოელი მუსიკოსისგან — ჯირა სარაბჰაისგან მივიღე. მან მითხრა, რომ მუსიკის დანიშნულებაა გამოაფხიზლოს და დაამშვიდოს გონება, გახსნას იგი ღვთიური ზემოქმედებისთვის".

ეს ფორმულირება ასახავს არა მარტო მუსიკის, არამედ, ზოგადად, ხელოვნების აღმოსავლურ ხედვას. ეს ხედვა დიამეტრალურად განსხვავდება ევრო-

პულისგან, რომლის მიხედვით, ხელოვნების დანიშნულება ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოკვლევა და ამ გზით ამავე სამყაროზე ზემოქმედებაა. თუ გადავხედავთ იმავე დასავლეთევროპული პროფესიული მუსიკის განვითარების ისტორიას, იკვეთება პროცესი, თუ როგორ ტრანსფორმირდება მუსიკის ფუნქცია ასწლეულების მანძილზე: თუ შუა საუკუნეების გრიგორისეული ქორალი ეკლესიაში მისული ადამიანის დამშვიდებას, მის უფალთან დაკავშირებას ისახავს მიზნად (და ივი ლოცვის თანაზიარი ხდება), მუსიკალური ექსპრესიონიზმი მსმენელის სულის ღრმა შრეებში შეჭრას ცდილობს, მისი ქვეცნობიერის სამყაროს სააშკარაოზე გამოტანის გზით. შეიძლება ითქვას, საწყის ეტაპზე დასავლური და აღმოსავლური მუსიკალური (და არა მარტო მუსიკალური) ესთეტიკა კონცეფციის დონეზე ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში მათი გზები გაიყო.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთსა და აღმოსავლეთში გაბატონებულ რელიგიებში უნდა ვეძიოთ. ბუდიზმისთვის სამყარო ადამიანის ჩარევის გარეშეც განაგრძობს არსებობას (სეზონები ცვლიან ერთმანეთს, მოქმედებს ბუნების სხვადასხვა კანონი). ინდივიდის მოვალეობაა, თავისი ქმედებებით ჰარმონიულად შეერწყას გარემოს. ქრისტიანობამ და მის წიაღ-

ში აღმოცენებულმა კულტურამ კი თანდათან განავითარა იდეა, რომ ადამიანს ძალუძს საკუთარი გონების გამოყენებით განსაზღვროს მოვლენათა მიმდინარეობა. აქედან გამომდინარე, ინდივიდი (თავისი გონებითა და შინაგანი ემოციური მდგომარეობით, ვნებებითა და სურვილებით) ნელ-ნელა სამყაროს, შესაბამისად, ხელოვნების ცენტრში მოექცა.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ესთეტიკური პოზიციების კონტრასტულობის თვალსაზრისით ერთ-ერთ საინტერესო ნაწარმოებს წარმოადგენს კეიჯის „სონატები და ინტერლუდიები", შექმნილი კვლავ და კვლავ პრეპარირებული ფორტეპიანოსთვის. კეიჯი აღნიშნავს, რომ აქ ერთმანეთს უპირისპირდება დასავლური და აღმოსავლური კულტურები, თავიანთი განსხვავებული მსოფლმხედველობებით.

„სონატები და ინტერლუდიები" ცხრამეტი ნომრისგან შემდგარი ციკლია. მას საფუძვლად დაედო ინდოელი ხელოვნებათმცოდნის, ანანდა კუმარასვამის ერთ-ერთი თეორია, რომლის მიხედვითაც ინდური ხელოვნების ესთეტიკა ეფუძნება ცხრა „ურყევ ემოციას". აქედან ოთხი ემოცია — გმირობა, გაოცება, ეროტიზმი და სიხარული — თეთრი ფერისაა, ოთხი კი — წუხილი, რისხვა, შიში, ზიზღი — შავის. მეცხრე, განცალკევებით მდგარ ემოციას – სიმშვიდეს — ფერი არ გააჩნია. კეიჯის ციკლში აისახა რვა „ფერადი" ემოციის სწრაფვა მეცხრესკენ – სიმშვიდისკენ.

საინტერესოა, რომ კუმარასვამის მოსაზრებით, ეს ემოციები კოდირებულია არა მარტო აღმოსავლურ, არამედ დასავლურ ხელოვნებაშიც. უბრალოდ, ამ ემოციების გამოხატვა, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა სახეს იღებს.

მიუხედავად იმისა, რომ აქ კეიჯი თავად არ იძლევა კონკრეტულ მითითებებს, ითვლება, რომ თითოეული სონატა რომელიმე ერთ ემოციას გამოხატავს. აი, ბოლო ოთხი სონატა კი, თავად კეიჯის განცხადებით, სიმშვიდისა და წონასწორობის გამომსახველია. ციკლში ჩასმული 4 ინტერლუდია შემაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს.

სხვათა შორის, სონატებს ამ ციკლში არაფერი აქვთ საერთო კლასიკური სონატის ჟანრთან. მათი „ჩანახატური", არაკონტრასტული ბუნებიდან გამომდინარე, ჩნდება ასოციაციები სკარლატის სონატებთან. კიდევ ერთი მინიშნება კეიჯისაგან — პიესები, რომლებშიც დომინირებს ზარისებრი ჟღერადობა, ევროპას „წარმოადგენენ", დასარტყამ ინსტრუმენტთა მიბაძვისას კი აღმოსავლეთია წარმოჩენილი.

მაგრამ საბოლოოდ, ერთსაათიანი ციკლის მოსმენის შემდეგ გვახსენდება, რომ განსხვავებების მიუხედავად, ესთეტიკური საფუძველი აღმოსავლურსა და დასავლურ ხელოვნებას ერთი აქვს. იქნებ ამიტომ მოგვაგონებს ციკლის დამაბოლოებელი სონატის დასაწყისი ი. ს. ბახის „გოლდბერგის ვარიაციების" თემას.

სწორედ ამ ციკლით მსურდა მიმეგო პატივი დიდი ამერიკელი კომპოზიტორის ხსოვნისათვის. 2012 წლის 27 ნოემბერს თბილისის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გამართულ კონცერტზე შედგა „სონატებისა და ინტერლუდიების" ქართული პრემიერა. მინდა მივმართო მათ, ვინც საგონებელში ჩაგდო კეიჯის არაორდინარულმა იდეებმა: — კიდევ ერთხელ მოისმინეთ ეს ნაწარმოები და მიეცით შანსი ამ მუსიკას, მოგეწონოთ იგი.

და კიდევ ერთი რამ... კეიჯის აზრით, ადამიანი ყველაფერს უნდა მიუდგეს მიკერძოების გარეშე. მისი მოვალეობის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს თანაბარი კეთილგანწყობა ამ სამყაროს ნებისმიერი ფენომენის მიმართ. თუ ანგარიშს გავუწევთ მხოლოდ იმას, რაც მოგვწონს, ვერ მივიღებთ პასუხებს მნიშვნელოვან კითხვებზე. ანგარიშგასაწევია ისიც, რაც არ მოგვწონს, რადგან ამის გარეშე ჩვენ ვერ შევიცნობთ სამყაროს და, მით უმეტეს, ვერ ჩავწვდებით საკუთარ სულს.

ფელიქს ღლონტი

ეპიტაფია ინტერვიუდან კოლაჟებით

წელიწადი იწურება მას აქეთ, რაც დიდების საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის კურთხეულმა მიწამ მიიბარა კიდევ ერთი ქართველი კომპოზიტორი. ეს ფელიქს (ფილიპე) ღლონტია. ამ სახელ-გვარს ვერ შევუწყვილებთ ვერც „საყოველთაოდ ცნობილ" და ვერც „ხალხის საყვარელი კომპოზიტორის" ეპითეტებს. თუმც კი ნიჭიერი, ნაყოფიერი, მრავალმხრივ ინტერესთა, და, აქედან გამომდინარე, ფართო ერუდიციის მქონე კომპოზიტორის შემოქმედებას მართებულად აფასებდა არა მარტო ქართველ თანამოკალმეთა წრე, არამედ უცხოელი კოლეგებიც. უცხოეროვნული ჯილდოები ქონდა დამსახურებული. სამშობლოში ნაკლები პოპულარობა კი, ვფიქრობ, იმის გამოა, მისივე სიტყვებს თუ მოვიშველიებ: „**შემოქმედების პროცესის გენეზისი შესწავლილი არ არის** (...) **უთუოდ ეს მომავლის საქმეა** (...)". მართალია, ფ. ღლონტის შემოქმედებას მიეძღვნა რამდენიმე მუსიკისმცოდნეური ნაშრომი, ინტერვიუები, საგაზეთო თუ საჟურნალო წერილები, მაგრამ, მომავალ თაობას, უეჭველია, ამ შემოქმედისადმი მეტი ყურადღება მართებს. ამჯერად კი მისი პიროვნების გასახსენებლად, ვამჯობინე მოვიშველიო მისივე გამონათქვამები ვრცელი ინტერვიუდან, კომპოზიტორის 70 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნად რომ გამოვაქვეყნე გაზეთში „მუსიკა" (1997. №3, 6,7).

ბ-ნი ფელიქსი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებების ადამიანი ბრძანდებოდა, მეტად თავისებური, მახვილი, ხშირად სარკაზმით გაჯერებული იუმორით გამორჩეული, მეტყველებაც თვითმყოფი ჰქონდა, ინტონაციაც, მოკლედ რომ მოვჭრა, მკაფიო ინდივიდუალობის, ფრიად არაორდინარული პიროვნება გახლდათ. ინტერვიუში მაქსიმალურად ვეცადე ბ-ნი ფელიქსის მეტყველების მანერა დამეცვა, თუმცკი ქაღალდზე, ცხადია, გამომსახველ ძალას კარგავს ინტონაცია, ვერც მიმიკა, ჟესტიკულაცია აისახება ნაბეჭდ სიტყვაში. ეს ყველაფერი კი, გამონათქვამთა შინაარსში, ქვეტექსტთა ამოცნობაში უდიდეს როლს თამაშობს. და მაინც, ინტერვიუ ბ-ნ ფილიპესთან დღესაც, მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც, საინტერესოდ მეჩვენა და წინამდებარე წერილი მისივე სიტყვებით გავაჯერე. დასაწყისშივე აღვნიშნავ, ჩვენი საზოგადოება, ნუ შემომწყრება თუ ვიტყვი, ჯერ კიდევ გარკვეულწილ ჩაკეტილი საზოგადოებაა. ჩაკეტილი არა მხოლოდ სა-

ხელმწიფოებრივი აზროვნების, არამედ ინტელექტუალური ინტერესების თვალსაზრისითაც. რას ვგულისხმობ? იშვიათად თუ მომიკრავს თვალი, ვთქვათ, მწერლისათვის კომპოზიტორთა პრემიერებზე, არც მხატვრები სწყალობენ დიდად მუსიკოსებს, მუსიკოსებიც არ რჩებიან ვალში, კანტიკუნტად თუ სტუმრობს ვინმე თანამედროვეთა პერსონალურ გამოფენებს. თუმც აქ ,,ურთიერთშეხება" მეტია. ,,ამქრულ" ჩაკეტილობაზე ეს შეხედულება ჩემი ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგია, ამიტომ გავიხსენე ფ. ღლონტის ნაკლებ პოპულარობასთან დაკავშირებით. ხოლო ფ. ღლონტის ნაკლებ პოპულარობა (სხვა არაერთი კომპოზიტორისაც!), შესაძლოა, იმის გამოა, რომ მისი მუსიკა პროფესიული მუსიკოსებისთვისაც კი არაა ადვილაღსაქმელი, რამეთუ: **„ფასეულობათა ჭეშმარიტების დადგენაში დიდი როლი ენიჭება პიროვნების ზოგად კულტურას, სულიერ ონტოგენეზს, ამიტომ საქართველოშიც და საზღვარგარეთაც მიმიღია აღფრთოვანება, სწორედ იმ ადამიანებისგან, ვინც აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ პირობებს."**

მართლაც, ფ. ღლონტის ნაწარმოებები არასოდეს სთავაზობს მსმენელს ,,მსუბუქად", დღეს რომ იტყვიან ,,ლაითად" მოსასმენ ბგერათშეხამებებსა და, საერთოდ ,,მელოდიას" (აქ სასურველია ასო-ბგერა ლ ძალიან რბილად გამოითქვას) რიგითი მსმენელისათვის მისაწვდომ მხატვრულ შინაარსს. ,,შინაარსიც" არა მხოლოდ ღრმა ფიქრს, არამედ პროფესიულ განსწავლულობასაც მოითხოვს. ეს ყველაფერი საყოველთაო პოპულარობის მოპოვებას არამც და არამც არ უწყობს ხელს. თუმცა თავად კომპოზიტორს თუ მივუგდებთ ყურს: მისი მუსიკა **„ეროვნულია, მისი მუსიკის ქართულობა ვლინდება ერისთვის დამახასიათებელ** щедрости, обилии, открытости, человечности და **ჰუმანიზმში, ამიტომ არის ჩემ მუსიკაში მელოდიური სიუხვე, სიმულტანურობა თანამედროვე პოლიფონიის და გურული მრავალხმიანობის** (...)".

კომპოზიტორმა ფელიქს ღლონტმა ხანგრძლივი ცხოვრებისეული და შემოქმედებითად ნაყოფიერი გზა განვლო. ყველა ჟანრს შეეხო, რიცხვმრავალი მუსიკალური მემკვიდრეობაც დატოვა. და მართალია, ერთხელ და ორჯერ როდი უზეიმია საკუთარი საპრემიერო სიხარული, უცხოეთშიც შესრულებულა, მის ნაწარმოებთა ჩანაწერებიც გამოცემულა, მაგრამ იმქვეყნად გულისტკენაც ბევრი გაიყოლა. ჯილდოები, დიაღაც, მიუნიჭებიათ (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი), მაგრამ თუ გადავხედავთ ქართველ კომპოზიტორთა სიას, ვისაც უზენაესი ეროვნული ჯილდოები — რუსთაველისა, ზ. ფალიაშვილისა — საამაყო პრემიები ამშვენებს, ამ ჩამონათვალში ფ. ღლონტს ვერ ვიხილავთ. რატომ? **„რუსთაველის და სხვა სახელმწიფო პრემიების დარიგება საბჭოთა პერიოდში ხდებოდა ავტორის ზოგადი ავტორიტეტის, მისი კავშირების, თანამდებობის, ამბიციურ კლიმატში ოსტატურად ლავირების გათვალისწინებით. ეხლაც ეს ინერცია მოქმედებს** (...). **არ შეიძლება ერთი და იგივე ადამიანები სულ მუდამ მსაჯულები იყვნენ, მეორეები კი მუდამ მსჯავრდადებულები** (...)". ჩემს შეხედულებას დავძენ. ხელოვნების მოღვაწეები, ვფიქრობ, არ უნდა იზომებოდნენ არშინით, ეს მეტია, ის კიდევ უფრო . . . ხელოვნებაში არ უნდა ხდებოდეს მოღვაწეთა დანომრვა, მავანი ჩინოვნიკის, მოხელის ნებასურვილისამებრ არ უნდა გაიცეს ჯილდო-წოდებები, თუმცა არც საყოველთაო სიყვარული შეიძლება გამოდგეს ფასეულობათა ჭეშმარიტ საზომად. აი, მაგალითად, პოპულარობით ცოტა თუ დაუდგება გვერდით საყოველთაოდ სახელგანთქმულ კომპოზიტორს, რევაზ ლაღიძეს. მის ,,თბილისო" იქნება ეს, თუ ,,ვაზო, შვილივით ნაზარდო", ბევრი სხვა, აფასებენ პროფესიონალებიც და კოლმეურნე-მუშასაც უყვარს, მაგრამ ამ უკანასკნელთ ვერ მოსთხოვ ,,Vita Nova"-ს სიყვარულს და ეს სრულებითაც არაა ნაწარმოების ხარისხის მაჩვენებელი.

სიმფონია ღლონტზე მეტი ჯერ მარტო ქართულ მუსიკაში არავის დაუწერია — 14! საბჭოურში კი მხოლოდ და მხოლოდ ნ. მიასკოვსკი აჭარბებს — 27! საბჭოთას იმიტომ ვუდარებ, რომ ორივეს ერთსა და იგივე კომუნისტური დიქტატის დროს მოუწიათ მოღვაწეობა. ცხადია, ხელოვნებაში რაოდენობა არაფერს წყვეტს, მხატვრულ-ესთეტიკური შინაარსია მთავარი. ბ-ნი ფელიქსის მუსიკა მუდამ ღრმა შინაარსს იტევს, **„კარდინარულ საკითხებს ყოფიერებისა და ადამიანის ყოფნა-არყოფნისა, ადამიანის თვითდამკვიდრებისა,**

სიკვდილის, ერთი სიტყვით — ეკზისტენციალიზმის კონ-ცეფციას.” ხოლო დაფასება ... !? ამავდროულად ობ-ოლი სიმფონიის პატრონი კომპოზიტორი, ვისი თხზულება პრემიერის შემდეგ აღარც გაჟღერდება, რიგ ქალაქთა საპატიო მოქალაქეც ბრძანდება, ლაურეატიც, თბილი თანამდებობაც აქვს, ყოფითი კეთილდღეობაც“...

ფელიქს ღლონტი მასშტაბურად მოაზროვნე პი-როვნება გახლდათ. სიმფონიებთან ერთად ოპერებიც დიდმასშტაბური აქვს. სახელწოდებებიც კი ამას მეტყ-ველებს — სიმფონიები “Mundus apertus“, “Fiat lux“, ,,იბერიული ჰიმნები”, ჰეროიკული ორატორია „გალაკ-ტიონი“ და მრავალი სხვა, ოპერები ,,იბერიელები”, „კლეოპატრა“. ხოლო ოპერათაგან რამპის შუქი ერთ-საც არ ღირსებია. უკანასკნელად ახალი ნაწარმოები ფ. ღლონტმა რომ წარმოადგინა ორი სიმფონია-კონცერ-ტი იყო, გრანდიოზული თხზულებები, ,,კონცეპტუალუ-რი” — როგორც თავად ავტორი იტყოდა. ასეთი გაქანე-ბის ინსტრუმენტული თხზულების შექმნა, რვა ათეულს მიტანებული ხელოვანისათვის, ნამდვილად გმირობის ტოლფასია. ჯილდო, პრემია? ... რატომ? განა ოპერებს, ვთქვათ, ,,დეპუტატი”, ,,ლადო კეცხოველი”, ,,სამშობ-ლო”, სიმფონიებს ,,სამგორი”, ,,ახალგაზრდული” ან კიდევ სხვებს, ჩამოუვარდება ღლონტისეული თხზუ-ლებები? სრულიადაც არ მსურს იოტისოდენა ჩრდილი მივაყენო ამ პარტიტურათა ავტორებს. უძნელეს ეპო-ქაში, ანუ მაშინ მოუხდათ მოღვაწეობა, როცა ,,წყეული შხამით აღვსილა მთელი ქვეყანა, დუმს შიშით მოცული მორჩილი ხალხი” (ეს დანტეს სიტყვებია, ღლონტისეუ-ლი სიმფ. “Vita nova“-დან). განა გული კარნახობდათ, დავალება, იდეოლოგიური განკარგულება იყო ასეთი და ისინიც ,,ნებაყოფლობითი იძულებით” (ო. ჭილაძე) მიმართავდნენ ,,აქტუალურ” თემებს. ფ. ღლონტი იშ-ვიათად წასულა ამგვარ შემოქმედებით გარიგებაზე. ერთი-ორჯერ სცადა ოდენ ... თუმც არც ამ ,,ილეთმა” გაუმართლა ...

უკვე ვახსენე, ბ-ნი ფილიპე არაორდინარული პი-როვნება გახლდათ, არც პატიობდნენ ხასიათის თა-ვისებურებებს, იუმორს, ხშირად სარკასტულსა და მძაფრს. უხიაკ ხასიათს უწუნებდნენ.

„ჩემმა კარგმა მეგობარმა ჩემი ბუნება განსაზღვრა შემდეგნაირად — სიცილით იხსენებს ჩემი რესპონდენ-ტი — ხელოვნურად მტრების შეძენის საოცარი ოსტატი, მაკვარანცხი, კვიმატი ენის წყალობით.“ და იქვე; „**ჩემი პირშიმთქმელობა, გულახდილობა იწვევს გაღიზიანე-ბას. ჩემში კი სხვების სიყალბე, სიცრუე**“. ჩემს თავსაც ვადანაშაულებ. ვიდრე ამ წერილის წერას შევუდგე-ბოდი გადავიკითხე ზემოხსენებული, 15 წლის წინანდე-ლი ჩემი ვრცელი ინტერვიუ — ჩასაფრებული, მკვახე შეკითხვებით გადაპენტილი. თან, ნუ დაგვავიწყდება, 1997 წელია, ანუ დრო, როდესაც ქვეყანა სულიერსა და ფულად სრულ სიდუხჭირეს განიცდიდა. და, მარ-თალია, გვიკიჟინებდნენ, ახალ, დემოკრატიულ, თა-ვისუფალ ქვეყანას ვაშენებთო, აზრის გულახდილად გამოთქმა, მაინც არ იყო უსაფრთხო. რას ვერჩოდი, რა მინდოდა? რა, ფელიქს ღლონტს უნდა ემხილები-ნა ქვეყანაში არსებული ვითარების მიზეზები? ფილიპე ღლონტს უნდა დაედო ბრალი იმისათვის, ვისი ,,დამსა-ხურებაც” იყო ჩვენს თავსდატეხილი უბედურება? არ იკითხავთ, პასუხები როგორია? მყისიერი, პირდაპირი, კვლავაც ,,მაკვარანცხი”, ჩემს კითხვაზე მხოლოდ ერ-თხელ ამჯობინებს დუმილს. აი ის კითხვაც: ,,ბ-ნო ფე-ლიქს, თქვენ ახლახანს ორ თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეს უძღვენით კანტატა. რარიგ იმედოვნებთ, ნა-წარმოები იცოცხლებს ამ პოლიტიკოსთა ხსოვნის მეო-ხებით, თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელს აცოცხ-ლებს თქვენი მუსიკა?” პასუხი?...

ბ-ნი ფელიქსის ფართო ერუდიცია ვახსენე. ლი-ტონ სიტყვად რომ არ ჩამომერთვას იმ პიროვნებათა მხოლოდ ჩამონათვალს დავიმოწმებ, ვისაც მოიხსენი-ებს ინტერვიუში: დანტე და რუსთაველი, გალაკტიონი და ბოდლერი, გოეთე და დოსტოევსკი, პრუსტი და ჯოისი, თ. მანი და ფოლკნერი, მუსიკოსთაგან ბულე-ზი, შტოკჰაუზენი, მადერნა, პენდერეცკი, შოსტაკოვიჩი, შონბერგი, ბერგი, ტუსკია, გორდელი, ყანჩელი ... მარ-თალია, ეს არა სრული სიაა, მაინც აღარ გავაგრძელებ, დასამატებელი კიდევ ბევრია. ამ მოღვაწეთა მხოლოდ სახელები როდი მოჰყავს, საკუთარ მოსაზრებათა სამტ-კიცად, ტვინის ჭყლეტისა და ხანგრძლივი დაფიქრების გარეშე, დაუყოვნებლივ მოიხმობს ვრცელ ციტატებს მათი ნაწერებიდან, გამონათქვამებიდან, პარტიტუ-რებიდან. ამას ერთვის პარალელები მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებთან — ფილოსოფია, ფიზიკა-მა-

თემატიკა, ჭადრაკი, მხატვრული ლიტერატურა, პოეზია, რენესანსული ეპოქით დაწყებული დღევანდლის ჩათვლით. ეს ხომ საბუთია არა მარტო მათი შემოქმედების, არამედ მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობის, სხვადასხვაგან გაბნეული გამონათქვამების ცოდნისა ... აი, მაგალითად, ნეტავ სად მიაკვლია, ან იმ წუთას როგორ გაიხსენა ჩვენში თითქმის უცნობი კომპოზიტორის, გიუნტერ შულერის სიტყვები, საკუთარ შეხედულებას აგრერიგ ზუსტად რომ ესადაგებოდა: „**კლასიკური შედევრების მიმართაც კი არსებობს საზღვარი, თუ რამდენჯერ შეიძლება მათი შესრულება და მოსმენა**“ (ბ-ნი ფელიქსი საკონცერტო რეპერტუარის სიმწირეს უწუნებდა ქართველ შემსრულებლებს). ასეთი ამონარიდებით საკუთარი შეხედულებების განმტკიცება მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, იოლიც იყო და, ვიტყოდი, ამით არ კეკლუცობდა, რადგან დარწმუნებული იყო საკუთარ თავში და არცთუ უსაფუძვლოდ. ბევრისათვის მისი არც ეს თვისებები იყო დიდად საამური. აკი ვთქვი, არც უპირატესობას, არც ერუდიციას, არც მკვახე სიტყვას პატიობდნენ.

ბევრ ქართველ კომპოზიტორს ერთი საერთო თვისება აქვს — იუმორი. აკაკის ნაკვესებისა არ იყოს ფართოდაა განთქმული ბიძინა კვერნაძის უბადლო იუმორი. ბ-ნ ანდრია ბალანჩივაძისა და სულხან ნასიძის მოსწრებული სიტყვაც ფართოდაა ცნობილი. ბევრმა კარგად იცის სოსო კეჭაყმაძის მახვილსიტყვაობის ფასი. აი, ფილიპე ღლონტის იუმორი კი... არც აქ ჰქონდა სახელი სათანადოდ განთქმული. მაგრამ, აბა ნახეთ, რარიგი ნათქვამია: „**ღანძილზე დამყნობილი ედელვაისი**“-ო. რამდენი რამაა ჩაქსოვილი ამ სახოვან, სხვათა შორის მისთვის საყვარელ ადამიანზე გამოთქმულ „ფორმულირებაში“. ღანძილი — მცენარე, რომლისგანაც მზადდება მეტად სპეციფიკური სურნელებისა და გემოს მქონე კახური კერძი, გემრიელიც, მარგებელიც (ანუ მიწიერიც) და იქვე ედელვაისი — ეკზოტიკური, უმშვენიერესი, ქალწულებრივ ნაზი, თითქმის მიუწვდომელი (ანუ ლამის ზეციერი) ყვავილი. დამეთანხმებით, არის ამ ნათქვამში სარკაზმიცა და სიყვარულიც... კიდევ ორიოდ უნიკალურ „ფორმულირებას“ ვერ ავუვლი გვერდს: „**უბედურება ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში ხშირად** пешка-**ს უჭირავს ოფიცერის ადგილი და სვლებს აკეთებს დედოფლის ფიგურის კანონებით. დედოფალს კი ხშირად არ გააჩნია სხვა სვლები, გარდა პაიკისა.**“ და კიდევ ერთი. “**შენ თუ იცი რა არის კოლაჟი** — მკითხავს კვიმატი გამომეტყველებით — **კოლაჟი ეს არის** вор в законе.”

ფელიქს ღლონტი, არამ ხაჩატურიანი

დღეს აქტუალური საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხის გამო ინტერვიუს ერთ პასაჟსაც გავიხსენებ. ბ-ნი ფელიქსი მუსიკის ვაგნერისეულ განსაზღვრებას იხსენებს: „**გერმანიაში მუსიკა — მეცნიერებაა, საფრანგეთში — საზოგადოებრივი საქმე, იტალიაში — სიყვარულის გამოხატვის საშუალება.**“ თავად კი ამატებს: „**რუსეთში მუსიკა ეს არის ბედისწერის და სა-**

ნოდარ ანდღულაძე, ფელიქს ღლონტი

ზოგადოების სიდუხჭირის გამოხატვა. ან კიდევ არსებული იდეოლოგიის ჩანერგვა და კლასობრივი ბრძოლის თემა. საქართველოში ეს არის მხიარული დროსტარება, ან პირადი წუხილის გამოხატულება. გამორიცხული არ არის საჭმლის მონელების კატალიზატორული როლი." დამეთანხმებით, ამგვარი „ფორმულირებებით" ბევრი მოიწონებდა თავს.

ბ-ნი ფელიქსი არასოდეს აზროვნებდა მარტივად და ლაკონურად, არა მხოლოდ მუსიკაში, არამედ ყოველდღიურ მეტყველებაშიც, გნებავთ ორიოდ მცირე მაგალითი? „**რად მინდა ვიყო** вещ в себе, **თუკი მე საზოგადოებას ვერ გავიყვან ჩემი მხატვრული აზროვნების ტრაექტორიაზე?!", ან კიდევ: „მე მაინტერესებს ყველა იმ მეცნიერების სფერო, რომელიც დაკავშირებულია შემეცნებასთან, მეტაფიზიკა, მეტაფიზიკის მეცნიერული შეღწევა**, метафизическое вовлечение науки." ივივე აზრს მავანი კომპოზიტორი ასე აყალიბებს: „რასაც ვგრძნობ, იმას აღვბეჭდავ".

როგორც ვთქვი, ფილიპე ღლონტი ნაყოფიერი შემოქმედი გახლდათ. მიუხედავად გულისტკენისა იგი ჯიუტად განაგრძობდა მუშაობას, რამეთუ მისთვის „**მუსიკის წერა ღრმა სულიერი შემოქმედებითი პროცესი იყო, მეტიც, ყველა ჩემი პარტიტურა ეს არის ჩემი სულის კარდიოგრამა**." გულმა კი 84 წლის ასაკში უმტყუნა.

P.S. ჩემი ამ წერილის მიზანი არ არის კომპოზიტორ ფელიქს (ფილიპე) ღლონტის შემოქმედების არც გარჩევა, არც თითოეული თხზულებისა ან კიდევ განვლილი შემოქმედებითი გზის შეფასება. ამას პირუთვნელი მსაჯული — დრო — განსაზღვრავს. მე კი ვიტოვებ იმედს — ოდესმე შესრულდება „კლეოპატრაც", „იბერიელებიც", გამოჩნდებიან დირიჟორებიცა და რეჟისორებიც, გაბედული მომღერლებიც და ინსტრუმენტალისტებიც, ვინც თავს იდებს იმ ურთულეს, საშემსრულებლო თავსატეხი პრობლემების დაძლევას, ღლონტისეული მუსიკა რომ აერთიანებს. და საერთოდ, გამოთქმის მაღალი ემოციით დამუხტულ, „ტექნოლოგიური და ესთეტიკური ექსპერიმენტებისგან განთავისუფლებულ" ღლონტისეულ მუსიკას დაუდგება დრო მსმენელი დააინტერესოს, გაიტაცოს კიდეც, ხომ დაძლია ქართულმა საშემსრულებლო სკოლამ ორი დიდი რიჰარდის, ვაგნერისა და შტრაუსის პარტიტურები. დიდი რეზონანსიც მოიპოვა. ოღონდ ამისათვის ნებაა საჭირო და ქვეყანაში კულტურული ისეთი პოლიტიკა, რომელიც ჩვენი დროის ქართულ მუსიკას მიუჩენს სათანადო ადგილს, ღირსეულ მნიშვნელობას მიანიჭებს, ისეთს, როგორსაც ჩვენი ეროვნული მუსიკალური კულტურა იმსახურებს.

რუსუდან ქუთათელაძე

მსოფლიოსთან ინტეგრირებული მარგინალი

დავიწყოთ რეგალიებით: საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროკოფიევის III საერთაშორისო კონკურსის ერთადერთი გამარჯვებული ქართველ კომპოზიტორთა შორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო კომისიის მიერ არაერთხელ წლის გამოჩენილ ლიდერად აღიარებული, ამავე კომისიის მიერ არჩეული დიდების დარბაზის წევრად.

მისი მუსიკალური ნაწარმოებები აჟღერდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მის ცალკეულ მუსიკალურ ოპუსებს გენიალური უწოდა ხელოვნების არაერთმა გამოჩენილმა უცხოელმა და თანამემამულე ხელოვანმა თუ ხელოვნებათმცოდნემ.

იგი კლასიკური მუსიკის საიდუმლოებებს დაეუფლა ლენინგრადის და თბილისის კონსერვატორიებში, იყო ალექსი მაჭავარიანის კლასის რჩეული მოწაფე. აგრძელებდა რა ქართული კლასიკური მუსიკის ტრადიციებს, გაბედულად შეჰქონდა მასში ნოვატორული მიგნებანი, ახალი შტრიხები და ნიუანსები. მან შესანიშნავად შეათავსა რომანტიკული სულისკვეთება ავანგარდისტულ ტენდენციებთან. მისი ოპერები „კლეოპატრა" და „იბერიელები" არის ახალი სიტყვა ქართულ საოპერო ხელოვნებაში. ორიგინალობით გამოირჩევა მისი 12 სიმფონია და 5 საკონცერტო სიმფონია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისმა სიმფონიებმა „რომანტიკული", „ვიტა ნოვა", „პაქს ჰუმანა". მრავალ ქვეყანაში შესრულდა მისი სიმფონია-კონცერტანტეები „მარიენბადული ელეგია" და „მოგზაურობის წლები" (ორივეს მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია და ამერიკული ფირმის ჯილდო). სრულყოფილებით არის აღბეჭდილი ბოლო პერიოდის მისი ორი სიმფონია-კონცერტანტე: „ცხოვრების მეტამორფოზები" და „მუდმივი კავშირი".

მან თავისი კვალი დატოვა ქართულ საბალეტო მუსიკაშიც. ბალეტი „განთიადი", დადგმული ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 60-იანი წლების ქართულ კულტურულ ცხოვრებაში.

მახვილგონივრულია მისი ოპუსები კამერული მუსიკის ჟანრშიც, მათ შორის კვარტეტები და დუეტები გიტარის პარტიის წინ წამოწევით. მონუმენტურობით გამოირჩევა ორატორია „გალაკტიონი", სიღრმით გვიზიდავენ ქორალები რელიგიის თემაზე, მხატვრულად ადეკვატურია და ამასთანავე განკერძოებულ სეგმენტად აღიქმება მის მიერ შექმნილი მუსიკა კინოფილმებისათვის „ბურთი და მოედანი", „ალავერდობა", „თეთრი ქალიშვილი", „ჯილდო", „მე ვხედავ მზეს" – აქაც მისი მუსიკა შეიცავს დაუშრეტელ ენერგიას, აღბეჭდილია სიცოცხლის წყურვილით, ეროვნული განუმეორებლობით.

კომპოზიციის ჯამბაზი და იმავდროულად ტერპსიქორას მონა, დიდი ხელოსანი და იმავდროულად დიდი ხელოვანი, მუსიკალური ექსტაზის ჯადოქარი და იმავდროულად დაუღალავი მედიტატორ-ანალიტიკოსი, მუსიკალური ავანტიურის ინსპირატორი და იმავდროულად გზააბნეული მარგინალი, ურთიერთობებში კონფლიქტური და იმავდროულად საოცრად გულჩვილი ადამიანი, დიდების მოტრფიალე და იმავდროულად კარჩაკეტილი მეოცნებე. საზღვრებს მიღმა აღიარებული, სამშობლოში კი სიცოცხლეშივე ჩრდილში მყოფი, სახელიც კი გაორებული ჰქონდა – ფილიპე და ფელიქსი. და რომ არა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დახმარება, საშინელი ეკონომიკური შეჭირვება არ ასცდებოდა. ასეთი იყო XX საუკუნის მე-2 ნახევრის მუსიკალური კომპოზიციის დიდოსტატი ფელიქს-ფილიპე ღლონტი. და შეუძლებელია, რომ მისი ამგვარი ორსახოვნება არ იქცეს მომავალი თაობების ინტერესის, კვლევის და თუ გნებავთ, მიბაძვის საგნად. სწორედ ეს არის ხელოვანის უკვდავების საუკეთესო გარანტი...

მერაბ გეგია

მერაბ მერაბიშვილი

შეხვედრა კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილთან

ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლაში 2012 წლის 8 დეკემბერს გაიმართა შეხვედრა კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილთან. შეხვედრა-კონცერტზე მოწვეულნი იყნენ სტუმრები: კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძე, კომპოზიტორები — ელიზბარ ლომდარიძე, მიხეილ ოძელი, დირიჟორი რევაზ ტაკიძე. თბილისის მერიის წარმომადგენლები: ია ქარდავა და მარინა თარიძე. ხელოვნების სკოლის დირექტორები: ზურაბ ჩეკურიშვილი, ჟანა თეთრაშვილი, ალა ლაფერაშვილი, თენგიზ იაგორაშვილი, მარინა კურტანიძე.

შეხვედრამ თბილ, სასიამოვნო ვითარებაში ჩაიარა. კონცერტი გაიხსნა ბატონ მერაბ მერაბიშვილის საგალობლით, რომელიც როიალზე ვირტუოზულად შეასრულა თვით კომპოზიტორმა და რომელსაც პარტნიორობა გაუწია ქალბატონმა თინათინ იმერლიშვილმა.

კონცერტის პირველი განყოფილება დაეთმო გუნდს, ანსამბლს, დუეტებს და სოლო ნომრებს. მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა და მუსიკისადმი

სიყვარული გამოავლინეს მოსწავლეებმა: თეიმურაზ გვარამაძემ (ჰობოი). გრიშა ბუდაგოვმა (საყვირი), ნიკოლოზ ფურცელაძემ (ტრომბონი), ნინი ფროდიაშვილმა (ფლეიტა), მარიამ ნიკოლაშვილმა (ბლოკ-ფლეიტა), გიორგი ლიპარტიამ (ვალტორნა), მარიამ შარვაძემ (ფორტეპიანო), მედეა ხუციანიძემ (ფორტეპიანო), ანა წაქაძემ (ვიოლინო), მაღალ დონეზე შეასრულეს დუეტები მოსწავლეებმა: ელენე ქორიძემ და ლიკა ტოტიკაშვილმა (ფ-ნო), მარიამ ნანუაშვილმა და ელვირა ჯაფაროვამ (ბლოკფლეიტა), ლიზი ყოლბაიამ და მერი თორღვაიძემ (ფ-ნო), ქეთევან მიქაცაძემ და მარიამ ოჩიაურმა (ფ-ნო), დოდო ჯირკველიშვილმა და თამარ ჩომახიძემ (საყვირი), გიგა არაბულმა და სურენ პოღოსოვმა (კლარნეტი).

მსმენელი განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდა ვიოლინოს კლასის პედაგოგის ქალბატონ გალინა ბანდურას, კონცერტმაისტერის მანონ ყუბანეიშვილის და მოსწავლის ანა წაქაძის ტანდემს, რომლებმაც ვირტუოზულად შეასრულეს „ცეკვა მარაოთი“.

დიდი მოწონება დაიმსახურა გუნდის და ვაჟთა ვოკალური ანსაბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. ხელმძღვანელი ქალბატონი თინათინ იმერლიშვილი, კონცერტმაისტერები: თინა კაჭახიძე და თამარ ციმაკურიძე.

მეორე განყოფილება დაეთმო ჩასაბერ საკრავთა კვინტეტს: სვეტა ბელიჩევას, თეიმურაზ გვარამაძის, გიორგი ლიპარტიას, სურენ პოღოსოვის და აკაკი ჩარგეიშვილის მონაწილეობით (პედაგოგი სერგო ტყაბლაძე).

მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება და დიდი ოვაცია დაიმსახურა სასულე ორკესტრის მიერ შესრულებულმა საორკესტრო ნაწარმოებმა „გასეირნება“, დირიჟორი სერგო ტყაბლაძე.

კონცერტის თითოეულ ნომერში ნათლად სჩანდა პედაგოგების: თამარ კაპანაძის, გალინა ბანდურას. რუსუდან გოგავას, დოდო ყაჭეიშვილის, მარინა ჩხობაძის, ელენე ჯელაძის, მანანა ჩიკვაიძის, ელენე მიქაძის, არჩილ ბაკურაძის, ალექსანდრე ქუთათელაძის, ომარ კოტიშაძის, გიორგი გაგნიძის უდიდესი ღვაწლი და რუდუნება, აგრეთვე კონცერტმაისტერების: ელისო კიკნაძის, შორენა ებრალიძის, მაია ლუტიძის, მანონ ყუბანეიშვილის, ვლადიმერ ზურაბიშვილის გვერდში დგომა და მაღალი პროფესიონალიზმი.

თითოეულმა ნომერმა დიდი მოწონება და გულწრფელი ტაში დაიმსახურა, როგორც მსმენელის, ასევე მოწვეული სტუმრებისაგან.

სიტყვით გამოვიდნენ და კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილის უმაღლესი პროფესიონალიზმი, პედაგოგების მიერ გაწეული უდიდესი შრომა და პატარა შემსრულებლების მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულება აღნიშნეს კ.ცაბაძემ, რ. ტაკიძემ, ე. ლომდარიძემ და სხვებმა.

ბოლოს სკოლის დირექტორმა ბატონმა თამაზ მოლაშვილმა უდიდესი მადლობა გადაუხადა კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილს, ყველა შემსრულებელს და მსმენელებს. შემდეგ მოსწავლეები კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილთან და სხვა საპატიო სტუმრებთან სურათების გადასაღებად მიიწვია.

ჰერული მუსიკალური ფოლკლორი

ვერა ანდრიაშვილი, გიორგი კრავეიშვილი

საყოველთაოდ ცნობილი მიზეზების გამო ჰერეთი საქართველოს მიღმა დარჩა. მისი მუსიკალური ფოლკლორის პირველი ჩანაწერები (ორი ნიმუში) მოცემულია 1984 წელს რეჟისორ ნიკო წულაძის მიერ გადაღებულ ფილმში „ზღვარი". ეს თემა საგანგებო მუსიკოლოგიური დაკვირვების საგნად მხოლოდ 1987 წელს იქცა, როცა ეთნომუსიკოლოგმა იოსებ ჟორდანიამ, ლიტერატურის ინსტიტუტის კომპლექსურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. სადაც ტრადიციული მუსიკალური ფოლკლორის 5 ნიმუში იქნა დაფიქსირებული.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების მუსიკალურ ფოლკლორზე მუშაობამ, განსაზღვრა ჩემი დაინტერესება ჰერეთის მიმართ. დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ფილოლოგ მართა ტარტარაშვილს (თარხნიშვილს), რომელიც 1967 წლიდან აგროვებს სხვადასხვა სახის ფოლკლორულ მასალას (მათ შორის სიმღერების ტექსტებსაც). საგულისხმოა, რომ მან თვითონვე გააცოცხლა ინტონაციურად ბევრი სასიმღერო ტექსტი, შემდეგ კი 2011 წლიდან ერთად განვახორციელეთ ჩაწერები თბილისში, სოფელ სამთაწყაროსა (დედოფლისწყაროს რაიონი) და ჰერეთში (კახისა და ზაქათალა-ბელაქნის რაიონები). აღსანიშნავია, რომ ქალბატონ მართას სახელს უკავშირდება არა მხოლოდ 1987 წლის ზემოთხსენებული ექსპედიცია, არამედ ვახუშტი კოტეტიშვილის თხოვნით კასეტაზე 1978 წელს ჩაწერილი მასალაც, რომელიც, სამწუხაროდ, 1991 წელს კოტეტიშვილის ბინაში გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა.

ბოლო დროს ჰერული მუსიკით დაინტერესდა ბატონი ანზორ ერქომაიშვილიც, სწორედ მისი ხელმძღვანელობით გამოსულ წიგნში „ქართული ხალხური მუსიკის ანთოლოგია" პირველად წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ნიმუში საინგილოდანაც.

ჰერულ მუსიკას აღმოსავლური კულტურის მძლავრი გავლენა განუცდია: უპირველეს ყოვლისა ეს ჩანს როგორც მრავალხმიანი მღერის ტრადიციის დაკარგვაში, ასევე ქრომატიული სისტემის ხშირ გამოყენებაში („ნანა" ვერა ანდრიაშვილის შესრულებით).

მართალია ვოკალური მრავალხმიანობა რეალური სახით ჰერეთში აღარ ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან ხშირია ფარული ორხმიანობა, რაც მათში შემორჩენილ ქართულ მუსიკალურ კოდზე მეტყველებს. ფარული მრავალხმიანობის მაგალითებია „ქალმანი და წინდა" („სახუმარო", დინა გამხარაშვილის შესრულებით), „ფრინველისადმი მიბაძვა", („თუთა ბალი", ვერა ბერიკაშვილის შესრულებით) ამინდთან დაკავშირებული სიმღერა (თამარ შიოშვილის შესრულებით).

რეალურად კი ვოკალური მრავალმხმიანობის აღმნიშვნელი ცნებები მხოლოდ სასაუბრო ლექსიკაშია დარჩენილი. ჰერეთში ხმების სახელწოდებები ამგვარია:

შუა ხმა — „შუალა ხმაი", „კარგ ხმაი" „ივრევ ხმაი";

ბანი — „ბერხ ხმაი", „დიდ ხმაი";

ზედა ხმა — „წიპლაანკ (წიწლაანკ) ხმაი".

ზურნასთან დაკავშირებით ბანის მნიშვნელობით იხმარება ტერმინები „დემ" და „ზუი". სავარაუდოდ, ბანს უნდა აღნიშნავდეს სიტყვა „ბანგ"-იც.

საინგილოში ნაკლებადაა შემორჩენილი სასიმღერო ტიპის ნიმუშები, უფრო მეტად დარჩენილია ბავშვების მიერ სათქმელი პატარ-პატარა ჰანგები, მაგა-

ლითად, ,,თუთაბალი". იქნებ სწორედ ამიტომაა, რომ ეთნოფორების თქმით საინგილოში ხალხური მუსიკა აღარ არსებობს, რადგანაც ნანას, დატირებას და ამ პატარ-პატარა ჰანგებს მათი უმეტესობა მუსიკად ვერ აღიქვამს.

ინგილოური ხალხური სიმღერები ჟანრულად მწირია. მართალია, ვხვდებით შრომის, სააკვნო, საბავშვო, საქორწინო, საისტორიო და ა. შ., მაგრამ თვითონ ამა თუ იმ ჟანრში ნიმუშთა რაოდენობაა მცირე, ხოლო ზოგან კი ის არც ფიქსირდება (შობის, სააღდგომო, საახალწლო და ა. შ.). აქ ყურადღებას გავამახვილებ იმ ნაირსახეობებზე, რომელიც თითქმის არ ჩანს საქართველოს სხვა კუთხეების მუსიკალურ ფოლკლორში. საისტორიო სიმღერები წარმოდგენილია ისეთი ნიმუშებით, რომლებიც თათრების ლანძღვას მოიცავს. „მამაზაღლი თათრი ჩონ სოფელში რათ არი"... ზოგი ნიმუში შაირის ფორმით თვით აზერბაიჯანულ ენაზეც კი იმღერება. ამ თემას ვხვდებით ერთ-ერთ ზღაპარშიც სადაც მგელი, როგორც მტრის სიმბოლო, აზერბაიჯანულად მღერის: „მე ვარ თქვენი დედა, რძე მომაქვს კარი გამიღეთ" და პატარა ბეკეკოები კი ინგილოურად ეუბნებიან „შენ ჩონ დედაი არ ხარ".

საინგილოში დასაძინებელ ნიმუშებთან ერთად არსებობს გამოსაღვიძებლებიც, ის სრულდება მაშინ როდესაც ყმაწვილი მოთენთილი იღვიძებს და რომ არ იტიროს, ხელში აიყვანენ და ამ ნიმუშით გაამხნევებენ (გამოსაღვიძებელს მღერის ელისო როსტიაშვილი კახის რაიონის სოფელ ალათემურიდან (გამოთხოვილია კახში)).

ალბათ პოლიტიკური ვითარების ამსახველია ისიც, რომ საინგილოში მხოლოდ 80-იან წლებში შეიქმნა რამდენიმე ფოლკლორული ანსამბლი (ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადში ანსამბლი ,,მერცხალი", შაქრო მამედოვის ხელმძღვანელობით, ხოლო კახში კი ანსამბლი ,,შვიდკაცა", ზაურ ფოლადაშვილის ხელმძღვანელობით), მაგრამ მათი რეპერტუარი მოიცავდა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ფოლკლორულ ნიმუშებსა და საავტორო სიმღერებს.

აუცილებლად უნდა გამოვყო დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი სამთაწყარო, რომელიც დააარსეს კახის რაიონის სოფელ ყორაღანიდან 1920-30-იანი წლების მიჯნაზე რელიგიური ნიშნით გამოქცეულმა ჰერელებმა და 70-იანი წლების ბოლომდე მხოლოდ ინგილოები ცხოვრობდნენ, შემდეგ კი გამოჩნდნენ თუშები, კახელები და განსაკუთრებით ეკომიგრანტი აჭარლები, რომლებიც დღეს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ. რადგანაც ისინი 80 წელზე მეტი ხანია საქართველოში ცხოვრობენ, მეგონა, რომ ტრადიციული ჰანგები ამ სოფელში უფრო იქნებოდა შემორჩენილი მაგრამ მწარედ მოვტყუვდი, ქალბატონ მართა ტარტარაშვილთან ერთად ამ სოფელს 2011 წლის 26-27 დეკემბერს ვსტუმრობდი (შემდგომშიც მათთან არაერთხელ მქონია სატელეფონო კონტაქტი). კვლევამ აჩვენა, რომ ტრადიციული ჰანგების დიდი ნაწილი ან არ ახსოვთ, ანდა დამახინჯებულად ასრულებენ. ამ სოფელში მოპოვებული ვარიანტები მუსიკალურად გაცილებით უფრო ღარიბია, ვიდრე იმავე დასახელების ნიმუშები გაღმა საინგილოდან, თუ შევადარებთ, მაგალითად, ტასო ბულუღაშვილის და ვერა ანდრიაშვილის მიერ ნამღერ ნანებს, დინა გამხარაშვილის და ციცინო სარდალაშვილის მიერ შესრულებულ ,,ქალმანსა და წინდას". სამწუხაროდ, ძალზე იშვიათია ჰანგები, რომელსაც როგორც გაღმა და ასევე გამოღმა საინგილოში ერთნაირად ასრულებენ. შესაძლოა ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, კერძოდ ის, რომ როგორც საინგილოში ამბობენ, სოფელი ყორაღანი ძირითადად ისეთ მოსახლეობას დაუტოვებია, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ტრადიციებს და თან წინააღმდეგობის დაძლევის უნარიც არ ჰქონდა. სამთაწყაროელები თვითონ ამბობენ „ჩვენი წინაპრები ყორაღნიდან რომ გამოვიდნენ, გადავსხვაფერდით, „გავქართველდით, გავკულტურულდით და ამიტომაც ადგილობრივ ტრადიციებზე დიდად აღზრდილი არ ვართ და ბევრი რამ რაც საინგილოში დღესაც არსებობს, ჩვენთვის უცნობია"-ო.

წერილში არ ვეხებით საინგილოში გავრცელებულ საკრავებს და მათზე შესასრულებელ ჰანგებს, რადგან არც საკრავები და არც მათზე შესასრულებელი მუსიკა ადგილობრივი წარმომავლობის არ არის.

რამაზ ქარუხნიშვილი

რამაზ ქარუხნიშვილის შემოქმედება საავტორო კონცერტის კონტექსტში

კომპოზიტორ რამაზ ქარუხნიშვილის საავტორო კონცერტმა, რომელიც გასული წლის ბოლოს კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა, ანშლაგით ჩაიარა. მსმენელთა ფართო წრის ყურადღება რამდენიმე მომენტით იყო გაპირობებული. ერთი მათგანია თანამედროვე ქართული მუსიკის გაცნობის სურვილი, რომელსაც ვერ იკმაყოფილებს საზოგადოება, რადგანაც ახალი ქართული მუსიკის რიგითი კონცერტები, რომელთა მოწყობაც კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის უპირველესი მიზანი უნდა იყოს, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, თითქმის არ ტარდება. ასეთ პირობებში საავტორო საღამო ახალი ქართული მუსიკის გაცნობის ლამის ერთადერთ საშუალებად რჩება. არადა, საავტორო კონცერტის ორგანიზება ძალზე რთულია. რამდენ სიძნელეს აწყდება ეს პროცესი, რა შემართებასა და ძალისხმევას მოითხოვს ავტორისაგან!

საზოგადოების ინტერესს საავტორო კონცერტისადმი სხვა, შინაარსობრივი საფუძველიც გააჩნია: მონოგრაფიული ტიპის კონცერტი მნიშვნელოვნად ღრმა ინფორმაციას იძლევა ავტორის შესახებ, წარმოაჩენს მის მისწრაფებებს, შემოქმედებით ტენდენციებს, ჟანრებისადმი დამოკიდებულებას და მრავალ სხვა რამესაც. გამონაკლისი ამ მხრივ, არც რამაზ ქარუხნიშვილის საავტორო კონცერტი გახლდათ. მან საშუალება მოგვცა თვალი მიგვედევნებინა კომპოზიტორის შემოქმედებითი განვითარებისათვის ბოლო ოცწლეულში, დაგვენახა რა აღელვებს, რა ასაზრდოებს, რაზე ფიქრობს!

რამაზ ქარუხნიშვილი სხვადასხვა ჟანრში მოღვაწეობს. თუმც, შემოქმედების პირველი ნაბიჯებიდანვე მისი ინტერესების ცენტრში ძირითადად ექცევა კამერულ-ინსტრუმენტული, კამერულ-ვოკალური და საგუნდო მუსიკა. საავტორო კონცერტზეც ეს ჟანრები იყო წარმოდგენილი.

პირველი განყოფილების პროგრამაში ორი ინსტრუმენტული და ერთი ვოკალური თხზულება შევიდა. კონცერტი გაიხსნა „იმპროვიზაციით სოლო ვიოლინოსათვის“ (1994; შემსრულებელი — ნათია მდინარაძე, ახალგაზრდა მევიოლინე, მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის — ერნესტ არაქელოვის აღზრდილი). ნაწარმოები ასახავს ქართულ მუსიკაში გამოვლენილ იმ ნეობაროკულ ტენდენციებს, რომლისადმი გულგრილი არც რამაზ ქარუხნიშვილი დარჩე-

ნილა. ბაროკოთი გატაცებაზე მისი სხვა თხზულებებიც მეტყველებენ. ესენია: „კახური მადრიგალები“ ბავშვთა a cappella გუნდისათვის, იოსებ ნონეშვილის ლექსებზე (1968), „რიჩერკარი“ სიმფონიური ორკესტრისათვის (1972), Concerto grosso ფლეიტის, ჰობოის და კამერული ორკესტრისათვის (1993), Capriccio ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1994) და სხვა.

რამაზ ქარუხნიშვილის „იმპროვიზაცია სოლო ვიოლინოსათვის“ ახლოს დგას ბაროკოს პერიოდის ისეთ ჟანრებთან, როგორიცაა ჩაკონა, პასაკალია, პარტიტა, კაპრისი და სხვა, მაგრამ ავტორი არცერთ მოდელს არ იმეორებს, არამედ იყენებს მათ ცალკეულ ელემენტებს. „ძველისა“ და „ახლის“ შეერთება-შერწყმით, მათი სიმბიოზით კომპოზიტორი ახალ, ტექნოლოგიურად საინტერესო და მიმზიდველ პარტიტურას ქმნის. „ძველი“, მისთვის ის საშუალებაა, რომლის წყალობითაც მდიდარი სულიერი განცდების, ამაღლებული გრძნობების გადმოცემა, მარადიული ღირებულებების შესახებ საუბარი შეუძლია.

„იმპროვიზაციაში“ შენარჩუნებულია ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი ტრაგიკულ-დიდებული განწყობა. ეს უპირველეს ყოვლისა, პირველ თემას ეხება, რომელიც მეგრული ნანისა და საჩონგურო აკომპანემენტის ინტონაციური ფონდიდანაა აღმოცენებული. მაგრამ ივი მხატვრული განზოგადების ისეთ ჩარჩოშია მოქცეული, რომელიც ძველი ჟანრების პათეტიკურად ამაღლებული და მკაცრი მუსიკისათვისაა დამახასიათებელი. ნელი ტემპით, შთაგონებული სევდით, ეს აკორდული თემა უნებლიეთ „საეკლესიო სონატების“ შესავლებს გვაგონებს. მეორე — აქტიური თემა რიტმული ნახაზის რელიეფურობითა და ინტონაციური სიმკვეთრით გამოირჩევა და სტრუქტურით სონატური ფორმების მთავარ თემებს უახლოვდება. ივი მელოდიური განვითარების ბუნებრივ შესაძლებლობებს შეიცავს, რაც ვლინდება კიდეც „იმპროვიზაციის“ განვითარების პროცესში. ნაწარმოების დრამატურგია რიტმის, დინამიკისა და ფაქტურის კონტრასტებზეა აგებული. ჰომოფონიურ აკორდებს ენაცვლებიან თავბრუდამხვევი პასაჟები, პოლიფონიური განვითარება, ან ჰომოფონიისა და პოლიფონიის სინთეზზე დამყარებული ეპიზოდები. ორივე თემის მასალა ვითარდება ხან ცალ-ცალკე, ხანაც შერწყმულად. კომპოზიტორი ისწრაფვის ბაროკოს ინტონაციური მოდელების თანამედროვე და ქართულ მეტყველებასთან შერწყმისაკენ. ივი ოსტატურად იყენებს როგორც სოლისტის, ასევე ინსტრუმენტის შესაძლებლობებს, ვიოლინოს საშემსრულებლო შტრიხების მარავალფეროვან გამას. იმპროვიზაციის პროცესში მუსიკა ხან მედიტაციას, სინაზით აღსავსე სევდას, პათეტიკურ დეკლამაციას, ხანაც სიშმაგესა და ტანჯვის განცდას გადმოგვცემს, მაგრამ არსად არა აქვს ადგილი აფექტაციას. ნაწარმოები ადამიანის სულიერ სამყაროში არსებულ მშვენიერებას ასახავს, რაც ნიშანდობლივია ბაროკოს პერიოდის მუსიკისათვის.

პირველ განყოფილებაში ცენტრალური ადგილი როგორც მასშტაბით, ასევე მხატვრული ღირსებებით ვოკალურმა ციკლმა — „გამოთხოვებამ“ დაიკავა.

კომპოზიტორი მრავალი ვოკალური თხზულების ავტორია. მათ შორისაა: შემოქმედებითი გზის გარიჟრაჟზე შექმნილი „მონოდრამა“ ხმის, სიმფონიური ორკესტრის, არფისა და ლიტავრებისათვის, გიორგი ლეონიძისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე (1965, ახალი რედაქცია 1977); სამი ვოკალური ციკლი — „გამოთხოვება“ (1989), „მე მივსდევ შენ ხმას“ (2000) და „ფიქრი რომ ვიყო“ (2004), დაწერილი შესაბამისად, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, გალაკტიონისა და შექსპირის ლექსებზე; კამერული მუსიკა მაღალი ხმისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის (ფორტეპიანო, ფლეიტა, ჩელო) კვლავ ტაბიძის მიხედვით (1992); შაირები ტენორის, სოპრანოსა და ფორტეპიანოსათვის ხალხურ ლექსებზე (2010) და სხვა ნაწარმოებები. ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ ტექსტებს შორის უპირატესობა გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს ენიჭება. მისი პოეზიის ხარისხისა და დონიდან გამომდინარე, ეს სავსებით გასაგებია. ამ გენიალური პოეტის შემოქმედებას არაერთი ქართველი კომპოზიტორი მიმართავდა. ზოგს მისი მხატვრული ღირებულება იზიდავდა, ზოგს პრობლემურობა და ემოციური სიმწვავე, ბევრს მისი პოტური ენის მუსიკალობა ხიბლავდა, ბევრსაც მეტაფორულობა და მინიშნებები. ზოგი მათგანი სწორედ მის პოეზიაში ეძებდა მუსიკალური ენის განახლების რესურსებს (იხ. ჩვენი შრომა: „პოეტური ტექსტისა და მუსიკის მიმართების

საკითხები დავით თორაძის საგუნდო ციკლში „ქართული ხალხური ჩანამღერები“, ჟურნალი „ხელოვნება“, 1999, №7-8, გვ. 71-79). გალაკტიონის პოეზიას ქართველ კომპოზიტორთა შორის დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, იგი დღესაც ბევრ ავტორს იზიდავს.

ბუნებრივია, გალაკტიონის შემოქმედების მიმართ ვერ დარჩებოდა გულგრილი პოეზიისადმი ისეთი სენსიტიური ავტორი, როგორიც რამაზ ქარუხნიშვილია. კომპოზიტორს საუბარში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ხელოვნების დარგებს შორის მასზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს პოეზია. იგი ისე მოქმედებს მის სულზე, განწყობილებაზე, რომ ხშირად სწორედ პოეტური სიტყვა ბადებს ხოლმე მასში შემოქმედებით იმპულსებს და ხდება შეთხზვის, ანუ კომპოზიციის საფუძველი. ცხადია, ეს განსაკუთრებით ეხება ვოკალურ ჟანრებს, სადაც სიტყვა მუსიკასთან ერთად მხატვრული მთელის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ასეთი კავშირი, სიტყვისა და მუსიკის განუყოფელი ერთობა გახდა ვოკალური ციკლის — „გამოთხოვება“ (1989) შექმნის საფუძველი.

ციკლი ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. „როგორც სიზმარი“; 2. „უსიყვარულოდ“; 3. „ქალავ“; 4. „ვედრება“. სათაური — „გამოთხოვება“ ხაზს უსვამს თხზულების ტრაგიკულ შინაარსს, რომლის მწვერვალსაც წარმოადგენს ციკლის მეორე ნაწილი — „უსიყვარულოდ“.

ნაწარმოები ასახავს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს: 1. ბედნიერების მოლოდინი, ოცნება, ქროლვა; 2. ბედისწერის დაუნდობლობა, ცხოვრების ქარტეხილები; 3. გზა ტაძრისაკენ, ლოცვა-ვედრება. როგორც ვხედავთ, თვით იდეა რომანტიკულია, მაგრამ მისი ხორცშესხმა კი „ანტირომანტიკული“.

ციკლი ეგზისტენციალურ-ირაციონალურ სტილშია გადაწყვეტილი, ერთგვარად დაჰკრავს ექსპრესიონისტული ელფერიც. დრამატურგია აგებულია ვოკალისა და აკომპანემენტის ურთიერთდაპირისპირებაზე, რომლებიც ორგანულად ავსებენ ერთმანეთს, გადმოსცემენ რა ავტორის მხატვრულ კონცეფციას, განცდის დეტალებს.

პირველი ნომერი — „როგორც სიზმარი“ ტონის მიმცემია მთელი ნაწარმოებისათვის. იგი განსაზღვრავს როგორც ნაწარმოების ესთეტიკას, რომელიც ახლოა ეგზისტენციალურთან და სიურეალისტურთან, ასევე მის საერთო განწყობას. უკვე პირველი ნაწილის ბოლოს ისადგურებს იმედგაცრუების განცდა, რასაც ლოგიკურად მოჰყვება ტრაგიკული მეორე ნაწილი — „უსიყვარულოდ“. „გარინდული“ ვოკალი გადმოგვცემს გმირის დაბნეულობას, დაუცველობას, სულიერ სიცარიელეს. ამ ემოციურ მდგომარეობას შეესაბამება მისი ფიქრებიც, სურვილი — იპოვოს პასუხი კითხვაზე, როგორ იცხოვროს უსიყვარულოდ?! ეს გმირის თავისებური შინაგანი მონოლოგია, გამოხატული ირეალურ-ბუნდოვანი ტონებით. ტკივილს ამძაფრებს კონტრასტი წარმოსახვის სიღრმისკენ მიმართული ვოკალის „მეოცნებე მზერასა“ და ექსპრესიულ, ქარიშხლიან თანხლებას შორის.

მეორე ნაწილი შეუჩერებლივ გადადის მესამეში და ეს არ არის შემთხვევითი, რადგანაც მესამე ნაწილი ქალ-ვაჟის ურთიერთობას ასახავს და ტრაგიკული მეორე ნაწილის შემდეგ, იგი იმ ბედნიერ დღეთა მოგონებად აღიქმება, რომელიც წინ უძღოდა კატასტროფას. აქ გმირი ცდილობს გაიხსენოს წარმოსახვაში თავისი სიყვარული, რეალურად წარმოიდგინოს ტრფობის ობიექტი და ურთიერთობის დეტალები, გაერთიანოს მენტალური და რეალური მზერები. ნაწილის სათაური — „ქალავ“ ლექსის ხალხურ გენეზისზე მიგვანიშნებს, რაც პოეტურ ტექსტშიც აისახა, სადაც გალაკტიონი მოხდენილად იყენებს ფოლკლორულ ელემენტებს ქალ-ვაჟის დიალოგში. უკვე ლექსის სათაური ხალხურ ტალღაზე განგაწყობს და ალბათ ასეთი უნდა ყოფილიყო კომპოზიტორის შეგრძნებაც. მაგრამ ინტონაცია არ შეიცავს არაფერს ფოლკლორულს. პირიქით, ავტორი მიზანდასახულად უგულებელყოფს მას. რამ განაპირობა ეს? მიზეზი გასაგებია. საქმე ისაა, რომ ყოველივე ფოლკლორული, მით უფრო ინტონაცია, მატერიალური სიცხადითა და ცხოველმყოფელობით გამოირჩევა. ხალხურისათვის დამახასიათებელი „ხასხასა ფერი“ კი, სრულ დისონანსს შეიტანდა პარტიტურის სტილისტიკაში, დაარღვევდა მის ეგზისტენციალურ ესთეტიკას, გააუფასურებდა ფერთა იმ მქრქალი გამის მომხიბვლელობასა და სიფაქიზეს, ირაციონალურობას რომ გადმოსცემს და აღნიშნული მიმართულებისათვის დამახასიათებელ ფანტასტიკურისა და რეალურის უცნაურ ზღვარზე მიგვანიშნებს. კომპოზიტორმა

კონცერტის შემდეგ: ნუცა კასრაძე, ნათია მდინარაძე, ირინე თაბორიძე, რამაზ ქარუხნიშვილი, ცირა ქამუშაძე

ოსტატურად აუარა გვერდი ამ დაბრკოლებას, ისე რომ არც ნაწარმოებისათვის არჩეული სტილის ჩარჩოებიდან გამოსულა და თანაც ლექსიდან წამოსულ ფოლკლორულ იმპულსებსაც თავისი წილი მიაგო. პრობლემა ავტორმა ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გადაჭრა. ნაწილის დასაწყისში, საკმაოდ მოზრდილ რეჩიტატიულ ეპიზოდში, სადაც გმირის მონოლოგია გადმოცემული, კომპოზიტორმა გამოიყენა ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი სიმღერა თანხლების გარეშე. ხოლო ქალ-ვაჟის დიალოგში კი შეიტანა ფანდურული და ხალხური რიტმული ფორმულები და გაამკვეთრა მოძრაობის ხასიათი, რითაც აღნიშნულ ეპიზოდს ფოლკლორული სიოს სურნელი „დაჰკრა“, მაგრამ ისე, რომ სტილის ერთობა არ დაურღვევია.

ციკლის ფინალი „ვედრება“ მთელი ნაწარმოების ლოგიკური დასკვნაა. განვლილ ცხოვრებას ადამიანი ღვთიურ ნათელთან მიჰყავს. ღვთისმშობლისათვის აღვლენილი ლოცვა-ვედრება ეხება ყველაზე ფასეულს — სიყვარულს! თანაბარი, განზომილი მოძრაობა ვოკალში იმ შინაგან სიმშვიდეს გამოხატავს, ლოცვას რომ უნდა ახლავდეს თან. მაგრამ გარკვეულ წერტილში მიღწეული სულიერი წონასწორობა მაინც ირღვევა. ლოცვა გარდაიქმნება ექსპრესიულ ვედრებად. მარცვალთა სკანდირება ხშირდება მერვედებით, სფორცანდოები თანხლებაში ამჟღავნებენ, რომ „გმირი“ ბოლომდე ვერ შეგუებია დანაკარგს, თუმც ცდილობს და ისწრაფვის სულიერი წონასწორობის მოპოვებისაკენ.

ციკლი სტილისტურად და მხატვრულად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ვოკალურ მუსიკაში თითქმის არ გვეგულება ეგზისტენციალური ესთეტიკის ჭრილში შექმნილი თხზულებები, რაც შემსრულებლების (ვოკალი — ირინე თაბორიძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი და ფორტეპიანო — ცირა

ქამუშაძე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი) მხრიდანაც სათანადო მზაობას, სტილის ფაქიზ გრძნობასა და მაღალ მუსიკალურ კულტურას მოითხოვს.

პირველი განყოფილების ბოლოს შესრულებული „პანტომიმა და ცეკვა“ საფორტეპიანო ტრიოსთვის (2000) თავისებური თხზულებაა, რომელიც ორი ნაწილისაგან შემდგარი პიესების მცირე ციკლად შეიძლება მივიჩნიოთ. ნაწარმოების სახელწოდება მუსიკის პლასტიკურ-ქორეოგრაფიულ ხასიათზე მიუთითებს, ხოლო ავტორის მიერ მიცემული, ფრჩხილებში მოთავსებული ქვესათაური — „ძველი თბილისის მონატრება“ მისი წარმოშობის იმპულსებზე და წიაღზე. თბილისურ თემაზე კომპოზიტორს ადრეც უმუშავია, მაგრამ არა ინსტრუმენტული, არამედ ვოკალური მუსიკის ჟანრში. მხედველობაში გვაქვს სოლისტის, ვაჟთა ვოკალური ანსამბლისა და ფორტეპიანოსათვის შექმნილი „თბილისური სერენადა“ (1981) ვახტანგ გოგოლაშვილის სიტყვებზე.

ჩვეულებრივ, ძველი თბილისის მოტივებზე შექმნილ თხზულებებში კომპოზიტორები ყურადღებას ამახვილებენ კოლორიტზე, სურათოვნებაზე, მიმართავენ ხოლმე მსუყე ფერებს. ისე როგორც ვოკალური ციკლის შემთხვევაში, კომპოზიტორმა აქაც მიაგნო თემის უჩვეულო, არასტანდარტულ და არატრადიციულ, შეიძლება ითქვას, ორიგინალურ გადაწყვეტას. პირველ რიგში ეს ვლინდება ინსტრუმენტული ანსამბლის არჩევანში, რომელიც საფორტეპიანო ტრიოს შემადგენლობას ემთხვევა და აგრეთვე მუსიკალური ენის თავისებურებებში ძველი თბილისის თემას ახალი გამომსახველი და ტექნოლოგიური ხერხებით რომ გადმოგვცემს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, თვით მუსიკის მირაჟულ მოჩვენებითი ხასიათიც, რაზეც წინდაწინ მიგვითითებს ქვესათაურში ავტორის მიერ ზუსტად ნაპოვნი სიტყვა „მონატრება“. ის ამცნობს მსმენელს, რომ კომპოზიტორი ძველი თბილისის სურათებს კი არ გვიხატავს, არამედ მონატრების გრძნობას გადმოგვცემს. ძველი თბილისის ფენომენს კომპოზიტორი იაზრებს არა „ხატების“, არამედ შეგრძნებების ჭრილში. თუმც, ისიც უნდა ითქვას, რომ ნაწარმოები არ არის მოკლებული სურათოვან, უფრო სწორად, „ხედვით“ ასოციაციებს, რაც თხზულებას თავისებური „ინსტრუმენტული სცენის“ ნიშნებს სძენს.

უკვე ნაწარმოების დასაწყისშივე, სიმებზე ხელის დაჭერის მეშვეობით კლავიატურაზე შესრულებული ბგერების დახშობა და ვიოლინოს დასურდინებული ჟღერადობა ქმნიან „ბინდ-ბუნდიან“ და „შენიღბულ“ ატმოსფეროს. როგორც მოგონებათა ნისლში, ბოლისფერი გამჭვირვალე ფარდის უკან ჩნდებიან და ნელ-ნელა ცოცხლდებიან ძველი თბილისის პერსონაჟთა „ლანდები“. ჩელოს რეჩიტატივი ადამიანური სითბოთია სავსე, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდნენ და სამართლიანად ამაყობდნენ ძველი თბილისელები. ამ რეჩიტატივის ფონზე „ჟესტებისა და მიმიკის ენით“ ამოძრავდებიან ნისლში გაფანტული ბუნდოვანი ფიგურები, რომლებიც მეორე პიესაში — „ცეკვაში“ ჯერ ფანტასმაგორიულად ფარფატებენ, ხოლო შემდეგ თითქოს მატერიალიზდებიან და ცეცხლოვან ცეკვაში ერთვებიან. ამაზე მიგვანიშნებს ქალაქური ცეკვის ინტონაციათა ალუზიები, რასაც კულმინაციურ მომენტში უერთდება დოლის აზარტული ჟღერაც (დარტყმები კლავიატურის ქვედა კორპუსზე და ვიოლინოსა და ჩელოს დეკაზე). უჩვეულოა პიესის დაბოლოებაც. ის კი არ სრულდება, არამედ თითქოს „მონატრების“ გრძნობის მწვერვალზე წყდება.

ნაწარმოები საყურადღებოა ძველი თბილისის თემის ახლებური გადაწყვეტით, თბილისური ჰანგების მოდიფიკაციითა და მათი თანამედროვე ენობრივ კონტექსტში ჩართვით. ეს უდავოდ საინტერესო თხზულება გამოირჩევა სილაღით, პიკანტურობით, ჟანრული საწყისის ინტელექტუალურ-გრძნობიერში გარდასახვით, მოხდენილობით, სიმსუბუქითა და დახვეწილობით. ის პირველად აჟღერდა და შესრულებამ (შემსრულებლები: ფორტეპიანო — ნუცა კასრაძე, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი; ვიოლინო — გია ხაინდრავა; ჩელო — გიორგი ჯორჯაძე) მას დამსახურებული წარმატება მოუტანა.

კონცერტის მეორე განყოფილებაში ორი ნაწარმოები შესრულდა: სიმებიანი კვარტეტი №2 და კანტატა „გადაძახილი“. განსხვავებული ჟანრის ამ ორ ნიმუშს პატრიოტული შინაარსი აერთიანებს. ორივე თხზულება ბოლო წლებშია შექმნილი და ეხმიანება ჩვენი თანამედროვეობის აქტუალურ, დრამატულ მოვლენებს.

კამერული მუსიკის სფეროში კომპოზიტორს მრავალი ნაწარმოები აქვს შექმნილი. მათ შორის, როგორც ტრადიციული რთული ინსტრუმენტული ჟანრები (საფორტეპიანო ტრიო, სონატები ცალკეული ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტთა ჯგუფებისათვის, კვარტეტები), ასევე თხზულებები საკრავთა არასტანდარტული შემადგენლობებისათვის.

სიმებიანი კვარტეტი №2, რომელიც კომპოზიტორმა მსმენელთა სამსჯავროზე გამოიტანა (შემსრულებლები — გია ხაინდრავა, თამარ ბულია, ირაკლი ჯაფარიძე, გიორგი ჯორჯაძე) 2008 წლის აგვისტოშია შექმნილი. მას აქვს სახელწოდებაც — „დავითგარეჯა". ნაწარმოების შექმნის თარიღი და სათაური მის პატრიოტულ სულისკვეთებაზე მეტყველებს და აგრეთვე იმაზე, რომ ამ ინსტრუმენტულ თხზულებას აქვს შინაგანი პროგრამა და მისი დრამატურგია თანამედროვე და ისტორიულ თემათა გადახლართვის საფუძველზეა აღმოცენებული. როგორც ჩანს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა კომპოზიტორს მწარე ფიქრები აღუძრა, მისი მზერა ისტორიული წარსულისაკენ მიმართა და დავითგარეჯას დაუკავშირა.

დავითგარეჯა ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ძეგლია, გაშენებული გარე კახეთში მდებარე გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე. ეს სამონასტრო კომპლექსი 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა — დავითმა, VI საუკუნის I ნახევარში დააარსა. იგი განთქმულია ფრესკული სამხატვრო სკოლით, რომელმაც ქართველ მეფეთა არაერთი პორტრეტი შემოინახა. მონასტერმა ბევრი ძნელბედობა გადაიტანა. იგი მრავალჯერ მოაოხრეს სელჯუკებმა (XII ს.), მონგოლებმა (XIII ს.), თემურ-ლენგმა (XIV—XV სს.), ხოლო XVII საუკუნეში, 1615 წელს შაჰ-აბასის ურდოებმა აღდგომის ღამეს 6000 გარეჯელი ბერი ამოწყვიტა. დღეს კი, ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ, ის ადგილი, სადაც განთავსებულია გარეჯის კომპლექსი, მეზობელ აზერბაიჯანთან ტერიტორიული დავის საგანი გამხდარა! აი საკითხები, რომლებიც აღელვებენ კომპოზიტორს, ისტორიას, წარსულსა და თანამედროვეობას უკავშირებენ ერთმანეთს.

შინაარსმა განსაზღვრა ციკლის თავისებური აგებულება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. უდაბნოსათვის დამახასიათებელი მდუმარებითა და იდუმალებით აღსავსე პირველ ნაწილს (Lento misterioso) უპირისპირდება სწრაფი, ქმედითი მეორე ნაწილი.

I ნაწილის რეპეტიციულ ბგერებზე აგებული ნელი შესავალი და ვიოლინოების ეპიკური თემა გარეჯის მონასტრის ისტორიულ რაკურსს წარმოგვიდგენს, რაც მასალის განვითარების პროცესში აგვისტოს ომის ამბებს უკავშირდება. ამიტომაც მედიტაციური I ნაწილი სევდიანი განსჯის განწყობითა და ტკივილითაა გაჟღენთილი.

I ნაწილის სიდინჯეს, II ნაწილში უპირისპირდება ქმედება, მოვლენები. იმიტაციურად მოძრავი უწყვეტი ძაფები თითქოს ომის ქრონიკას გადმოგვცემენ, ისტორიული მოვლენების მოდელირებას ახდენენ. სხვადასხვა ტიპის მოძრაობების დაჟინებული გამეორებები ბრძოლის საერთო სურათს წარმოადგენენ. ლირიკული მასალის შემოსვლის შემდეგ კი, თითქოს მსმენელის თვალწინ გაიელვებს „ფიცხელი ომის" ცალკეული ეპიზოდების მთელი კალეიდოსკოპი, „საჭიდაოსა" და სხვა „შემართულ" ქართულ თემებზე ფაქიზი მინიშნებებით, რაც კინემატოგრაფიული „კადრული" პრინციპის მუსიკაში გადმოტანის გზით ხორციელდება.

II ნაწილის ბოლო მონაკვეთი, რომელშიც „ზარეების რეკვის" ეპიზოდს გადავყავართ, მთელი ნაწარმოების კოდაა. აქ კვლავ ჩნდება I ნაწილის მასალა, ნელი ტემპი. ეს ერთგვარი ეპილოგია, დაჯამება მომხდარისა, გულისტკივილით გამოთქმული დრამატული დასკვნა და პასუხის მომლოდინე შეკითხვა.

კონცერტის დასასრულს შესრულდა კანტატა „გადაძახილი" (შემსრულებლები: აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად ჩაება ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების პროპაგანდაში; დირიჟორი — გურამ ყურაშვილი; კონცერტმაისტერი — ირინე სიმონიანი).

საგუნდო მუსიკა რამაზ ქარუხნიშვილისათვის ერთერთი საყვარელი სფეროა. მას კომპოზიტორი ბავშვობიდანვე ეზიარა. მის ოჯახში ყველა მღეროდა — მშობლები, ახლო ნათესავები, წინაპრები. მისი პაპა მინა ქარუხნიშვილი გახლდათ მღვდელი და გორის სასულიერო სემინარიაში იოსებ ჯუღაშვილთან ერთად

სწავლობდა. მისი ბიძა რევაზ ქარუხნიშვილი იყო მელიტონ კუხიანიძის კაპელის წევრი. საგუნდო მუსიკით გატაცება რამაზ ქარუხნიშვილის შემოქმედებაშიც აისახა, სადაც საგუნდო ჟანრს წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი ავტორია როგორც a cappella, ასევე გუნდისა და ინსტრუმენტული თანხლებისათვის შექმნილი თხზულებების. კომპოზიტორი გუნდის განსხვავებულ სახეებს იყენებს — შერეულს, ბავშვთა, მამაკაცთა, ქალთა. მას ეკუთვნის: კანტატები („საქართველოზე" ბავშვთა a cappella გუნდისათვის, იროდიონ ევდოშვილის სიტყვებზე, 1971; „სამშობლოზე" ბავშვთა გუნდისა და კამერული ორკესტრისათვის, ლია ასათიანის სიტყვებზე, 1982); ორატორიები („საქართველოს განსაცვიფრებელს, გმირულს" შერეული გუნდისა და ორგანისათვის, გიორგი ლეონიძისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე, 1971; „პოეტის ხსოვნას" შერეული გუნდისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, მირზა გელოვანის ლექსებზე, 1985; „ღამის ფიქრები" შერეული გუნდისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის — ფლეიტა, ჩელესტა, არფა, გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე, 2005); მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილი „მუსიკა" ქალთა გუნდისა და ვიოლინოსათვის, ლია ასათიანის სიტყვებზე (1986). აგრეთვე მას შექმნილი აქვს მთელი სერია სასულიერო შინაარსის ორატორიებისა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

კანტატა „გადაძახილი" შერეული გუნდისა და ფორტეპიანოსათვის (2009) ეძღვნება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას, რაც ნაწარმოების პატრიოტულ შინაარსზე მიგვითითებს. მას საფუძვლად დაედო თანამედროვე პოეტი ქალის მანანა ჩიტიშვილის ლექსები. იგი ქსნის ხეობაში, ახალგორის რაიონის სოფელ კორინთაში დაიბადა. მისი შემოქმედება საქართველოს მთის პოეტური სურნელითა და პატრიოტული მოტივებითაა გაჟღენთილი. მათში მტკივნეული ასახვა ჰპოვა მშობლიურ კუთხეში წარმოებულმა აგვისტოს ომმა. ეს განცდები მახლობელი აღმოჩნდა კომპოზიტორისთვისაც, რომელმაც კანტატას მანანა ჩიტიშვილის ერთ-ერთი ლექსის სახელი უბოძა. კანტატის სახელწოდება — „გადაძახილი" წარსულთან მჭიდრო კავშირსა და ხელოვანის მიერ ქვეყნის ისტორიასთან გამართულ შინაგან დიალოგს გულისხმობს.

კანტატის ორი ნაწილი დაწერილია პოეტი ქალის სხვა პატრიოტული ლექსების მიხედვით. მიუხედავად ნაწილებს შორის კონტრასტისა, ნაწარმოები ხასიათდება შინაგანი ერთიანობით. რეჩიტატიულ-დეკლამაციური წყობის საგუნდო პარტია საქართველოს მთის ფესვებიდანაა ამოზრდილი. ხაზგასმით „ანტიმელოდიური" საფორტეპიანო თანხლება გამიჯნულია მისგან და უპირისპირდება მას როგორც ინტონაციურად, ასევე მოძრაობის ხასიათით.

კანტატაში მსმენელის ყურადღებას იპყრობენ ე.წ. „მღერადი" კუნძულები. ასეთი მონაკვეთი ჯერ I ნაწილის ფინალში ჩნდება. იგი იწყება ბანის სოლოთი, („ღამით ქსნის ბებერ ციხეში") და გადაიზრდება აკაპელურ ქორალში (ციფრი 6), როგორც დასკვნითი ფუნქციის მატარებელი საერთო ლოცვა. მსგავსი ხერხი გამოყენებულია II ნაწილშიც, სადაც რეპრიზაში ქორალურ ეპიზოდებს შორის მოთავსებული ბანის სოლო ინტონაციურად და ტემბრულად მეტად საინტერესო ფერთა გამას ქმნის. ეპილოგში ისადგურებს ლოცვის განწყობა, ხაზგასმული ქორალური ფაქტურითა და ფორტეპიანოს პარტიაში ზარების იმიტირებით.

ყოველივე ეს ნაწარმოებს „ნათლის ესთეტიკით" მსჭვალავს. რელიგიურობისა და რწმენის ნიშნები ჩვენ ავტორის სხვა თხზულებებშიც შევნიშნეთ. ეს არ არის შემთხვევითი. კომპოზიტორი მორწმუნე ადამიანია. ეკლესიური ცხოვრების წესი მის პიროვნებაში დრომ და ასაკმა თანდათან უფრო გააღრმავა. ჯერ კიდევ ახალგაზრდას (დაიბადა 1936), მას ამის მაგალითს მისი მასწავლებელი ანდრია ბალანჩივაძე აძლევდა, რომელიც იმ საბჭოთა, სუსხიან დროს, როდესაც ეკლესიაში შესვლა ცუდ ტონად ითვლებოდა და უფრო მეტიც, სახიფათო და საშიში იყო, ის ტაძარში დადიოდა და წირვა-ლოცვას ესწრებოდა. თავის მასწავლებელს და უფროს მეგობარს რამაზ ქარუხნიშვილი დღესაც დიდი მოწიწებით იხსენებს. ბალანჩივაძე იყო მისთვის მისაბაძი მაგალითი და როდესაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, კომპოზიტორმა მას მიუძღვნა ქართული ხალხური დატირების ინტონაციებზე შექმნილი „სამგლოვიარო მუსიკა" კამერული ორკესტრისათვის (1993). ამ დიდი პიროვნებისა და მუსიკოსისაგან რამაზ ქარუხნიშვილმა ზნეობრიობის გაუხუნარი გაკვეთილები მიიღო და პროფესიულ ცოდნასთან ერთად სხვა ადამიანური ღირსე-

ბებიც შეითვისა: მოქალაქეობრივი პათოსი, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიმართლე, პრინციპულობა და ღვთისმოსაობა.

ეს უკანასკნელი, მძლავრად გამოვლინდა მის ბოლო თხზულებებში და განსაკუთრებით, ორატორიული ჟანრის ნაწარმოებებში. ზემოთ ჩვენ საეკლესიო-რელიგიური შინაარსის ორატორიების სერია ვახსენეთ. ესენია: ორატორია „გალობანი ვედრებისანი“ შერეული და ბავშვთა გუნდის, სოპრანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, ლოცვების, ლიკა ჭავჭავაძისა და ინგილოური ნანის ტექსტებზე (1990); „გალობანი მონანულთაი“ შერეული გუნდის, ტენორის, ფორტეპიანოს, ვიბრაფონისა და ზარებისათვის, დაწერილი ილია ჭავჭავაძის, მერაბ კოსტავას, დავით აღმაშენებლის და ლოცვების ტექსტებზე (1993), სადაც ცენტრალურ ნაწილში, კულმინაციაზე ჩაერთვის ანა კალანდაძის ლექსიც, სიტყვებით „სიყვარულისთვის გული გახსენი“; ორატორია „გალობანი მარიამ ღვთისმშობლისანი“ შერეული ბავშვთა გუნდის და სოპრანოსათვის, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლოცვების ტექსტებზე (1994); „გალობანი უფლისანი“ შერეული და ბავშვთა გუნდის, ბანისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, მიქაელ მოდრეკილის, ლოცვებისა და ბიბლიის სიტყვებზე (1997).

ნუსხა ფრიად სოლიდურია და საეკლესიო მუსიკითა და ტექსტებით ავტორის ღრმა გატაცებაზე მეტყველებს. როდესაც ამა თუ იმ კომპოზიტორის საეკლესიო მუსიკაზე ვსაუბრობთ, ცხადია, ამაში ეკლესიაში შესასრულებელ ნაწარმოებებს კი არა, რელიგიური შინაარსის საკონცერტო თხზულებებს ვგულისხმობთ. თუმც, ეკლესიაში შესასრულებელ მუსიკასაც საეკლესიო ჰქვია და საეკლესიო მუსიკის ამ ორ სახეს შორის (საკონცერტო და ეკლესიაში შესრულებისათვის განკუთვნილი) განსხვავებაზე შემსრულებელთა შემადგენლობა და საშემსრულებლო სიძნელეებიც მიუთითებენ. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი რამაზ ქარუხნიშვილის საეკლესიო ორატორიები საკონცერტო თხზულებებია. მათგან მხოლოდ ერთი — „გალობანი მარიამ ღვთისმშობლისანი“ არის დაწერილი a cappella გუნდისთვის და წმინდა საეკლესიო ლოცვის ტექსტებზე, რითაც ახლოს დგას ჰიმნებთან, გალობასთან და მართლმადიდებლური საღვთო ლიტურგიის სხვა სახეებთან.

კომპოზიტორმა საავტორო საღამო ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს მიუძღვნა. კონცერტმა აჩვენა, რომ სიჭარმაგეში შესულ კომპოზიტორს არ შეუნელებია შემოქმედებითი ტემპი, არ დაუკარგავს აღქმის სიმწვავე და მისი ინტერესები კიდეც გაღრმავებულა. ამაზე მეტყველებს კონცერტზე აჟღერებული პრემიერების რიცხვიც, ხუთი ნაწარმოებიდან — სამი პირველი შესრულება!

რომ არა მერიის დახმარება, საღამო ვერ შედგებოდა. მადლობა მას ამისთვის. სასიამოვნო იყო კონცერტის მზადებაში მისი ოჯახის — შვილების თანადგომაც, რაც ამერიკიდან გამოგზავნილმა ანასტასია ქარუხნიშვილის მიერ შედგენილმა მოკლე ანოტაციამაც გვაუწყა, პროგრამის ბოლო გვერდზე რომ ვიხილეთ.

ეძღვნება ელისო ვირსალაძეს

„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!“ ამ სხარტი და ტევადი სლოგანის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს კომპანია მაგთიკომის მხარდაჭერით გამოცემული წიგნი-ალბომი „ელისო ვირსალაძე“, რომელიც ეძღვნება ამ დიდი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

წიგნის შექმნის იდეა ეკუთვნის კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრს (ხელმძღვანელი თამარ ლორთქიფანიძე), რომელიც წარმატებით უძღვება ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებულ თელავის მუსიკალურ ფესტივალს. წინანდალში, ფესტივალის დღეებშივე შედგა ამ წიგნის პრეზენტაციაც.

სწორედ აღნიშნული ცენტრიდან მივიღე ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო შემოთავაზება მემუშავა წიგნზე, რომელიც მკითხველს გააცნობდა ელისო ვირსალაძის დაძაბული და მრავალფეროვანი შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან გზას.

თავიდანვე გავაცნობიერე ამოცანის სირთულე: უნდა შექმნილიყო ამ უდიდესი მუსიკოსისა და პიროვნების საკადრისი წიგნი, რომელიც სამ ენაზე (ქართული -ინგლისური-რუსული) გამოიცემოდა და გავიდოდა საერთაშორისო ასპარეზზე. მკითხველმა განსაჯოს თუ რამდენად მივაღწიე მიზანს.

თავიდანვე მივიღე გადაწყვეტილება: ეს წიგნი შორს უნდა მდგარიყო სახოტბო ჟანრის ლიტერატურისაგან, რისი მიღწევაც არ არის ადვილი, როცა საქმე ეხება ისეთი მაღალი დონისა და მასშტაბის არტისტს, როგორიცაა ელისო ვირსალაძე, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმოადგენს საყოველთაო აღტაცებისა და აღფრთოვანების ობიექტს. რა თქმა უნდა, წიგნშიც იგრძნობა ეს ემოცია, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს მის პათოსს.

მსურდა შექმნილიყო ცოცხალი, საინტერესო, შინაარსიანი, დამაფიქრებელი და გარკვეულწილად პრობლემური წიგნი, რომელიც მკითხველს შეიყვანდა ელისო ვირსალაძის სამყაროში, გააცნობდა მის პიროვნებას - შეხედულებებს, შეფასებებს, პოზიციებსა და კრიტერიუმებს, ესთეტიკურ ხედვასა და ზნეობრივ ფასეულობებს.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში დამეხმარა თვით ელისო ვირსალაძე, მიუხედავად იმისა, რომ მასთან არავითარი კავშირი არ მქონდა მუშაობის პროცესში. მისთვის ეს წიგნი სიურპრიზი იყო. დახმარება კი გამიწია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულმა ელისო ვირსალაძის წერილებმა და ინტერვიუებმა, რომლებიც წიგნში შესულია ამ სახელოვან ხელოვანზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებთან ერთად.

მათ შორისაა თანამედროვეთა მიერ დაწერილი მოგონებები, რეცენზიები, წერილები და სახელგანთქმული მუსიკოსების გამონათქვამები, საიდანაც ჩანს, რომ ელისო ვირსალაძე შესულია მსოფლიო მუსიკალურ ელიტაში და აღიარებულია ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს პიანისტად.

თვალსაჩინოებისათვის მოვიშველიებ ერთ-ერთ ჩანაწერს ლეგენდარული პიანისტისა და დაუნდობელი

კრიტიკოსის სვიატოსლავ რიხტერის დღიურებიდან:

„...ელისო ვირსალაძე დიდი მასშტაბის არტისტია. შესაძლოა, დღეს ყველაზე ძლიერი პიანისტი ქალია, უაღრესად კეთილსინდისიერი მუსიკოსია. მას ახასიათებს ნამდვილი სიწრფელე. გარდა ამისა, კეთილშობილი სისხლისაა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია არტისტისათვის. ელისო ვირსალაძე ყოველმხრივ ძალიან მხიბლავს“.

ეს მართლაც მაღალი შეფასებაა. და მაინც, თავს უფლებას მივცემ ბოლომდე არ გავიზიარო ეს თვალსაზრისი: ელისო ვირსალაძე სჯობნის არა მარტო კოლეგა-ქალებს. მან უკან ჩამოიტოვა არაერთი სახელმოხვეჭილი მამაკაცი-პიანისტიც თავისი ენერგიით, ნებისყოფით, გემოვნებით, პირველ რიგში კი, მუსიკალური ერუდიციით და ინტელექტით, უმაღლეს წესრიგს რომ ამყარებს მის ესთეტიკურ სამყაროში. აქედან იღებს სათავეს ელისო ვირსალაძის ფუნდამენტური და რაფინირებული, ინტელექტუალური და პოეტური პიანიზმი, რომელიც ვირტუოზული ოსტატობით ავითარებს საშემსრულებლო ხელოვნების კლასიკურ პრინციპებს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე.

აქვე მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ ელისო ვირსალაძე შესანიშნავად წერს. იგი მწერლური ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსია. მისი წერილებიდან და ინტერვიუებიდან თვალნათლივ ჩანს მაღალი სულიერება, დიდი ადამიანური ბუნება და მართალი პირუთვნელი ხასიათი. ამაშია ამ წიგნის ღირსება.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩემს პარტნიორებს: ცნობილ დიზაინერს ბესიკ დანელიას და პროექტის მენეჯერს ნინო ახვლედიანს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ შესანიშნავად ილუსტრირებული და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული წიგნი-ალბომის გამოცემაში.

მანანა ახმეტელი

წიგნი-ალბომის „ელისო ვირსალაძე“
შემდგენელი, მთარგმნელი და რედაქტორი

P.S. **წერილი გადმობეჭდილია კომპანია მაგთიკომის ჟურნალიდან „მუდმივი კავშირის სამყარო” (№4 (56-2012).**

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ

მუსიკის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — გამოვიდა წიგნი, რომელიც დიდი ქართველი პიანისტისა და პედაგოგის ელისო ვირსალაძის 50 წლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობისადმია მიძღვნილი.

ნათლად მახსოვს 1962 წელს, როდესაც ელისომ პირველად შეასრულა კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი. ის უზარმაზარი წარმატება რაც ახლდა ამ კონცერტის შესრულებას, იყო იმის დამადასტურებელი, რომ ჩვენს თვალწინ იშვიათი ტალანტია, რომელსაც წინ დიდი წარმატებები ელის. ის მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისა და შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ საბედნიეროდ დღესაც გრძელდება და ასე იქნება მუდამ, რადგანაც ელისოსთვის სხვაგვარად შეუძლებელია. არცთუ ბევრ მნიშვნელოვან შემსრულებელს გავიხსენებთ, ვინაც თავისი ხელოვნების ასეთ დიდ სიმაღლეზე აყვანა და შენარჩუნება შეძლო.

აღნიშნულ წიგნში თავმოყრილია ელისოს შემოქმედებასთან დაკავშირებული ძალიან დიდი მასალა — წერილები, ინტერვიუები, მოგონებები, გამონათქვამები. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება გალერეა მე-20 საუკუნის უდიდესი მუსიკოსებისა, რომელთა შეფასებები და დამოკიდებულება ელისოს შემოქმედების მიმართ მკითხველსაც სიამაყით აღავსებს — არ შეიძლება ჩვენი მცირერიცხოვანი ერის საუკეთესო წარმომადგენლისადმი ამგვარი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებამ გულგრილი დაგტოვოთ. ჩემთვის ასევე განსაკუთრებულად აღსანიშნავია თვით ელისოს, მისი პედაგოგებისა და მეგობრების დამოკიდებულება ქ-ნ ანასტასია ვირსალაძისადმი, რომლის დამსახურება ელისოს მუსიკოსად ჩამოყალიბებაში განუზომელია. წერილებში და მოგონებებში იკვეთება არაჩვეულებრივი მუსიკოსის, მზრუნველი და ჭეშმარიტად დიდი აღმზ-

ელისო ვირსალაძე

რდელის ნათელი სახე, რომელსაც გარდა შვილიშვილისა, კიდევ ჰყავდა რამოდენიმე სახელოვანი მოწაფე. წიგნის ღირსებად მიმაჩნია მოწოდებული მასალების ოსტატური განლაგება, მათი ბუნებრივი თანმიმდევრობა, უაღრესად მაღალი პოლიგრაფიული დონე და არაჩვეულებრივად შერჩეული ფოტოები. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავისთავად გებადება სურვილი, მადლიერება გამოხატო ამ წიგნის გამომცემელთა მიმართ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს ეხება ქ–ნ მანანა ახმეტელს, რომლის დახვეწილი გემოვნება და უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა თავისი ნაშრომისადმი სამაგალითოა.

წიგნი იკითხება დიდი ინტერესით. ივი ასევე ბადებს სურვილს, რომ კვლავ და კვლავ გადაფურცლო და მონახო სწორედ შენთვის ის ყველაზე უფრო საინტერესო ადგილები, რომლებიც იმწამიერმა გაუცნობიერებელმა მოთხოვნილებამ, ამ ზღვა მასალიდან თავისთავად ამოატივტივა.

წიგნი სამენოვანია — ქართული, ინგლისური, რუსული. ალბათ ამანაც განაპირობა, რომ მასში აღარ დარჩა ადგილი თუნდაც ერთი რომელიმე ფაქსიმილესათვის. თუმცა ჩვენს ეგზემპლარს არც ეს აკლია — მას ამშვენებს თვით ელისოს ძალიან თბილი წარწერა, რომელიც ამ წიგნის მნიშვნელობას ჩვენი ოჯახისათვის კიდევ უფრო ზრდის.

ძვირფას ელისოს ვულოცავთ ბრწყინვალე საიუბილეო თარიღებს, ხოლო წიგნის გამომცემლებს შემოქმედებით გამარჯვებას.

რევაზ ტაკიძე

მე- 15 ჯაზ ფესტივალი

საიუბილეო ჯაზ-ფესტივალი თბილისელებისათვის ნამდვილი დღესასწაული აღმოჩნდა. „ისთერნ ფრომოუშენმა“ ოთხივე კონცერტზე მსოფლიოში ყველაზე აღიარებული მუსიკოსები მოიწვია, რამაც განსხვავებული სტილისა და მიმდინარეობების გემოვნების მაყურებელი სრულად დააკმაყოფილა და ფესტივალის ყველა კონცერტზე ანშლაგი იყო.

20 ნოემბერი – ამ დღეს ჩვენს წინაშე დი დი ბრიჯუოთერი (Dee Dee Bridgewater) თავის ბენდთან ერთად წარსდგა. დი დი ბრიჯუოეთერი ოთხი ,,გრემისა" და ,,ტონის" მფლობელია. თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ჯაზშემსრულებელს, თავისი კარიერის განმავლობაში, არაერთ ლეგენდარულ ინსტრუმენტალისტთან და მუსიკოსთან უთანამშრომლია, მათ შორის იყო სონი როლინსი, დიზი გილესპი, დექსტერ გორდონი.

62 წლის მომღერალი თბილისში მეორედ ჩამოვიდა. პირველად 1972 წელს (ანუ ზუსტად 40 წლის წინ) ტედ ჯონსის და მელ ლუისის ბიგ-ბენდთან ერთად გვეწვია. მაშინ ეს უიშვიათესი მოვლენა იყო და მეც გახლდით ამ კონცერტის ბედნიერი მაყურებელი. მომღერალი მაშინ 7 თვის ფეხმძიმე იყო. 22 წლის ასაკში მან მოგვხიბლა ბლუზის და სოულის ენერგეტიკით და ჩვენი აღტაცება დაიმსახურა. მახსოვს როგორ იატაკამდე გვიკრავდა ყოველი ტაშის დროს თავს და ჩვენ ცოტა არ იყოს გვანერვიულებდა ამდენი ფიზიკური დატვირთვით. 2012 წელს კი ჩვენ ვიხილეთ უდიდესი დიაპაზონის მქონე არტისტი, ნამდვილი ვარსკვლავი, რომელიც ჯაზის ყველა სტილს საკუთარ, ინდივიდუალურ შესრულების მანერით გვაწოდებდა.

დი დი ბრიჯუოთერი

ქრეგ ჰენდი (დი დი ბრიჯუოთერის ბენდის საქსოფონისტი): ***„ყოველ ჯერზე როდესაც ის მიკროფონს იღებს, მისი ხმა გულიდან მოდის. ის არასდროს არ ასრულებს ერთნაირად სიმღერას. ყველა სიმღერაში ის ახალ პერსონაჟს ქმნის. თავისი პიროვნების სხვადასხვა მხარეებს უსადაგებს კომპოზიციებს. ამით ყოველი კონცერტი განუმეორებელია"*** (ინტერვიუ მიცემულია „თიბისი“ არტარეას ბლოგისთვის „ენდორფინი“, ჟურნალისტი ტასო ჩხეიძე).

კონცერტზე ბრიჯუოთერმა ბევრი თავისი ცნობილი სიმღერა გააჟღერა, მათ შორის ბილი ჰოლიდეს რეპერტუარიდან, რომელთანაც მომღერალს, როგორც თავად ამბობს, ბევრი რამ აკავშირებს. დიდიმ 1986 წელს მიუზიკლში ბილი ჰოლიდეის სცენური სახე განახორციელა, რამაც ეს ორი განთქმული მომღერალი კიდევ უფრო დააკავშირა.

დი დი ბრიჯუოთერი: ***„მე მგონი როგორც ქალმა გა-***

ვუგე მას, მაგრამ მე უფრო ჭკვიანი აღმოვჩნდი, რადგანაც ნარკოტიკებს არასდროს მივკარებივარ, მადლობა ღმერთს! მაგრამ მე მესმის ნამდვილად თუ რა დრო იყო ის, რომელშიც ბილი ჰოლიდეი გაიზარდა" (ინტერვიუ მიცემულია „თიბისი" არტარეას ბლოგისთვის „ენდორფინი", ჟურნალისტი ტასო ჩხეიძე).

20 ნოემბრის კონცერტზე ბრიჯუოთერმა რამდენიმე სიმღერა თავისი მალის პროექტიდანაც შეასრულა.

დი დი ბრიჯუოთერი: *„მინდოდა გამერკვია აფრიკის რომელი კუთხიდან მოდიოდნენ ჩემი წინაპრები. ეს კვლევა თითქმის 5 წელი გაგრძელდა. ჩემი გენეალოგიის მე – 17 საუკუნემდე ჩავედი. შემდეგ არავითარი საბუთები აღარ იყო. მერე დავიწყე დასავლეთ აფრიკის მუსიკის მოსმენა, რადგანაც ვიცოდი, რომ მონების უმეტესი ნაწილი დასავლეთ აფრიკიდან უნდა ყოფილიყვნენ. ყოველ ჯერზე, როდესაც მალის მუსიკას ვუსმენდი, ეს მელოდიები ჩემთვის ნაცნობი იყო. ამიტომ გადავწყვიტე წავსულიყავი მალიზე. როდესაც იქ ჩავედი ხალხს ეგონა, რომ იქაური ვიყავი. **DNM** ტესტი არ გამიკეთებია, მაგრამ ვგრძნობ, რომ იქიდან უნდა ვიყო. 2 წლის შემდგ მუსიკალური პროექტი გავაკეთე მალელი მუსიკოსების დახმარებით. მალის მუსიკას ბევრი საერთო აქვს ჯაზთან და ბლუზთან და ამ პროექტით ვცადე მათი გაერთიანება. მართლაც საუკეთესო მუსიკალური პროექტია, რაც ოდესმე გამიკეთებია!"* (ინტერვიუ მიცემულია „თიბისი" არტარეას ბლოგისთვის „ენდორფინი", ჟურნალისტი ტასო ჩხეიძე)

კონცერტის დასრულება თბილისელ აუდიტორიას ნამდვილად არ უნდოდა. მომღერალი გამოიძახეს ბისზე. დასასრულს მან შესასრულა ცნობილი ჰიტი: „Bésame Mucho". 1940 წელს დაწერილი ეს ესპანურენოვანი სიმღერა ყველაზე ხშირად შესრულებად და ჩაწერილ სიმღერებს შორისაა აღიარებული და მისი იმდენი ინტერპრეტაცია არსებობს, რამდენი შემსრულებელიცაა. იმ დღის შესრულება აბსოლუტურად განსხვავებული იყო ყველა დანარჩენისგან: რაღაც დიდი ნოსტალგიით და ცოტაოდენი ტრაგიზმით აღსავსე ბრიჯუოთერის შესრულებამ პირადად ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

დი დი ბრიჯუოთერი ცნობილია იმითაც, რომ გაეროს მშვიდობის ელჩია და მრავალ საქველმოქმედო

ნილს ლანდგრენი

პროექტში მონაწილეობს. ეს ყველაფერი მას შემოქმედებასთან ერთად ძალიან კარგად გამოსდის. იმედი მაქვს, რომ ამ უნიჭიერეს ქალბატონს თბილისში მომავალში კიდევ ვიხილავთ.

23 ნოემბერი, ფესტივალის მეორე დღე, ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა. საკონცერტო დარბაზის „ივენ ჰოლში" გაიმართა ჯექ დეჯონეტის და მისი ბენდის საღამო. სულ სხვა ატმოსფერო და სულ სხვა მუსიკა ჟღერდა ამ დღეს. დეჯონეტი 2012-ში 70 წლის შესრულდა. 50 წლის კარიერის განმავლობაში მან მსოფლიოს თითქმის ყველა საუკეთესო მუსიკოსთან ითანამშრომლა. ჩარლზ ლლოიდი, მაილს დევისი, ჰერბი ჰენკოკი თუ ქეი ჯარეტი, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ხალხისა, ვისთანაც ერთად მას დაუკრავს. დღეს ის მსოფლიოს დრამერთა საუკეთესო ათეულშია, თუმცა ბავშვობაში მუსიკის შესწავლა ფორტეპიანოზე დაკვრით დაიწყო. დღესაც არის შემთხვევები, როდესაც ის სინთეზატორზე ან ქიბორდზე ჩაერთვება ხოლმე კონცერტის მსვლელობისას თუ სიმღერის ჩაწერისას.

ის უამრავი ჯილდოს მფლობელია. მათ შორის რამდენიმე გრემიც აქვს. თბილისში გამოსვლისას მან როგორც თავისი, ასევე ჯაზის სტანდარტული კომპოზიციები შეასრულა, მაგრამ უკანასკნელი სრულიად განსხვავებულად გაჟღერდა დეჯონეტის ჯგუფის შესრულებით.

ჯეკ დეჯონეტი

90-იანი წლებიდან დეჯონეტი თავის მუსიკას ახასიათებს, როგორც „მრავალგანზომილებიანს“. მართლაც გასაოცარი მუსიკალური სამყარო წარსდგა ჩვენს წინაშე. ეს არ იყო მხოლოდ სასიმღერო მელოდიები ანდა საცეკვაო რიტმები, ეს იყო თანამედროვე ფილოსოფიური გააზრება და სამყაროს ჭვრეტა ზოგჯერ უფრო ენერგიული და ზოგჯერ კი უფრო ჩაფიქრებული ხასიათის. დეჯონეტი არ შემოიფარგლება თავის ხელოვნებაში ერთი რომელიმე ჟანრით. ფიუჟენის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი თითქმის ყველა მიმდინარეობაში თავისუფლად გრძნობს თავს. ესენია: რიტმენდბლუზი, ჰარდ ბოპი, ავანგარდი, გრუუვი (groove). თავის ერთ ინტერვიუში დეჯონეტი ამბობს: ,,***ბავშვობაში მე ვუსმენდი ყველანაირ მუსიკას და არასდროს არ ვყოფდი მას კატეგორიებად. მე მქონდა ფორტეპიანოზე დაკვრის გაკვეთილები და ვუსმენდი ოპერას, ასევე ვუსმენდი ქანთრის და ვესტერნს, რიტმენდბლუზს, სვინგს, ჯაზს, მოკლედ, ყველაფერს. ჩემთვის ეს ყველაფერი იყო მუსიკა და ყველაფერი იყო დიდებული. მე ახლაც შევინარჩუნე მუსიკის ასე მთლიანობაში აღქმა, ყველა ტიპის მუსიკის; მიუხედავად იმისა, რომ ბევრისთვის მისაღებია მუსიკის და ხალხის რაღაც ჩარჩოებში მოქცევა“.***

დეჯონეტი თავის თავს „აბსტრაქტულად მოაზროვნეს“ უწოდებს. ***„მე არ მომწონს ვიფიქრო იმაზე, როცა მეკითხებიან: „რას ფიქრობ 33-ე ტაქტში? მე უფრო დინებას მივყვები“;*** როდესაც მას ეკითხებიან, რას გრძნობს, როდესაც უკრავს, ის პასუხობს: ***„როდესაც ვუკრავ, მე განსხვავებულ წყობაში ვარ; სულ სხვა ტალღაზე მაქვს ფიქრები, მე ჩართული ვარ თითქოს იდეების კოსმიურ ბიბლიოთეკაში“.***

„იდეების კოსმიური ბიბლიოთეკა“ იმ საღამოს სრულად გაიღო ჩვენთვისაც. ხალხის სახეები „ივენთ კლუბში“ რაღაც სიამოვნებანარევი ნირვანას მდგომარეობას უახლოვდებოდა. ეს იყო უწყვეტი მუსიკის ერთი დიდი ნაწარმოები, რომელიც არ გინდოდა, რომ დამთავრებულიყო.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი მოვლენა: კონცერტის დაწყებიდან დაახლოებით 20 წუთში დავინახე, როგორ გავიდა კლუბიდან კომპოზიტორი გია ყანჩელი. მე ჩავთვალე, რომ სიგარეტის მოსაწევად გავიდა, რადგანაც დარბაზში მოწევა აკრძალული იყო. ვიფიქრე, როცა შემოვა ვკითხავ, რა აზრის არის ამ მუსიკოზე. მაგრამ ყანჩელი აღარ მობრუნებულა. შემდეგ კონცერტზე სანდრო ყანჩელს, მის ვაჟს, შევხდი და ვკითხე, თუ რატომ დატოვა მამამისმა კონცერტი. სანდრომ მიპასუხა, რომ ***„გია იმ დღეს საბოლოოდ დაემშვიდობა ჯაზს!“***-ო. რაოდენ გაკვირვებული დავრჩი. მე, ალბათ, წარმოიდგენთ, რადგანაც ყანჩელი თავისი მუსიკალური მოღვაწეობის დასაწყისში, სწორედ ჯაზს უკრავდა ხოლმე კინოთეატრის ჰოლში და ჯაზთან დამშვიდობება ცოტა მეუცნაურა მისგან. ვფიქრობ, რომ 20 წუთის ნაცვლად კიდევ ნახევარი საათი რომ დარჩენილიყო, ის უსათუოდ წაყვებოდა ჯექ დეჯონეტს მის კოსმიურ მოგზაურობაში.

24 ნოემბერს — შვედმა ჯაზ-მესაყვირე ნილს ლანდგრენმა და Funk Unit ჯგუფმა დაუკრა. ჯგუფი, რომელიც მან 1992 წელს ჩამოაყალიბა უამრავი კომპოზიციის ავტორია, მათ შორის Live in Stockholm, 5,000 Miles, and Funky ABBA. ლანდგრენმა პირველი სოლო ალბომი (Planet Rock) 1983 წელს გამოუშვა და მას შემდეგ არაერთ ცნობილ მუსიკოსთან ითანამშრომლა — ჰერბი ჰენკოკთან, ვაიკლიფ ჯინთან, ედი ჰარის-თან და ABBA-სთან .

ეს იყო 6 ინსტრუმენტალისტი, რომელიც ძალიან

კარგ ანსამბლს ქმნიდა. დარბაზმა მუსიკოსები ძალიან კარგად მიიღო; კონცერტის მსვლელობის დროს, „ივენთ ჰოლში“ მუსიკოსმა სთხოვა დარბაზს მუსიკალური ფრაზის გამეორება. ეს ფრაზა არ იყო იოლი და მუსიკოსის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან აღმოაჩინა, რომ ქართველმა მაყურებელმა ძალიან ზუსტად შესძლო ამ რთული ფრაზის გამეორება და სთქვა: ***„საიდანაც მე ვარ, ასე ზუსტად პირველივე ჯერიდან პუბლიკა ვერ იმეორებს ამ ფრაზას“!***

კონცერტის შემდეგ, ნოდარ ბროლაძეს, ჯაზის მელომანს და გაზეთ „სვაბოდნაია გრუზიას“ მიმომხილველს ვთხოვე თავისი კომენტარი გაეკეთებინა: ***„ჩანდა, რომ ესენი არიან დახვეწილი მუსიკოსები და არავის არავითარი ეჭი არ გაუჩნდა, რომ თუ ამერიკელები არ არიან და შვედები არიან, ამიტომ ჩამორჩებიან. ეს იყო უმაღლესი კლასი! მაინც ევროპული ჯაზია. ის მაინც ხალისით სავსე იყო. ნილს ლანდგრენი და მისი ბენდი უკრავდნენ არა იმ ფანკს, რომელიც 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, არამედ ახალს, რომელსაც სხვა ნიუანსები გააჩნია. ამ ნევროზულ-დეპრესიულ მიმდინარეობაში მუსიკოსებმა შეიტანეს ძალიან დიდი ხალისი, ფაქტობრივად, მერე ამღერეს და აცეკვეს დარბაზი და ეს იყო ვირტუოზების დაკრული მუსიკა!.“***

თბილისის ჯაზ-ფესტივალი კი ლეგენდარულმა პიანისტმა ჩიკ კორეამ დახურა. სამოციან წლებში ის მაილს დევისთან ერთად უკრავდა, ხოლო მისი კომპოზიციები ჯაზის სტანდარტებს წარმოადგენს. 18 გრემის მფლობელი მუსიკოსი ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პიანისტია. ჩიკ კორეა თბილისს 2012- ში მეორედ ესტუმრა.

გადავსებული დარბაზი მოუთმენლად ელოდა კონცერტის დასაწყისს, მით უმეტეს, რომ გამოცხადებული იყო, რომ ბოლოს ახალგაზრდა ქართველ ჯაზ-პიანისტ ბექა გოჩიაშვილსაც უნდა დაეკრა ჩიკ კორეასთან ერთად.

ჩიკ კორეას ტრიოში მონაწილეობდნენ მსოფლიოში განთქმული მუსიკოსები, ბასისტი ქრისტიან მაკბრაიდი (Christian McBride) და დასარტყამზე ბრაიან ბლეიდი (Brian Blade).

ჩიკ კორეამ იმ საღამოს ძალიან ბევრი ცნობილი კომპოზიცია დაუკრა. დარბაზი ვერ მალავდა აღფრთოვანებას და ყოველი კომპოზიციის დაწყებას აპლოდისმენტებით ხვდებოდა. ჩიკ კორეას ტრიო დიდ დარბაზში გამოდიოდა და ჩემი აზრით, ეს ჯაზ-ტრიოსთვის არც ისეთი მყუდრო ატმოსფეროა, თუმცა მუსიკოსებმა მოახერხეს და ეს დიდი სივრცე თავისი ენერგეტიკით გაავსეს. დასასრულს ჩიკ კორეამ გამოაცხადა: ***„დღეს ამ სცენაზე სპეციალური სტუმარი გვყავს მოწვეული. მე გავიცანი ეს ახალგაზრდა მუსიკოსი რამდენიმე წლის წინ და ის რომ ახალგაზრდაა, ეს ხელს არ გვიშლის ჩვენ მეგობრობაში. მე მგონი საქართველო უნდა ამაყობდეს, რადგანაც ჰყავს ისეთი ელჩი მსოფლიოში, როგორიც არის ბექა გოჩიაშვილი, რომელიც თქვენს კულტურას წარმოადგენს.“***

ჩიკ კორეა და ბექა გოჩიაშვილი

დარბაზი ოვაციებით შეხვდა ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის სცენაზე გამოსვლას.

ჩიკ კორეამ ბექასთან ერთად, ოთხ ხელში, ორი ცნობილი კომპოზიცია შეასრულა:“Spain“ და „Straight no chaser“. ბექა იჯდა სცენისკენ უფრო ახლოს და კორეა მას, როგორც მენტორს შეეფერება, სოლირების უფრო დიდ შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა რაღაც მომენტში ჩიკ კორეამ ინიციატივა დაიბრუნა და დარბაზი Call – Respons-ის პრინციპით, ინტერაქტიულ შესრულებაში ჩართო. ორმა მუსიკოსმა ძალიან ინტიმური და შემოქმედებითი იმპულსით დატვირთული დიალოგი გამართა სცენაზე. ჩიკ კორეა დაკვირვებით უსმენდა ბექას სოლირებას; თვალებით და მთელი



გაიოზ კანდელაკი

სხეულით მიყვებოდა მას. ბექაც ძალიან თავისუფლად გრძნობდა თავს და თავის ძალიან კარგ განწყობას გვიზიარებდა.

საინტერესოა ინტერვიუს ფრაგმენტები, რომელიც ჩიკ კორეამ და ჯექ დეჯონეტმა „თიბისი არტარეას“ ჟურნალისტს, ტასო ჩხეიძეს მისცეს:

„მე ვფიქრობ, ის, თუ რამდენად ჯანსაღია საზოგადოება, შეიძლება გაიზომოს იმის მიხედვით თუ რამდენი ადამიანია ჩართული ხელოვნებაში; არა აუცილებლად მუსიკაში, არამედ ნებისმიერ სხვა დარგში — ცეკვაში, მხატვრობაში, იმიტომ, რომ ხელოვნება შემოქმედებითი საგანია... თუნდაც სამზარეულოში დიასახლისის შრომა, თუ ის კრეატიულად აღიქმება, მომზადებული შეიძლება ხელოვნებად ჩაითვალოს. ასე რომ, თუ ხალხი ჩართულია რამე მშვენიერის შექმნის პროცესში, მაშინ გარემო უფრო ჯანსაღი იქნება”.

ჯექ დეჯონეტი: *„ჩემი აზრით, შესანიშნავია ის, რომ მე, ჩიქი, დეივი (ჰოლანდი) ჰერბი (ჰენქოქი) მიუხედავად იმისა, რომ 70 წლისანი ვართ, სულით ახალგაზრდები ვართ და კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. იმედი მაქვს, რომ სამყარო მოგვცემს ბევრ დროს, რომ ჩვენი საქმე გავაგრძელოთ. ადამიანებს სულიერად დავეხმაროთ და შესანიშნავი მუსიკა შევქმნათ*”.

იმ საღამოს, ჩიკ კორეას შესრულება შეიძლება მისი სიტყვების ნამდვილი ილუსტრაცია ყოფილიყო: *„მე აღარ მინდა ჩემი თავის დაკმაყოფილება. მე მართლა მინდა ჩემი მუსიკით სამყაროს ვეურთიერთო და რაღაც მნიშვნელოვანი შევძინო ყველა ადამიანს.“*

თუ როგორ მოახერხა მან ეს, ამისთვის ყველაზე კარგი იქნება თუ მოისმენთ ჩიკ კორეას და ბექას ერთობლივ გამოსვლას Artareatv მიერ გადაღებულ ვიდეოში „You Tub” -ზე.

კონცერტის შემდეგ „ისთერნ ფრომოუშენმა“ ჯაზის მოყვარულებს ჯემ სეშენზე დასწრების საშუალება მისცა. ივენთ-ჰოლში ბექა გოჩიაშვილი და ქართველი მუსიკოსები გამოვიდნენ. ჩიკ კორეამ ბექასთან ერთად ერთი ნომერი დაუკრა. ამჯერად ბექა ქიბორდზე უკრავდა და ჩიკ კორეა როიალზე. დუეტი ამჯერად სხვა აკუსტიკურ გარემოში მარტო უკრავდა. ეს ძალიან ლირიკული კომპოზიცია ნამდვილად გაცილებით უხდებოდა „ივენთ ჰოლს“, ვიდრე დიდ საკონცერტო დარბაზს. ჩიკ კორეას წასვლის შემდეგ სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სხვდასხვა ქართველი მუსიკოსები და როგორც ეს ნამდვილ ჯემ სეშენებს შეეფერება, აქ ყველას შეეძლო მონაწილეობა. დასასულს პატარა 8 წლის ბიჭიც კი ავიდა და დასარტყამებზე ისე დაუკრა, რომ გვიან ღამის მაყურებლებს თუკი რამე კიდევ გააკვირვებდა, არავის ევონა.

დასრულდა მე-15 ჯაზ-ფესტივალი. დიდი მადლობა ამისთვის „ისთერნ ფრომოუშენის“ გუნდს. მე კი ფესტივალის დასრულებისას შევხვდი საქართველოში ჯაზ ფესტივალების დაარსების ინიციატორს და მამამთავარს, ბატონ გაიოზ კანდელაკს, რომლის ინტერვიუდანაც მოკლე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ:

გ.კ. — *თბილისის ჯაზ-ორკესტრის დაარსება იყო ჩემი იდეა. გივი გაჩეჩილაძე იყო მაშინ მარჯანიშვილის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და თემურ ჩხეიძე - თეატრის მთავარი რეჟისორი. არავის დაუვალებია ჩვენთვის. მივედით ნიკო ლეკიშვილთან და ვთხოვეთ, რომ მუსიკოსები გვყავს და გზის ფული მაინც რომ გადავუხადოთ, იმუშავებენ და ბიგ-ბენდი გვეყოლება-მეთქი. ამ იდეაზე წამოვიდნენ და დიდი მადლობა მათ, რომ გადაარჩინეს ეს იდეა და ქალაქს დღემდე ყავს საკუთარი ბიგ-ბენდი. ეს იყო 1996 წელი. ერთი წელი „მაგთიკომი“ გვსპონსორობდა, მაგრამ მერე გაუჭირდათ იმათაც და შემდეგ უკვე მერიის დოტაცია მოვიპოვეთ. საერთოდ, რა დიდი მუსიკოსებიც არ უნდა იყვნენ ორკესტრში, დოტაცია თუ არ იქნება, ის თავს ვერ შეინახავს. ასეა მთელს მსოფლიოში.*

პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი და იქ მქონდა ჯაზ-კლუბი. იქ გვქონდა ჯემ-სეშენები; არქიტექტორები, მხატვრები, მაშინდელი ინტელიგენცია იკრიბებოდა და ძალიან პოპულარულები ვიყავით, მერე ჯარში წავედი და რომ დავბრუნდი, მაშინდელმა კომკავშირის კომიტეტმა შემომთავაზა, რომ ბარათაშვილის ხიდის ქვეშ არსებულ ბაზაზე გამეკეთებინა ჯაზ -კლუბი. ძალიან კარგად ვმუშაობდით და პირველ ჯაზ -ფესტივალებზეც იქიდან დავიწყეთ სიარული. მაშინ ყველა ჯაზ-მუსიკოსი ჩვენთან იყო: საშა რაქვიაშვილი, კოლია ქაშაყაშვილი, ენრი ლოლაშვილი, თათუზა ყურაშვილი. ახლანდელი უფროსი თაობა — ყველა იქიდან მოდის.

ახლაც ჩვენ ბიგ-ბენდს, რომელიც უკვე 16 წელია არსებობს, უამრავი კონცერტი აქვს ჩატარებული. რეპერტუარი გვაქვს ძალიან დიდი: თითქმის ყველაფერს ვუკრავთ. ჩვენ ჩვენივე ინიციატივით დავდივართ და ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ან დასაწყისში ხან პოლიტექნიკურში, ხან სამედიცინო ინსტიტუტში, ხან სხვა ინსტიტუტებში ვუკრავთ. არავინ ამას არ გვთხოვს. როგორც მე „მშიოდა“ ამის მოსმენა, ახლა ამათ ვაძლევთ საშუალებას, რომ ცოცხლად უსმინონ და შეაფასონ ეს ხელოვნება. ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ, სხვათა შორის. პოლტექნიკურში ვერ წარმოიდგენთ როგორ მიგვიღეს. დაანგრიეს ბავშვებმა დარბაზი. ამით ჩვენ მომავალ თაობებს გემოვნებას ვუნვითარებთ და მერე შედეგიც სახეზეა. ფილარმონიაში წელს უკვე არცერთ კონცერტზე აღარ დარჩა ბილეთები გაუყიდავი. საერთო განათლება რომ გაიზრდება, დემოკრატიული ღირებულებებიც ამოქმედდება. მგონია, რომ პოლიტიკური ურთიერთობებიც აბსოლუტურად სულ სხვა განზომილებაში გადავა.

ჯაზი მარტო ხელოვნება კი არ არის — ფილოსოფიაა. აი, ჯემ-სეშენების დროს — იქ არა აქვს მნიშვნელობა შენ რა დონის მუსიკოსი ხარ. ყველა ერთი ხდება. ყველას ყველასთან შეუძლია მუსიკირება. ყველაზე თავისუფალი მუსიკა ჯაზშია და ნამდვილი დემოკრატიაც მხოლოდ ჯაზშია! რაც მოხდა ბექა გოჩიაშვილსა და ჩიკ კორეას შორის. ამიტომაც თქვა ჩიკ კორეამ: ***„უნდა იამაყოთ ქართველებმა, რომ ამისთანა ელჩი გყავთ მსოფლიოში!“***

ვფიქრობ, რომ ბოლო არჩევნები ასე რომ ჩატარდა და ძალაუფლება გადავიდა მშვიდად, ეს იმის დამსახურებაც არის, რომ ძალიან ბევრი კონცერტი ჩატარდა. ხალხი უფრო გაწონასწორებული გახდა და საერთო სულიერმა დონემ აიწია მოსახლეობაში. ამას დაეხმარა, რასაკვირველია, „იავნანას“ საქველმოქმედო ღონისძიებები, ჩვენი პატრიარქის ქადაგებები, კახიძის სიმფონიური კონცერტები — ეს ყველაფერი ერთად შეჯამდა და მივაღწიეთ იმას, რომ ერის კულტურულმა ზღვარმა აიწია. 1995 წელს რეი ჩარლზი რომ ჩამოვიყვანეთ, მაშინ აივანზე ბილეთები გაუყიდავი დარჩა, 2012- ში კი ჩიკ კორეაზე არცერთი ბილეთი არ დარჩა სალაროში.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ორკესტრის წვლილიც ამაში დიდია. დღეს უკვე ჩვენი ჯაზ-ფესტივალი 10 ქვეყანაშია შესული საუკეთესო ჯაზ-ფესტივალების სიაში. უკვე ბათუმის ჯაზ-ფესტივალიც მიემატა ამ თანრიგს. მაგრამ ამას ნურავის ნუ დავაბრალებთ. ეს გააკეთა ხალხმა. ეს გავაკეთეთ ჩვენ, ყველამ ერთად!

20 წლის იუბილეზე, რომელიც 2016-ში იქნება, ჩვენ გვინდა ჩამოვიყვანოთ დიდი ბრიჯუოთერი, ტონი ო მეილი, ბობ მინცერი, როი ერსი, ვისთანაც გვქონდა ჩვენ ურთიერთობა, ყველა! ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში ბოლო დღეს გვინდა თბილისის ბიგ-ბენდის იუბილე მოეწყოს. ვფიქრობ, რომ ბიგ-ბენდს ვარსკვლავიც უნდა გაუხსნან, არ არის ღირსი?! იქ იქნებიან სხვებიც — ქართული ხმები მოვლენ, ბექა გოჩიაშვილიც ჩამოვა. ვფიქრობ, ყველა ჩამოვა. ეს იქნება ჩვენი მეგობრების ნაკრების ნამდვილი ზეიმი! თუ ცოცხალი ვიქენი, გავაკეთებ, თუ არადა, უჩემოდ მაინც ჩაატარებენ!

მანამდე კი თებერვლიდან მაისის ჩათვლით არ დაგავიწყდეთ, ივენთ კლუბში ჯაზ-სერიებზე გეპატიჟებით, შემდეგ ბათუმში და შემდეგ ისევ თბილისში, უკვე მე-16 ჯაზ- ფესტივალზე!

ნარგიზა გარდაფხაძე

გადაცემის ავტორი ლალი გაბუნია.
გადაცემას უძღვებოდნენ მერი მიქელაძე და ეროსი მანჯგალაძე.
(იბეჭდება შემოკლებით).
გადაცემაში მონაწილეობდნენ ევგენი მიქელაძის თანამედროვენი. ადამიანები, ვისაც არაერთხელ ჰქონია მასთან შემოქმედებითი, თუ უბრალოდ მეგობრული ურთიერთობა: გრიგოლ ჩხიკვაძე, ანდრია ბალანჩივაძე, ირაკლი ანდრონიკოვი, ლუარსაბ იაშვილი, ოდისეი დიმიტრიადი, შალვა მშველიძე და სხვ.

მოგონებები ევგენი მიქელაძეზე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **გრიგოლ ჩხიკვაძე**:

/სტილი დაცულია/

1920–30 წლები სამახსოვრო პერიოდია ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა ერთი ჯგუფისათვის, რომელიც საქართველოს განათლების კომისარიატმა მიავლინა ლენინგრადის კონსერვატორიაში. მე ლენინგრადში 1930 წლის სექტემბერში ჩავედი. ჟენია უკვე სადირიჟორო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ. ქალაქს კარგად იცნობდა, იქაური მეგობრებიც საკმაოდ ჰყავდა და ბინის შოვნაში დამეხმარა.

ჟენია ლენინგრადში ახლად ჩასულ ქართველ მუსიკოსებს ყურადღებას არ აკლებდა, მათი პირველი გზის მეკვლე იყო, მეგობარზე მზრუნველობა მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ევგენი მიქელაძე იყო არა მარტო დიდი ხელოვანი, არამედ დიდსულოვანი, თავმდაბალი, გულისხმიერი ადამიანი.

ჟენია უხვად იყო დაჯილდოებული განსაკუთრებული თვისებებით. მაღალ ნიჭიერებასთან ერთად თავიდანვე ახასიათებდა დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა, რკინისებური ნებისყოფა, მდიდარი ინტუიცია, მუსიკალური ალღო და განსაკუთრებული სმენა. ეს უკანასკნელი გამოამჟღავნა ერთმა საარაკო შემთხვევამ, რამაც განაპირობა ჟენიას სადირიჟორო დარგზე გადასვლა.

ეს ასე მოხდა. კონსერვატორიაში შესვლამდე ჟენია სამუსიკო ტექნიკუმში ჩაირიცხა. 1927 წელს გადავიდა კონსერვატორიაში ვალტორნის განხრით, თუმცა მუდამ დირიჟორობაზე ოცნებობდა, მაგრამ ვერ ბედავდა ამ დარგზე შესვლას.

ერთ ბედნიერ დღეს ჟენია შესულა გამოჩენილი დირიჟორის პროფესორ ნიკოლაი მალკოს კლასში, სადაც გამოცდა მიმდინარეობდა და როიალს ამოფარებული, ჩუმად ჩამჯდარა. მალკოს თავის მაგიდაზე დატოვებული ჩოგბურთის ჩოგანი აუღია, ანაზდად მისი სიმები ჩამოუკრავს მაგიდის კიდეზე და უკითხავს: „ვინ გამო-

იცნობს ამ ბგერას?“, ცოტა ხნის შემდეგ მალკოს მოესმა როიალზე აღებული ივივე ბგერა. შებრუნებულა როიალისკენ, გაუგია, რომ ეს ბგერა აუღია ჟენიას, დაინტერესებულა მისი ვინაობით. აქვე შეუმოწმებია მისი მუსიკალური მონაცემები და გაკვირვებულს უკითხავს:“–სადირიჟორო ფაკულტეტზე რატომ არ სწავლობთო?“. როდესაც ჟენიამ მიუგო, რომ ამის მიზეზი გაუბედაობა იყო, ნიკოლაი მალკოს გადაუცია ჟენიასათვის თავისი ორი საავიზიტო ბარათი. ერთით მას შეეძლო მალკოს გაკვეთილებს დასწრებოდა, ხოლო მეორეთი ნება ეძლეოდა საოპერო თეატრში მალკოს მუდმივ ადგილზე დამჯდარიყო... ჟენია მიქელაძემ ასეთივე წარმატებით განაგრძო მეცადინეობა გამოჩენილი დირიჟორისა და პედაგოგის, პროფესორ გაუკის ხელმძღვანელობით და კონსერვატორია ბრწყინვალედ დაამთავრა.

მაგონდება ჟენიას სტუდენტობის დროს მომხდარი კიდევ ერთი შემთხვევა, რომლის შესახებაც კონსერვატორიაში კარგა ხანს ლაპარაკობდნენ. ამის მოწმე უშუალოდ მე ვიყავი. სადირიჟორო ფაკულტეტის უფროსი კურსის სტუდენტებს ევალებოდათ ოპერების დადგმაზე დამოუკიდებელი მუშაობა საოპერო სტუდიაში.

მიქელაძეს დაკისრებული ჰქონდა დირიჟორობა რიმსკი-კორსაკოვის ოპერისა „მეფის საცოლე“, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი მომღერალი, ვაგნერის ოპერებში მთავარი როლების უბადლო შემსრულებელი ივან ერშოვი. მე დავესწარი „მეფის საცოლის“ პირველ რეპეტიციას. კონსერვატორიის დიდი დარბაზის უკანასკნელ რიგში იჯდა ერშოვი. უცბად მან შეაჩერებინა რეპეტიცია და წამოვიდა დირიჟორისაკენ შენიშვნის მისაცემად. მიქელაძემ არ აცალა ერშოვს იქამდე მისვლა და აღელვებული ხმით შეეკითხა — „ამიხსენით. ერთი. ვინ არის აქ უფროსი?“ — აქამდე მე გახლდით“, — იყო პასუხი. „ახლა კი, მე გახლავართ“, — მიუგო მიქელაძემ და განაგრძო რეპეტიცია. მოულოდნელობით გაოცებული ერშოვი ხმის ამოუღებლივ დაბრუნდა თავის ალაგას. ეს ინციდენტი მშვიდად დასრულდა. ერშოვმა იფიქრა, რომ მართალია, პულტთან იდგა ჯერ ისევ კონსერვატორიის სტუდენტი, მაგრამ მას უკვე უნიჭიერესი დირიჟორის სახელი ჰქონდა მოპოვებული და შუა მუშაობაში მისი რეპეტიციის შეწყვეტა თვითონვე უხერხულად მიიჩნია.

ევგენი მიქელაძე

ანდრია ბალანჩივაძე:
/თარგმანი რუსულიდან/

ლენინგრადში სწავლის პერიოდში დავმეგობრდით, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ვუკრავდი ხოლმე სიმფონიებს ორ ან ოთხ ხელში ვინმესთან ერთად, ჟენია კი დირიჟორობდა. ხშირად ერთად ვესწრებოდით კონცერტებს.

1928-29 წლებში დაუვიწყარი სიმფონიური კონცერტები იმართებოდა ლენინგრადის ფილარმონიაში, კონსერვატორიაში, რომლებსაც მსოფლიოს გამოჩენილი დირიჟორები უძღვებოდნენ. ხშირად გვიმსჯელია, თუ რა ბედნიერებაა ისეთი ოსტატების მოსმენა, რო-

გორებიც იყვნენ ბრუნო ვალტერი, ოტო კლემპერერი, ჰანს კნაპერტსბუში, ჰერმან აბენდროტი... ვატყობდი, ჟენია ბაძავდა მათ. იმასაც ვამჩნევდი, როგორი არტისტული ხდებოდა მთელი მისი ნატურა. გარდა ამისა მას რაინდული თვისებებიც ჰქონდა, გალანტური იყო... ეს იყო ადამიანი წარმოუდგენელი სიკეთით სავსე, გულითადი.

ლენინგრადის კონსერვატორია ჩვენ 1931 წელს დავამთავრეთ და ერთად დავბრუნდით საქართველოში. გამოხდა ხანი და პირველი შემოქმედებითი ურთიერთობაც მოგვიხდა. ერთობლივი მუშაობა კინოფილმზე. ეს იყო პირველი ქართული ხმოვანი ფილმი „არშაულა“, მე ვიყავი მუსიკის ავტორი, მქონდა ბევრი მუსიკა, სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი კი იყო ჟენია მიქელაძე.

ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა 1935-36 წლებში, როცა ჟენია ჩემი ბალეტის „მთების გულის“ მუსიკაზე მუშაობდა. აქ უკვე მკაფიოდ გამოჩნდა მისი ნიჭი, რომელიც თანდათანობით იხსნებოდა თითქოს ბალეტის მუსიკის თითოეულ ტაქტთან ერთად.

მწერალი **ირაკლი ანდრონიკოვი:**
/თარგმანი რუსულიდან/

მე ის გავიცანი 1928 წლის შემოდგომაზე ლენინგრადში.

მახსოვს, შევედი ოთახში, ეს იყო ლილი გვარამაძესთან, ქართული საბალეტო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, სადაც დამხვდნენ კომპოზიტორი იონა ტუსკია, სუფთად გაპარსული სახით, რომელზეც მუდამ ღიმილი დასთამაშებდა და მუდამ მზად იყო რაიმე სასაცილო ისტორია ეამბნა და რამდენიმე თბილისელი ახალგაზრდა. მათ შორის დაბალ პუფზე დივანთან ახლოს იჯდა ევგენი მიქელაძე. დამამახსოვრდა მისი ლამაზი სახე, ღია ფერის თმებით. ის ადგა, მაღალი აღმოჩნდა, ტანადი, ვაჟკაცური იერით და სრულიად არ შეესაბამებოდა ჩვენს წარმოდგენას ზოგადად დირიჟორზე. ხელის ჩამორთმევაც ვაჟკაცური ჰქონდა. კიდევ რა დამამახსოვრდა... მისი არაჩვეულებრივად გამომსახველი ხელები. თუ რაზე ვსაუბრობდით მაშინ, დღეს ვერ აღვიდგენ, თუმცა ჩემს მეხსიერებაში ჟენიას სახე ნათლად არის აღბეჭდილი.

ის თავაზიანი და კორექტულია, საუბრის დროს, ცოტათი წინ იხრება... ახლოს როცა გავიცანი, მივხვდი, მისი თავშეკავებული მანერა დრო და დრო იცვლებოდა საუბრის თემასთან ერთად. საუბრობდა ემოციურად, იგრძნობოდა დაუოკებელი ტემპერამენტი. თავიდანვე ნათელი გახდა მისი ძლიერი ხასიათი, მსჯელობის ზუსტი დამაჯერებელი მანერა. მოსაუბრე თითქოს კარგავდა უნარს შეპასუხებოდა, ან წინააღმდეგობა გაეწია მისთვის.

— „რაზე უკრავს?“ — შევეკითხე ტუსკიას — „შესანიშნავი ვალტორნისტია, ჯერ კიდევ მოზარდი იყო, თბილისში, მიზანდარის ორკესტრში რომ უკრავდა“, — მიპასუხა ტუსკიამ და განაგრძო, — „მიზანდარს შვილივით უყვარდა. ჟენია ნიჭიერი დირიჟორია, გაუკი ძალიან აქებს“.

ჟენია მიქელაძე ასაკით ჩვენზე უფროსი იყო, თუმცა არა მხოლოდ ასაკით, გამოცდილებითაც. იმ დღის შემდეგ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. დილით კონსერვატორიაში, სადაც სპეციალური საშვით მიშვებდნენ მუსიკის ისტორიის და ფორმის ანალიზის ლექციებზე, ან გაუკის სადირიჟორო კლასში. საღამოთი კი ფილარმონიის სიმფონიურ კონცერტებზე. 1930 წლის ზაფხულში ჟენია თბილისს გაემგზავრა. მას უნდა ეხელმძღვანელა საზაფხულო სიმფონიური კონცერტებისათვის.

თბილისში მეც მალე ჩამოვედი და როცა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ დამავალა ამ კონცერტების რეცენზია დამეწერა, მივხვდი, პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა, რომელიც მაშინ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა გაზეთში, არჩევანი ჩემზე ჟენია მიქელაძის რეკომენდაციით შეაჩერა.

1936 წელს მოსკოვში, როცა ქართული ხელოვნების პირველი დეკადის გახსნაზე სადირიჟორო პულტთან მიქელაძე გამოჩნდა, იგრიალა ტაშმა... ისე, როგორც არასდროს, მწყობრად აჟღერდა „დაისის“ უვერტიურა, გმირული და ტრაგიკული სპექტაკლის საორკესტრო შესავალი. აიხადა ფარდა და დაიწყო შესანიშნავი წარმოდგენა, ერთ-ერთი საუკეთესო, რაც კი რამ ოდესმე მინახავს, ან მომისმენია.

ორკესტრის ორმოდან სინათლის სხივით განათე-

ბული, ასე დამამახსოვრდა მიქელაძე სამუდამოდ, დიდების ზენიტში მდგარი...

ერთხელ ალექსანდრ გაუკთან, ევგენი მიქელაძეზე ჩამოვარდა სიტყვა. –„იცი, – მითხრა მან, – მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, თითქმის არ შემხვედრია ასეთი მაღალნიჭიერი დირიჟორი;“ მას ხომ დიდი მომავალი ელოდა“...

პროფესორი **ლუარსაბ იაშვილი:**

/სტილი დაცულია/

არ შეიძლება, რომ მე დავესწრო ამა თუ იმ სიმფონიური მუსიკის კონცერტებს და მაშინვე თვალწინ არ წარმომიდგეს ჟენია მიქელაძის სახე. ივი დაბადებული იყო დირიჟორად და ჰქონდა ყველა ის მონაცემი, რაც კი უნდა ჰქონდეს დიდი მასშტაბის დირიჟორს. გარდა დიდი ტალანტისა, ფიზიკურადაც არაჩვეულებრივი მონაცემები ჰქონდა. მაგალითად მოქნილი, სპორტსმენის ტანი...მე მინახავს მისი ვარჯიში კლუბ „შევარდენში“ ტაიჭზე, ღერძზე. მეტადრე ტაიჭზე არაჩვეულებრივად ვირტუოზულ ილეთებს ასრულებდა. ჰქონდა ელასტიური და „გამგებიანი ხელები“, რაც ასე აუცილებელია კარგი დირიჟორისათვის.

ჟენიას საქართველოში ჩამოსვლის რამდენიმე თვის შემდეგ, მე გავემგზავრე ლენინგრადში, კონსერვატორიის ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით მოვიგონო ასეთი ფაქტი: როდესაც მე შევედი კონსერვატორიის რექტორთან გამოცდებზე დასაშვებად, მან განმიცხადა: „თქვენმა წარმომადგენელმა ჟენია მიქელაძემ ისეთი შთაბეჭდილება და სახელი დასტოვა ჩვენს კონსერვატორიაში, რომ საქართველოდან წარმოგზავნილ მუსიკოსებს გენდობით და ამიტომაც არავითარ ოფიციალურ გამოცდას თქვენ აღარ მოგიწყობთ. წადით პირდაპირ თქვენ სპეციალობის პროფესორთან და მისი სიტყვა საკმარისი იქნება თქვენს ჩასარიცხადო“.

1935 წელს მე დავამთავრე ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურა და ჩამოვედი თბილისში. აქ განვაგრძე მუშაობა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტში, თბილისის კონსერვატორიაში გავხსენი სპეციალური ალტის კლასი, ხოლო ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრში, სადაც ჟენია მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, ჩავირიცხე ალტის ჯგუფის კონცერტმაისტერად. ასე, რომ მის მუშაობას და ხასიათს კიდევ უკეთ გავეცანი. ჟენიას ძალიან უყვარდა ბავშვები. 1936 წელს მისი ინიციატივით ოპერის თეატრში ბავშვთა თვითმოქმედების ოლიმპიადა გაიმართა, სადაც მე გამოვიყვანე ჩემი 4 წლის მარინე. მან ძალზე „სერიოზულად“ და ამავე დროს ბავშვური არტისტიზმით ჯერ იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ნარგიზი“ წაიკითხა, ხოლო შემდეგ ორკესტრის თანხლებით „კაზაჩოკი“ ჩაბუქნა. ეს ყველაფერი ძალიან კარგად გამოუვიდა, დიდი ოვაციებიც დაიმსახურა და რაც ყველაზე მთავარია, ჟენია მიქელაძემ, როგორც ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა მარინეს უზარმაზარი თოჯინა და ოპერის თეატრში დილის წარმოდგენებზე მუდმივი საშვი გადასცა.

დირიჟორი **ოდისეი დიმიტრიადი:**

/თარგმანი რუსულიდან/

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ დირიჟორობაზე არასოდეს მიფიქრია, ვიდრე არ ვნახე მიქელაძე სადირიჟორო პულტთან, რაც ჩემთვის ბრწყინვალე მაგალითად იქცა.

მან პირდაპირ დამიპყრო და მეც გადავწყვიტე დირიჟორი გავმხდარიყავი. მხოლოდ 1933 წელს მომეცა საშუალება ლენინგრადის კონსერვატორიაში შევსულიყავი და სწორედ პროფესორ გაუკის კლასში. როცა ევგენი მიქელაძეს შევხვდი, მართალია ახალგაზრდა იყო ასაკით, თუმცა უკვე აღიარებულ ოსტატად იცნობდნენ. მე მოვუსმინე ჟენიას ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის სადირიჟორო პულტთან. კონცერტის შემდეგ ბევრს ვსაუბრობდით, გაოცებული ვიყავი, ის ძალიან თვითკრიტიკული იყო, მეუბნებოდა რაღაც თავისი შეცდომების შესახებ, რომლებიც მე არც შემინიშნავს...

შემდეგ ჩვენ 1937 წლის დასაწყისში შევხვდით ერთმანეთს. მე ახალი ჩამოსული გახლდით სოხუმიდან, სადაც ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად ვმუშაობდი. მახსოვს, ამ ორკესტრის დაშლა ჰქონდათ გადაწყვეტილი და დახმარებისთვის ჟენიას მივმართე. სამწუხაროდ, ეს მასზე არ იყო დამოკიდებული და... სწორედ ამ დროს მან შემომთავაზა დები-

უტი თბილისის ოპერის თეატრში. ვიდირიჟორე „ევგენი ონეგინი“ და ჩამრიცხეს კიდეც დირიჟორად იმ თეატრში, რომელზედაც ვოცნებობდი. ჟენია ჩემი კერპი გახდა, ვაკვირდებოდი, ყოველ მის მოძრაობას, მის დახვეწილ მანერებს დირიჟორობის დროს, თითოეულ დეტალს...

აქ, ამ თეატრში გაიხსნა ჩემთვის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი სკოლა, და ვგონებ ყველაზე მნიშვნელოვანი...

კომპოზიტორი **შალვა მშველიძე**:

/სტილი დაცულია/

მე იგი გავიცანი ლენინგრადში, როდესაც მე, გრიგოლ ჩხიკვაძე და შალვა აზმაიფარაშვილი, ერთად გავემგზავრეთ სასწავლებლად ლენინგრადის კონსერვატორიაში. პირველი ადამიანი, ვინც ჩვენ მფარველობა და სითბო გვაგრძნობინა, იყო ჟენია მიქელაძე. ჩემს სიცოცხლეში ბევრი მინახავს მუსიკოსი, მაგრამ ის განსაკუთრებული მოვლენა იყო... ყოველთვის ვესწრებოდი მის რეპეტიციებს, კონცერტებს. სხვათა შორის, ის შესანიშნავად ასრულებდა ჩემს ნაწარმოებებს „ფშაურს“, „აზარს“, „ხორუმს“, კინოფილმ „ქაჯეთის“ მუსიკიდან „მხედრების გავლას“... მაშინ მე „ზვიადაური“ ჯერ დაწერილი არ მქონდა. ერთ დღეს მიმიწვია მან თავისთან თეატრში და მითხრა:

„Вы сейчас пишете симфоническую поэму, да? Я слыхал, что это будет по поэме Важа Пшавела „Гость и хозяин?“

_ Да _ Знаете что, я вам дам партитуру „Дон Жуана“, это блестящая партитура и она вам очень поможет в работе... მე დიდი მადლობა გადავუხადე. – Месяца два вам наверно хватит, может и больше. Ну вот потом вы мне вернете обратно“.

ეს პარტიტურა რომ გადავშალე, თვალში მომხვდა მისი ხელით დაწერილი ნიუანსები, შტრიხები, მოძრაობები ორკესტრში , ყველაფერი გაკეთებული ლურჯი და წითელი ფანქრით და ეს პარტიტურა მე შემრჩა ხელში. ახლა ის არქივში ინახება.

ერთი სიტყვით, ევგენი მიქელაძე იყო ისეთი მოვლენა, მეტეორივით რომ გაჩნდება და გაიელვებს, შესანიშნავად დააჩენს თავის კვალს და სადღაც გაქრება. აი, ასეთი იყო ის...“

ზ.ფალიაშვილის ოპ. „დაისის“ უნიკალური ჩანაწერი

1979წ. ევგენი მიქელაძის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მსმენელებს შესთავაზა ზ.ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ უნიკალური ჩანაწერი. მცირე ანოტაციით.

/ჩაწერილია 1983 წელს, ე.მიქელაძის 80 წლისთავთან დაკავშირებით/

ზ.ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, რომელსაც გთავაზობთ, ჩაწერილია მოსკოვში 1937 წლის 4 და 5 იანვარს შესაბამისად ჯერ გენერალურ რეპეტიციაზე, შემდეგ კი დეკადის გახსნის პირველ სპექტაკლზე. ცნობილია, რომ „დაისის“ პარტიტურაში მიქელაძემ რამდენიმე ცვლილება შეიტანა. კერძოდ, „დაისის“ უვერტიურასა და მაროსა და მალხაზის დუეტში 1 მოქმედებიდან.

დეკადის ოფიციალური გახსნა დანიშნული იყო 5 იანვარს, ხოლო წინა დღეს, 4 იანვარს გაიმართა გენერალური რეპეტიცია, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ პრესის, რადიოს წარმომადგენლები, ხელოვნების მუშაკები. სპექტაკლში მონაწილე პირველი შემადგენლობის ძალების დასაზოგად გენერალურ რეპეტიციაზე მიქელაძემ ძირითადად მეორე შემადგენლობა გამოიყვანა, ჩანაწერს კი მონტაჟის დროს ორივე შემადგენლობის გამოსვლა შემორჩა. ხმოვანების ცუდი ხარისხის გამო ოპერის მე-2 მოქმედების ერთ-ერთ ეპიზოდში გამოყენებულია 1937 წლამდე გაკეთებული ჩანაწერი,სადაც კიაზოს პარტიას სანდრო ინაშვილი მღერის. ამგვარად, ამ ჩანაწერში კიაზოს სამი შემსრულებელი ჰყავს – პეტრე ამირანაშვილი, დავით გამრეკელი და სანდრო ინაშვილი.

ფირფიტის ყდას ევგენი მიქელაძის სურათი ამშვენებს წარწერით:

„ზაქარია ფალიაშვილი. ოპერა „დაისი“.დირიჟორი — ევგენი მიქელაძე. უნიკალური ჩანაწერები.“

მოკლე ანოტაციაში საქართველოს ხელოვნების

დამსახურებული მოღვაწე აკაკი ძიძიგური მიმოიხილავს ევგენი მიქელაძის შემოქმედებით გზას და დასძენს: „გრამფირფიტები ე.მიქელაძის დაბადების 80 წელს ეძღვნება. მათი გამოცემის ინიციატორი გახლავთ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი. ,,დაისის" ჩანაწერში, რომლის რესტავრაციაც ხმის რეჟისორს მიხეილ კილოსანიძეს ეკუთვნის, რესტავრატორთა შრომის წყალობით მსმენელებს ექმნებათ წარმოდგენა ჩვენი სასიქადულო დირიჟორისა და მონაწილე მსახიობების განუმეორებელ ოსტატობასა და შემოქმედებით აღმაფრენაზე.

ვიდრე ოპერა ,,დაისის" უნიკალურ ჩანაწერი ჩაირთვებოდა, რედაქციამ მსმენელებს მონაწილე მსახიობების მოგონებების ჩანაწერები შესთავაზა.

ქართული ხელოვნების პირველ დეკადას და ევგენი მიქელაძეს იხსენებენ: ნადეჟდა ცომაია და დავით გამრეკელი.

ნადეჟდა ცომაია:

/სტილი დაცულია/

ისე ვიყავით მომზადებული, ისე, რომ... ჩვენ არ გვჯეროდა რომ ასეთი ძალები გვყავდა. სულ ახალგაზრდები იყვნენ: დავით გამრეკელი, მერი ნაკაშიძე, ეკატერინე სოხაძე, ნიკო ქუმსიაშვილი შეუდარებელი იყო. შეჯიბრი იყო პირდაპირ, ხმების შეჯიბრი. ან რა გრძნობით მღეროდა მთელი გუნდი, მთელი სოლისტები, როგორ აგიწეროთ არ ვიცი, ეს განუმეორებელი ამბავი იყო.

ორკესტრის უკეთესი მომზადება მე არ წარმომიდგენია. ჩვენ თვითონ ვუკრავდით ტაშს. მე არაფერს არ ვუმატებ. ეს რაღაც ჩვენდაუნებურად გვემატებოდა ენერგია და შესრულება.

რას შვრებოდა მიქელაძე, იცით? მოქმედების დროს, იმდენად მომზადებული ჰყავდა ორკესტრი, სადაც დგას დირიჟორი, გადმოწევდა იქიდან ფეხს, კიბიდან კი არ ჩამოვიდოდა რომ დრო არ დაეკარგა, გადმოალაჯებდა პირდაპირ ზემოდან. პარტერში ავიდოდა და ორკესტრი თავისით უკრავდა, ბრწყინვალედ უკრავდა, ბრწყინვალედ.

დავით გამრეკელი:

/სტილი დაცულია/

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თავიდანვე ევგენი მიქელაძემ. მას ძლიერ უყვარდა ახალგაზრდები, მაგრამ განსაკუთრებით მომთხოვნი იყო მათ მიმართ. მომღერლისაგან ის საოცარ სიზუსტეს მოითხოვდა, თვით უმნიშვნელო დეტალებშიც კი. მახსოვს პირველი დეკადის წინ კონცერტმაისტერ ტატიანა დუნენკოსთან ერთად კიაზოს პარტიას გავდიოდი. მთელი ორი კვირის განმავლობაში კიაზოს ცნობილ სიმღერას ,,დამისხი, დამალევინე", მიქელაძის მითითებით მხოლოდ ნელ ტემპში ვმღეროდი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პარტიტურის მიხედვით შემეთვისებინა ყოველი დეტალი. თანდათან ვუმატებდი ტემპს, შემდეგ მიქელაძეს ჩავაბარე და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ რეპეტიციები ორკესტრთან.

„დაისით" გაიხსნა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1937 წელს. მე მეორე დღეს ვმღეროდი.

„მშვენიერი ეპოქის დასასრული“*

გარდაიცვალა თენგიზ ამირეჯიბი. დღეს ეს ჩვენი საერთო ტკივილია და არ ვფიქრობ, რომ მთელ ქართულ საზოგადოებას არ ესმოდეს ამ დანაკარგის მნიშვნელობა.

ზოგჯერ ადამიანს სკეპსისი შეიპყრობს: ხომ არ არის დღევანდელი პრაგმატული სამყაროსათვის კლასიკური მუსიკა ზედმეტი ფუფუნება? ან რაში სჭირდება გამაყრუებელი რეკლამებითა და მდარე შოუწარმოდგენებით აღტკინებულ ქვეყნიერებას პოეზია, მუსიკა, ან საერთოდ, ხელოვნება? მაგრამ გავიხსენოთ, რომ ეს მაღალი მატერიები გაადამიანების აუცილებელ პირობად რჩებოდა ყველა დროში, რადგან მის გარეშე ცხოვრება მხოლოდ დესპოტიის და დემაგოგიის სახეს მიიღებდა. ამ რთულ პროცესში ტალანტითა და ღირსებით გამორჩეული პიროვნებები თავისი უმწიკვლო მოღვაწეობით შეუფასებელ სამსახურს უწევდნენ კაცობრიობის პროგრესს. ასეთთა რიგებს მიეკუთვნება ბატონი გიზიც.

თითქმის 60 წელია, რაც ქართული კულტურული რეალობა წარმოუდგენელია ამ უკვე ლეგენდადქცეული სახელის გარეშე. რა გამოარჩევდა ბრწყინვალე პიროვნებას რუხი ჩვეულებრიობისაგან? პირველ რიგში, ეს იყო აგრერიგ იშვიათი „სულის არისტოკრატიზმი“. ის იყო ჭეშმარიტი ესთეტი, რაც ვლინდებოდა მის გარეგნულ პეწშიც, კეთილშობილურ ქცევაშიც, იუმორშიც, გემოვნებაშიც, ადამიანებთან ურთიერთობის წრფელ სისადავეში... სულის არისტოკრატიზმი გულისხმობს, ალბათ, პრინციპულობას და უკომპრომისობასაც კი. იგი ხომ არასოდეს მიდიოდა გარიგებაზე თავის სინდისთან. პროფესიულმა სიმაღლემ, პიროვნულმა ღირსებებმა და ზნეობრივმა რეპუტაციამ ბატონ გიზის დიდი ავტორიტეტი მოუტანა არამარტო ქართულ საზოგადოებაში, არამედ, ჩვენს საზღვრებს გარეთაც.

ბატონი გიზი დაიბადა 1927 წლის 30 სექტემბერს. პატარა ვუნდერკინდი თავიდანვე მოექცა მუსიკალური საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სწავლობდა ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ანა თულაშვილის კლასში. 1950 წელს კი დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია საბჭოთა პიანიზმის კორიფეების — კონსტანტინე იგუმნოვის და ლევ ობორინის ხელმძღვანელობით. თბილისში დაბრუნების შემდეგ დაიწყო მისი ნაყოფიერი არტისტული და პედაგოგიური მოღვაწეობა. კონცერტებით გამოდიოდა რუსეთში, კანადაში, პოლონეთსა და ჩეხეთში, აგრეთვე, აშშ-ში. 1957 წლიდან მუშაობდა თბილისის სახ. კონსერვატორიაში. 1972 წლიდან საფორტეპიანო კათედრის გამგეა და 1977 წლიდან — პროფესორი. ეწეოდა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პროპაგანდას და მათი საუკეთესო და ხშირად პირველი შემსრულებელი გახლდათ. ბატონი გიზი იყო საქართველოს სახალხო არტისტი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. ცოტა ნიშანდობლივი, უცნაური, მაგრამ იქნებ, მშვენიერი პარადოქსიც იყოს, რომ საკმაოდ დაგვიანებით, 2012 წელს, ბატონმა გიზიმ, თავის აღზრდილებთან ერთად, მიიღო უმაღლესი ჯილდო — რუსთაველის პრემია. იგი მრავალი ქართველი პიანისტის აღმზრდელია და, მათ შორის, ოცზე მეტი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია, რომლებიც წარმატებით იპყრობენ მსოფლიოს მუსიკალურ მერიდიანებს. ესენი არიან: მანანა დოიჯაშვილი, საშა კორსანტია, ელისო ბოლქვაძე, ხატია ბუნიათაშვილი, მარინა ნადირაძე, თამარ ლიჩელი, გიორგი ჟორდანია, სანდრო ყანჩაველი, ქეთევან ქართველიშვილი, მზია ჯაჯანიძე და ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ირმა გი-

განი... სულ ახლახანს, 2012 წლის ბოლოს კი, კონსერვატორიამ და მთელმა მუსიკალურმა საზოგადოებამ სიყვარულით აღნიშნა თითქოს „მარადახალგაზრდა“ მაესტროს იუბილე... მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მისმა მოწაფეებმა თავისი მონაწილეობით რომ დაუმშვენეს იუბილე, დიდი პატივისცემის ნიშნად...

... ეს რაღაც ზოგადი მონაცემებია, მაგრამ თუ მის შემოქმედებით ცხოვრებას სიღრმეებში შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ მის პირად საშემსრულებლო პრაქტიკაში და პედაგოგიკაში მოთხოვნილებების თამასა ყოველთვის გადიოდა მაღალ კრიტერიუმებზე. თვითონ ასრულებდა და მოწაფეებთან გადიოდა მხოლოდ იმას, რასაც ესვა მაღალმხატვრულობის ბეჭედი.

გიზი ასწავლიდა მუსიკის გაგებას და სიყვარულს. პედაგოგიკა არასოდეს იყო მისთვის ყოველდღიურობის უფერული პროცესი. მასთან ურთიერთობაში მის აღზრდილებს წინ ეშლებოდათ მუსიკით გამოხატული ცხოვრების უმშვენიერესი პანორამა თავისი დრამატიზმით თუ რომანტიზმით. მუსიკა ესმის ბევრს, მაგრამ პიანისტს უნდა შეეძლოს მისი შესრულება და აქ იწყება ყველაზე რთული რამ: საშემსრულებლო კულტურის, ტექნიკის დაუფლების გზა. რეპროდუცირება ბატონი თენგიზისთვის საკმარისი არ იყო. იგი თვითონ ქმნიდა, ყოველთვის ცოცხალ სულს შთაბერავდა ათასჯერ გამოძერწილ ნაწარმოებსაც, ამასვე ითხოვდა სტუდენტებისგანაც და სწორედ ამით ამკვიდრებდა მაღალ იდეალებს. ალბათ, ასეთი შემოქმედებითი წვა უნარჩუნებდა მას ახალგაზრდულ სულს.

გავიდა 60-ზე მეტი წელი დაძაბული პედაგოგიური მოღვაწეობისა. მოწაფეები, გამოცდები, კონცერტები, უსასრულო მოსმენები, კონკურსები, საკუთარი გამოსვლები და ისევ და ისევ სტუდენტები... მუსიკის სუბსტანციაში კი გიზი დარჩა გაუცვეთელი. მას უყვარდა ახალგაზრდობა და ისიც პასუხობდა სიყვარულით. მათ იზიდავდა მაესტროს პიროვნული მომხიბვლელობა და უფრო მეტად კი მხატვრის ტალანტი. გაკვეთილიდან ისინი მიდიოდნენ სავსენი მუსიკით, შთაბეჭდილებით. მასთან სწავლის წლები — ეს იყო თავისებური ხელოვნების უნივერსიტეტი, ხოლო მეგობრებისთვის მასთან ურთიერთობა იყო ზეიმი.

გიზი იყო იმ კოჰორტიდან, ვინც ეპოქის სიმბოლოები



თენგიზ ამირეჯიბი

გახდნენ. იგი ,,მშვენიერი ეპოქის“ უკანასკნელი მოჰიკანი გახლდათ, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ბატონი გიზის სკოლა სიცოცხლეს განაგრძობს მის მოსწავლეებში და თავის წვლილს მიაგებს მსოფლიოს კულტურის საგანძურს...

* იოსებ ბროდსკის ლექსის სათაური

2013 წელი პოლონეთში გამოცხადებულია თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორის ვიტოლდ ლუტოსლავსკის წლად. 25 იანვარს კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წლის იუბილე შესრულდა. მთელ პოლონეთში ტარდება კონცერტები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები მიძღვნილი კომპოზიტორის იუბილესადმი. მაგრამ საზეიმო დღეების ცენტრია ვარშავა, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული პოლონელი კომპოზიტორის ცხოვრება.

ვიტოლდ ლუტოსლავსკის წვლილი მართლაც რომ განუზომელია პოლონურ ნაციონალურ მუსიკაში და XX საუკუნის მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში. მისმა ორიგინალურმა და ნოვატორულმა ხელოვნებამ, თამამმა, ექსპერიმენტულმა ენამ უდიდესი გავლენა იქონია მუსიკოსთა უმრავლესობაზე: კომპოზიტორებზე, შემსრულებლებზე, მსმენელებზე, როგორც პოლონეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ლუტოსლავსკის იუბილე აღინიშნება აგრეთვე 18 ქვეყნის 40 ქალაქში: ჩატარდება სიმფონიური და კამერული კონცერტები, კონფერენციები, სამეცნიერო სიმპოზიუმები; ნაჩვენები იქნება დოკუმენტური ფილმები, დაგეგმილია ახალი კომპაქტდისკების გამოცემა.

ვან კლაიბერნის პიანისტთა XIV საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება ამერიკაში, ფორტ-უერტში (ტექსასი), 24 მაისიდან 9 ივნისის ჩათვლით. მასში მონაწილეობას მიიღებს აშშ-ს გარდა 12 ქვეყანა: იტალია, რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ავსტრალია, ჩილე, საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა, პოლონეთი და ტაივანი. ამჯერად აუცილებელ პროგრამაში შესასრულებელი ნაწარმოები დაწერა კომპოზიტორმა კრისტოფერ ტეოფანიდისმა. ფორტ-უორტის სიმფონიურ ორკესტრს, რომელთანაც ორი დღის განმავლობაში დაუკრავენ ფინალისტები, უდირიჟორებს ლეონარდ სლადკინი. ჟიურის თავმჯდომარე იქნება ჯონ ჯორდანო (აშშ), ხოლო ჟიურის წევრები: მიშელ ბეროფი (საფრანგეთი), არიე ვარდი (ისრაელი), ანდრეა ბონატტა (იტალია), იოხევედ კაპლინსკი (ისრაელი – აშშ), დიმიტრი ალექსეევი (რუსეთი).

.

ბულგარეთში, ბოშებთან, მიაგნეს ანტონიო სტრადივარიუსის ვიოლინოს, რომელიც 2010 წელს მოიპარეს ლონდონში. ინსტრუმენტის ღირებულება 1, 8 მილიონი დოლარია. ვიოლინოს პოვნის ფაქტს ადასტურებს სკოტლანდიარდიც.

თითქმის 300 წლის წინ შექმნილი ინსტრუმენტი მოპარეს ცნობილ კორეელ მევიოლინეს, მინ ჩიმ კინს, რომელიც ლონდონის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მართავდა კონცერტს. 94 000 დოლარის ღირებულების ორი ხემი და ფუტლიარი მოპარეს იუსტონის სადგურში, როდესაც მუსიკოსმა ცოტა ხნით უყურადღებოდ დატოვა ნივთები, რომლებიც მალევე იპოვეს ლონდონშივე, ხოლო ვიოლინო, ბი--ბი-სის ინფორმაციით, ბულგარელი სამართალდამცავების ხელში წარმატებული ოპერაციის შედეგად დაუბრუნდა მფლობელს.

ტაგანკის სასამართლომ, დიდი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელზე, სერგეი ფილინზე თავდასხმის ფაქტზე, 18 აპრილს, ეჭვმიტანილის სტატუსით დააპატიმრა დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი პავლე დიმიტრიჩენკო. სერგეი ფილინმა, რომელსაც სახეში გოგირდმჟავა შეასხეს და საშინელი დამწვრობა მიიღო, უკვე მისცა ჩვენება და თქვა, რომ მასსა და პავლე დიმიტრიჩენკოს შორის იყო უთანხმოება. დიმიტრიჩენკოს ჯერჯერობით ერთთვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა, თუმცა დიმიტრიენკოს კოლეგებს მისი დანაშაულის არ სჯერათ: ,,დიმიტრიჩენკო მუდმივ დავაში იყო ხელმძღვანელობასთან, მაგრამ იგი თავის პოზიციებს არასდროს მალავდა და ღიად აფიქსირებდა. ამის გამო იგი მუდმივად რიგით როლებს ასრულებდა; მხოლოდ ფილინის დროს მიეცა შესაძლებლობა ეცეკვა წამყვანი პარტიები" — აღნიშნავს დიდი თეატრის მევიოლინე რომან დენისოვი.

მოდის სახლმა HENDERSON-მა და რუსეთის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა ,,მოსკოვის ვირტუოზები", მაესტრო ვლადიმირ სპივაკოვის ხელმძღვანელობით, გააფორმეს ხელშეკრულება პარტნიორობაზე.

კლასიკური მუსიკისა და მოდის ეს კავშირი იმითაა უნიკალური, რომ მსოფლიოში აღიარებულმა ორკესტრმა, მოდის პარტნიორად აირჩია მშობლიური მარკა HENDERSON-ი. 2013 წლიდან „მოსკოვის ვირტუოზები" კონცერტებზე მხოლოდ HENDERSON exclusively for Moscow Virtuosi-ს კოლექციის კოსტიუმებით გამოვლენ. ორკესტრისა და მოდის სახლის HENDERSON-ის თანამშრომლობის დაწყების აღსანიშნავად 2013 წლის 7 მარტს გაიმართება კონცერტი — „პარიზიდან სიყვარულით". ამ კონცერტზე „მოსკოვის ვირტუოზები" პირველად გამოვლენ სცენაზე HENDERSON-ის კოსტუმებით და შეასრულებენ მიშელ ლეგრანის ნაწარმოებებს. სპეციალურად მოწვეული სტუმარი და დირიჟორი იქნება თვით მაესტრო მიშელ ლეგრანი.

მაისიდან დეკემბრამდე ლონდონში ჩატარდება ფესტივალი „ვაგნერი — 200", რომელიც მიეძღვნება კომპოზიტორის დაბადებიდან 200 წლისთავს. საზეიმო ფესტივალში ჩართული იქნება ქალაქის წამყვანი კულტურული დაწესებულებები: სამეფო ოპერა, საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი „Southbank"-ი, Royal Albert Hall-ი, ბრიტანული ბიბლიოთეკა, ორკესტრი „ფილარმონია", ლონდონის სიმფონიური ორკესტრი, ბი-ბი-სის სიმფონიური ორკესტრი, ვაგნერის საზოგადოება, ლონდონის სიმღერის ფესტივალი და თვით ლონდონის ებრაული კულტურის ცენტრიც კი. ფესტივალი გაიხსნება 22 მაისს, ვაგნერის დაბადების დღეს, როიალ ფესტივალ-ჰოლში ორკესტრ „ფილარმონიის" კონცერტით, რომელსაც უდირიჟორებს სერ ენდრიუ დევისი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება სამი სიმპოზიუმი, მიძღვნილი კომპოზიტორის მუსიკის შესრულების საკითხებისადმი (29-30 ივნისი), ნაჩვენები იქნება კინოსპექტაკლები „ტრისტანი და იზოლდა" და „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები", ებრაულ კულტურულ ცენტრში ორი ღონისძიება მიეძღვნება თემას „ვაგნერი და ებრაელები" (6 ოქტომბერი — 10 დეკემბერი), სამეფო თეატრში ჩატარდება გვინეტ ჯონსისა (28 მაისი) და ჯონ ტომლინსონის (25 დეკემბერი) მასტერ-კლასები, გაიმართება ლონდონის სიმფონიური ორკესტრის (28 ნოემბერი) და ბი-ბი-სის სიმფონიური ორკესტრის (20 დეკემბერი) კონცერტები და სხვ.

27 თებერვალს, 78 წლის ასაკში, გარდაიცვალა მსოფლიოში აღიარებული პიანისტი ვან კლაიბერნი. როგორც ვან კლაიბერნის ფონდის თავმჯდომარე კარლა კემპ ტომპსონი იტყობინება, იგი გარდაიცვალა საკუთარ სახლში, გამთენიისას, ახლობელი და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში.

ვან კლაიბერნი დაიბადა შრივპორტში (ლუიზიანა), 1934 წლის 12 ივლისს. ფორტეპიანოზე სწავლა დაიწყო 3 წლის ასაკში თავისი დედის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი ფერენც ლისტის მოსწავლესთან, არტურ ფრიდხეიმთან მეცადინეობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1951 წელს, სწავლა განაგრძო ნიუ-იორკში, ჯულიარდის სკოლაში. 1949 წელს მას პირველი პრემია მიენიჭა კონკურსში Levintritt Competition, ხოლო ჩაიკოვსკის კონკურსზე, 1954 წელს იგი ჩაიკოვსკის კონკურსის პირველი გამარჯვებული გახდა. ეს იყო ისტორიული გამარჯვება ცივი ომის მძვინვარების ხანაში, რამაც გაარღვია ბარიერი აშშ-სა და სსრკ-ს შორის. ვან კლაიბერნის დაბრუნება მოსკოვიდან იყო ყველაზე ტრიუმფალური რამ მათ შორის, რისთვისაც მიუღწევიათ კლასიკოს მუსიკოსებს.

მისი მეგობრის, პიანისტ ტომას სმიტის სიტყვებით, „ვან კლაიბერნმა დატოვა უდიდესი ჰუმანისტის, უდიდესი მუსიკოსისა და მეგობრის სახელი ყველასათვის, ვინც კი მას იცნობდა... ჩვენ ვუერთდებით მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის ტრაურს ჭეშმარიტი გიგანტის დაკარგვის გამო". 2013 წლის 24 მაისიდან 9 ივნისამდე ჩატარდება ვან კლაიბერნის XIV კონკურსი, რომელიც პირველად ჩაივლის მისი დამაარსებლის გარეშე და იგი მიეძღვნება ვან კლაიბერნის ხსოვნას.

ფრანგი კომპოზიტორი და დირიჟორი, მუსიკალური ავანგარდის წამყვანი ფიგურა პიერ ბულეზი BBVA-ს ლაურეატი გახდა. ესპანური სამეცნიერო თანამეგობრობის ფონდის „ცოდნის საზღვრების" პრემიები რვა კატეგორიაში გაიცემა, თითეულში 400. 000 ევროს ოდენობით. პიერ ბულეზს პრემია მიენიჭა „თანამედროვე მუსიკის" კატეგორიაში.

Date
Manana Kordzaia

Alex Machavariani -100



The article commemorates the centennial of Alex Machavariani, the Georgian classic composer. The first performance of his ballet "Othello" in the capital Tbilisi attracted the crowds so large to have been kept away by mounted police. He was also one of the first Georgian composers whose music was performed outside the Iron Curtain in Europe and the USA. The international interest to his classical pieces has not subsided to this day, with quite a few older or younger generation musicians playing his violin concerto created in the 1950's of which the great David Oistrakh was highly appreciative.
After the composer's death,"Othello" staged at various theaters was awarded gold medal of the Brydense Gallery at La Scala. Alex Machavarini's copyright is now preserved by the elite Sikorsky firm.

Festival
Nana Gvinianidze

Festival in the Grand Conservatoire Hall

Soon after the post-renovation opening of the Tbilisi V. Sarajishvili Conservatoire in December 1997, a series of concerts was held at its grand hall. The Christmas-New Year galas called "The New Year Musical Gatherings" have become traditional ever since.

This year's jubilee festival predominantly attracted some of the distinguished Georgian musicians from around the world. Manana Doijashvili, the Rustaveli and Zachariah Paliashvili award winning pianist and the artistic director of the Grand Hall is the founder and regular organizer of the festival.

Epoch-making persons
Eldar Getsadze

He Is Still with Us

The article features Nodar Andguladze, distinguished Georgian opera singer, coach and a public figure whose contribution to vocalism in Georgia is indisputable. Relying upon the accomplishments of his father, David Andguladze, a distinguished opera singer and the instruction he had received in Italy, Nodar Andguladze developed his unique methods, which are now widely acclaimed.
The publication author remembers Nodar Andguladze's international opera accomplishments and the family home which used to be a kind of a sanctuary to the Georgian singers for many decades.

Novelty
Mzia Japaridze

Gift to Children

The late Nodar Andguladze, the outstanding opera singer and a public figure and Mr. Guri Zakareishvili, the project author and one of his students had initiated "The Small Scaling Lladder", a puppet opera theatre for children, the first in Georgia.
On 28 November 2012, the theatre opened with "The Barber of Seville" by Rossini staged at the TBC Gallery. It was the recording of the original performance by Maria Callas (Rosina), Tito Gobbi (Figaro), Luigi Alva (Almaviva), Melchiorre Luise (Bartolo) etc. adapted for the 4-8 year old children.

Anniversary
Nestan Meskhi

Greetings to the Musicians

Last December, the posters reported the jubilee event highlighting Mmes: Tamar Gabarashvili and Nana Dimitriadi, the distinguished Georgian musicians.
The articles features Tamar Gabarashvili, the celloist of international standing and Nana Dimitriadi, the pianist accompanying the ensembles, who also made a remarkable contribution to the concerts featuring the outstanding musicians and opera singers, such as Mmes: Marina Iashvili, (violinist), Tsisana Tatishvili, singers, Tamar Gabarashvili, celloist, Messrs: Nodar Andguladze, and Lado Ataneli, opera singers and, also, the Georgian National Quartet. The article author takes an in-depth look at the two performers.

Concerts
Nargiza Gardapkhadze

The Descendant of the Iashvili Family

The article is dedicated to Gia (George) Iashvili, prominent violinist of international standing, who is the grandson of the great Luarsab (Buchuka) Iashvili, the founder of the national school of violin and the son of Prof. Nana Iashvili, his daughter who stepped into her father's shoes to achieve remarkable accomplishments. George Iashvili is the nephew of Marine and Irene Iashvili, also violinists. In 2006, Maestro Lorin Maazel attracted Gia Iashvili as the accompanist. He also cooperated with brilliant Zubin Mehta at Valencia Opera. He is the founder and leader of "Soloistes des Arts" chamber ensemble, acclaimed across Europe, which embraces the key younger generation musicians from the orchestras conducted by Zubin Mehta and Lorin Massel.

On 20 January, Gia Iashvili, who now lives and works in Munich gave a concert at the Tbilisi Conservatoire.

In memoriam
Gulbat Toradze

The Unforgettable Tatiana Dunenko

The article author remembers Prof. Tatiana Dudenko, who had been the key pianist accompanist at the Tbilisi Opera for a decade. Her contribution to the Georgian school of performers of the classical music is truly invaluable. She had been the coach to a number of pianist accompanists and several generations of the distinguished Georgian opera singers. Last year marked the centenary of Tatiana Dunenko (1912-1999).

From Hight of Last Years
Tamar Tsukulidze

The Innovator

The article commemorates 75 anniversary of maestro Avtandil Mamatsashvili, who used to be the conductor at the Tbilisi Musical Comedy and the opera theatres here in the capital Tbilisi and the second largest Georgian city of Kutaisi, as well as the one in Lodz (Poland). Apart from that maestro Mamatsashvili conducted the Georgian State and Radio-TV Symphonic Orchestras. Maestro Mamatsashvili initiated the sympho-jazz orchestra and the younger generation symphonic orchestra in Tbilisi, the chamber orchestra in Kutaisi. The article author singles out maestro Mamatsashvili's tour in the USA, the town of Sar (Maine), where the youth orchestra he led accompanied the opera singers performing the Georgian classical opera "Absalom and Eteri" By Z. Paliashvili in the Georgian language.

Festival
Ala Skhirtladze

The Brass Music Festival

The article relates about the IV festival of the brass music held recently in Tbilisi, which comprised two concerts and about 26 master classes. It is an annual event involving outstanding Georgian and foreign musicians. The article author gives the profiles of several of them: Lawrence Otto, the horn player with the Dutch Philharmonic Orchestra, Bram van Sambeek, a Dutch bassoonist, Juliette Hurel, an international award winning flutist, Nino Gvetadze (piano), Giorgi Shamanauri (trumpet), Giorgi Gvantseladze (obo), Mamuka Bekauri (trombone), Levan Tskhadadze (clarinet), whose interview rounds off the publication.

World Classics
Nino Zhvania

John Cage's Journey into the World and his Own Inner Self

2012 marked the centennial of John Cage (1912-1992), the outstanding American composer. However, describing him as only the composer is a limitation for he was the author of fiction and musicology texts, a painter and a distinguished lecturer . . . He was also well into mycology - the science of mushrooms and, finally, invented some new musical instruments.
The article marks the author's attempt at an insight into John Cage's creative personality of so many peculiarities, which made him truly unique.

Portrait

The column is dedicated to Mr. Felix Glonti (08.11.1927-28.08.2012), the Philosopher, a Georgian Tbilisi Conservatoire professor, who was repeatedly nominated "Leader of the Year" by the US international commission and member of the Hall of Fame, the only Georgian composer to win the III International Prokofiev Competition.

Rusudan Kutateladze

Epitaph from the Interview with Collages

It's nearly a year since the death of Felix (Phillip) Glonti buried in the Tbilisi Didube Pantheon for public figures. One can't describe him as "favorite" or "renowned" although, a talented and prolific composer and a versatile person, he was broadly appreciated by his fellow composers both here in Georgia and abroad. The article contains the most revealing passages from Prof. Glonti's quite uncommon interview given a few years ago.

Merab Gegia

The Offbeat Integrated into the World

Prof. Merab Gegia, an art historian highlights the most striking personal traits and creative aspect of the personality of composer Felix Glonti, his closest friend, who passed away about a year ago.

Education
Zhuzhuna Gokadze

Meeting Mr. Merab Merabishvili, Composer

The article relates about a recital of composer Merab Merabishvili's pieces performed by pupils of Tbilisi school of arts #19 held on 8 December 2012. The concert was attended by

his fellow composers such as Messrs: Kakha Tsabadze, Elizbar Lomdaridze, Michael Odzeli and maestro Revaz Takidze and, also the Tbilisi City Hall officials.

Folklore
Giorgi Kraveishvili

Musical Folklore of Hereti

The article deals with the musical folklore of Hereti, historically a north-eastern part of an eastern Georgian province of Kakheti, now a border area of neighboring Azerbaijan. It was only in 1984 that the first recordings of the local musical folklore were presented to the public in "The Boundary", a documentary made by Niko Tsuladze. Three years thereafter, the musical folklore of Hereti was studied by a team of music scholars led by Joseph Zhordania, ethnomusicologist specializing on the creations by the Georgian expatriates. The article author makes several observations on the basis of the materials obtained during the expeditiom to Hereti.

Concerts
Lali Kakulia

The Recital of the Pieces by Mr. Ramaz Karukhnishvili, Composer

Composer Ramaz Karukhnishvili, whose first musical pieces date back to the 1960's gave a recital on 14 December 2012. The article author says that "a recital is a good way to understand a composer's aspirations and trends, as well as the attitude to various genres. The same was true for the one depicting composer Ramaz Karukhnishvili's music created in the last two decades".

New Publications
Manana Akhmeteli
Revaz Takidze

Eliso Virsaladze – 50

In her article, . Manana Akhmeteli relates about her new book celebrating 50 years of Eliso Virsaladeze's involvement in music. The richly illustrated trilingual (Georgian, English and Russian) publication depicts Eliso Virsaladeze, the distinguished Georgian pianist and instructor.

Jazz
Nargiza Gardapkhadze

15 Jazz Ferstival

The article relates about a recently held jazz festival, which marked a truly remarkable event for the jazz lovers in the Georgian capital Tbilisi. "Eastern Promotion" company at-

tracted some of the world renowned jazz musicians to all the 4 concerts of the festival, which gratified a variety of tastes. There was a capacity crowd at the concerts held in the Tbilisi Concert Hall. The jazz festival involved Dee Dee Bridgewater and the band, Jack DeJohnette and his band, Chick Corea, Christian McBride, bass and Brian Blade, drums and Beka Gochiashvili, a young Georgian jazz pianist. The article ends with an interview with Gaioz Kandelaki, the initiator of the jazz festival in Georgia.

Archive
Lali Gabunia

Eugene Mikeladze

From time to time, "Music" magazine contains the materials preserved in the archive of the Georgian National Radio. The last issue contains the reminiscences of some of the well-known deceased Georgian musicians relating about Eugene Mikeladze (1903-1937), the outstanding conductor perished during the Stalinist purges, who left a deep imprint on the Georgian opera and symphonic music. The memoirs depict him as a musical legend, the Georgian musician of a unique scale.

Epoch-making persons
Nestan Meskhi

"The End of a Magnificent Era"



For 6 decades Gizi (Tengiz) Amirejibi was a pivotal figure of the Georgian cultural context.
Gizi Amirejibi gave concerts in Russia, Canada, the USA, Poland and the Czech Republic. An instructor at the Tbilisi Conservatoire since 1957, he was made awarded the professorship in 1977. Gizi Amirejibi's accomplishments were recognized by the State and Rustaveli awards. He was the coach of a number of the Georgian internationally acclaimed pianists like Alexander Korsantia, Eliso Bolkvadze, Natia Buniatashvili, Marina Nadiradze, Tamar Licheli, George Zhordania etc.
Prof. Amirejibi was one of the Georgian musical icons, the last of the Mohicans of the "magnificent era", who left quite a few disciples of the international scale.

A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material.

1. Alexi Machavariani. “The Knight in the Tiger Skin”. Battle in 2 acts. Act.II 3. “The Story of Lovers (Tariel & Avtandil)”. Symphony Orchestra of Ministry of Culture of the USSR, conductor _Vakhtang Matchavariani (record of 1982); (feature ,” Alex Machavariani -100” p. 2);
2. Josef Bardanashvili - ”PerpetuumGizi”, the play for two pianos, a string quartet and percussions. Performed by Alexander Korsantia, Tamar Licheli, Marina Nadiradze, Manana Doijashvili (piano), Josef Bardanashvili (dramer), Georgia National String Quartet. (feature **“**Festival in the Grand Conservatoire Hall”, p. 5.);
3. Giuseppe Verdi. “The Troubadour”. Manrico`s cabaletta. Performed by Nodar Andguladze (record of 1966). (feature “He Is Still with Us”, p. 13);
4. Vaja Azarashvili. Sonata for cello & piano #1. Performed by Tamar Gabarashvili (cello), Nana Dimitriadi (piano). (feature “Greetings to the Musicians”, p.20);
5. Elizbar Lomdaridze. Cello Concerto, part II. Tamar Gabarashvili (cello); Tbilisi State Chamber Orchestra «Georgian Sinfonietta», conductor _ R. Takidze (feature “Greetings to the Musicians”, p.20);
6. Jules Massenet. “Meditation”. Performed by Gia Jashvili (violin), Symphony Orchestra of Zakaria Paliashvili Tbilisi Opera and Ballet State Theatre, Conductor – Gianluca Marciano; (feature “The Descendant of the Iashvili Family”, p. 23);
7. Wolfgang Amadeus Mozart. The Sinfonia Concertante for Four Winds in E flat major, part II. Performed by Gioorgi Gvanceladze (oboe), Levan Ckhadadze (clarinet), Laurens Otto (horn), Bram Van Sambek (bassoon), Tbilisi State Chamber Orchestra «Georgian Sinfonietta», conductor _ Vakhtang Kakhidze (feature “The Brass Music Festival”, p. 30);
8. John Cage. Sonatas and Interludes for prepared piano. Performed by Boris Berman. (feature “John Cage’s Journey into the World and his Own Inner Self”, p. 38);
9. Felix Glonti. - Concert-Simphony For Piano and Orchestra. Performed by Tamar Licheli (piano), Tbilisi Simphony Orchestra Jansug Kakhidze, conductor _ Vakhtang Kakhidze (features: “Epitaph from the Interview with Collages” and “The Offbeat Integrated into the World”, p. 44,49);
10. “Nana” (A lullaby). Performed by Vera Andriashvili (1909-2012). Folklore expedition of 2011 in Hereti (Wrote down by G. Kraveishvili and M. Tartarashvili (Tarxnishvili). (feature “Musical Folklore of Hereti”, p. 52);
11. Ramaz Karuxnishvili. The Cantata “Gadadzaxili” (“Call In”) for mixed chorus and piano, part I (Fragment). Performed by National Cappella of Abkhazia, conductor _ G. Kurashvili, the concertmaster I. Simonian (feature “The Recital of the Pieces by Mr. Ramaz Karukhnishvili, Composer”, p. 54);
12. Tbilisi Jazz Festival 2012. Concert and Jam Session (Fragment). The Chick Corea Trio with Christian McBride and Brian Blade. Special Guest Beka Gochiashvili (feature “15 Jazz Ferstival”, p. 66)
13. Frederic Chopin. Fantasie-impromtu op.66 cis-moll. Tengiz Amirejibi (feature “The End of a Magnificent Era”, p. 78)

The editional board: Mikahel Odzeli, Editor-in-Chief; editors: mmes: Mzia Jafaridze and Tamar Tsulukidze;
design: Vakhtang Rurua, Vano Kiknadze, Gogi Chepkhodze.
Translated by "LOGOS LTD"
Address; 123 D. Agmashenebeli str. Tbilisi
Tel;(+99532)295 41 64: (+995 32)296 75 05
Fax; (+995 32) 96 86 78

ჯონ კეიჯის ნოტები

ISSN 1987-7773